პრესომბუდსმენი

A3

კიდევ ერთი "საჩუქარი" თბილისს

A8

"ინფლაციის გაკონტროლება შეიძლება"

B4

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ორშაბათი, 16 ოქტომბერი, 2006 წელი. №229 (1381) ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

თიბისი-ფოსტა

**გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?**

**გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?**

**გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?**

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.

## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

**ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.**

***მისამართი:***
***თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51, "24 საათის" რედაქცია.***

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 16/10 | 17/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 18 | 20 |
| ბათუმი | 18 | 21 |
| სოხუმი | 20 | 21 |
| ქუთაისი | 19 | 23 |
| გორი | 13 | 17 |
| ონი | 11 | 15 |
| ზუგდიდი | 20 | 24 |
| ახმეტა | 17 | 20 |
| სამტრედია | 20 | 23 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7435 |
| ევრო | 2.1895 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2445 |
| რუბლი | 0.0647 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| პროექტი | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| სპორტი | A 7 |
| რევიუ | A 8 |


# რაციონალიზმი რუსეთისთვის სიურპრიზი იქნება

ეკა კვესიტაძე

"შევშფოთდი, როცა ზურაბ წერეთელს საგადასახადომ მიაკითხა, უფრო მეტად შევშფოთდი, როცა ზურაბ სოტკილავა ქუჩაში გააჩერეს და საბუთები მოსთხოვეს, მაგრამ სრულიად აღვშფოთდი მაშინ, როდესაც სკოლებში მოთხოვნა დააგზავნეს, ქართველი ბავშვების შესახებ მონაცემები პოლიციისათვის გადაეგზავნათ," - ეს სიტყვები იმ რუს ჟურნალისტს ეკუთვნის, რომელიც "ენ-ტე-ვე"-ს ეთერში ერთი კვირის წინ სრულ ისტერიას აწყობდა რუსი ჯაშუშების დაკავების გამო და გამოკვეთილად ანტი-ქართული პოზიცია ეკავა. ძნელი სათქმელია, რამ აიძულა ჟურნალისტი სალავიოვი ასეთი პოზიცია დაეკავებინა - საკუთარმა და პროფესიულმა სინდისმა თუ რუსეთის მოსახლეობის ნაწილის აღშფოთებამ ეთნიკური წმენდის დაწყების გამო.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ჩაშლილი ენერგოშეთქმულება

*ევროპული კონსორციუმის "ეარბასის" გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი გასულ კვირასაც გაგრძელდა და კურიოზული სახე მიიღო. თანამდებობიდან გადადგა ავიაგიგანტის თავკაცი კრისტიან შტრაიფი, რომელიც სულ სამი თვის წინ დაინიშნა. შტრაიფს ლუი გალუა შეცვლის, რომელიც უკვე აცხადებს, რომ "ეარბასს" სამუშაო ადგილების შემცირება ელის. განცხადება სრულიად ბუნებრივად ჟღერს - გიგანტური ლაინერის, "ეი380"-ის დაგვიანების გამო კონსორციუმი მილიარდობით ზარალს ნახულობს და ხარჯების შემცირება ნამდვილად აუცილებელია. ხარჯების შემცირებას შტრაიფიც აპირებდა, მაგრამ არა ისე, როგორც ეს საჭირო იყო...*

*თუმცა, სანამ ამ პერიპეტიებზე გადავალთ, კარგად უნდა გავიაზროთ რა ხდება "ეარბასში." 2000 წელს კონსორციუმმა განაცხადა, რომ მსოფლიოში უდიდესი სამგზავრო თვითმფრინავის აგებას აპირებდა. "ეი380"-ს 555 მგზავრი უნდა გადაეყვანა და კალიფორნიიდან ავსტრალიამდე მანძილი შეუსვენებლად უნდა დაეფარა. საფრანგეთისა და გერმანიის მთავრობებმა ამ გრანდიოზული პროექტისათვის მილიარდობით სუბსიდიები არ დაიშურეს. "ეარბასმა" იმ პერიოდში აშკარად დაჯაბნა თავისი ამერიკული კონკურენტი "ბოინგი" (ყოველ შემთხვევაში, სამოქალაქო ავიაციის სფეროში მაინც) და ახლა საჭირო იყო კიდევ ერთი დიდი ნახტომი, რომლის წყალობითაც "ბოინგს" უკვე მნიშვნელოვნად ჩამოიტოვებდნენ უკან. ამ ნახტომად "ეი380" უნდა ქცეულიყო. "ბოინგი" კი, რატომღაც, საპასუხოდ სუპერჯამბოს აგებას არ აპირებდა და უფრო საშუალო ზომის ლაინერებზე გადაიტანა აქცენტი.*

# გოდარის "ჩვენი მუსიკა"

თუ ვინმე მოკვდება ჩემთან ერთად მშვიდობისთვის და არა ომისთვის, მე ბედნიერი ვიქნები

ნინია კაკაბაძე

ალბათ სრულიად გამართლებულია, რომ კინოფესტივალ "პრომეთეს" ორგანიზატორებმა წლევანდელი ფესტივალის აფიშად გამოიყენეს კადრი სწორედ ჟან ლუკ გოდარის ფილმიდან "ჩვენი მუსიკა". ბევრს მოეწონა ფილმი, ბევრს - არა, მაგრამ ერთი რამ აშკარაა: გოდარის "ჩვენი მუსიკა" ყველაზე საინტერესო, აქტუალური, თანამედროვე და გლობალურია. ფრანგი კინორეჟისორის ფილმში რამდენიმე ფილმი, თემა, პრობლემაა თავმოყრილი. მისი ნახვის შემდეგ რჩება შეგრძნება, რომ ძალიან საინტერესო წიგნი წაიკითხეთ, საიდანაც ბევრი ფრაზის გადმოწერა და დამახსოვრება მოგინდათ.

ფილმი სამი ნაწილისგან შედგება - ჯოჯოხეთი, განსაწმენდელი, სამოთხე. პროლოგი ჯოჯოხეთი, სადაც დოკუმენტური კადრების მეშვეობით მოცემულია ომი, საომარი ტექნიკა - ტანკი, გემები, თვითმფრინავები და ბოლოს სიკვდილი. სიკვდილი და ომის შედეგი ომისდროინდელ სარაევოშია გადაღებული. მეორე ნაწილი - განსაწმენდელი ფილმის უკვე მხატვრული ნაწილია. მოქმედება ახლანდელ სარაევოში ვითარდება. ფილმის მთავარი, ყველაზე ხანგრძლივი ნაწილიც მხატვრულ-დოკუმენტურია. ის სარაევოში თავად გოდარის, პალესტინელი მწერლის, ებრაელი ჟურნალისტის შეხვედრებს, ლექციებსა და ინტერვიუებს ასახავს. ჟან ლუკ გოდარი წერს: "როდესაც სარაევოში ჩავედი, დავინახე, რომ იქ ახლა განსაწმენდელია. იქ მცხოვრებმა ადამიანებმა გაიარეს ჯოჯოხეთი. მათი აწმყო განსაწმენდელია და საეჭვოა, რომ ნახონ სამოთხე". ალბათ ამიტომაც ფილმის მესამე ნაწილი, ეპილოგი - სამოთხე ოდნავ დაუსრულებლის შთაბეჭდილებას ტოვებს. გოდარი არა მხოლოდ ფილმის გმირებში, არამედ თავად სამოთხეშიც მეტ აბსურდს ხედავს.

გაგრძელება A6 გვერდზე




## საკამათო რეზოლუციის ერთი არსებითი ასპექტი

*საერთო შეფასებით, გაერო-ს უშიშროების საბჭოს 13 ოქტომბერის, 1716-ე რეზოლუცია საქართველოს ხელისუფლების მიმართ ყველაზე კრიტიკულია იმ რეზოლუციათა შორის, რაც კი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის თაობაზე ორგანიზაციის კედლებში მიღებულა. მაგრამ რეზოლუციაში გვერდი აქვს ავლილი ერთ არსებით მომენტს, რაც თბილისს მომავალში აძლევს საშუალებას, კარგად გათვლილი ნაბიჯების შემთხვევაში, მიაღწიოს გარკვეულ პროგრესს ე.წ. გაყინული კონფლიქტების სფეროში.*

კობა ლიკლიკაძე
*ჰრალიდან, სპეციალურად "24 საათისთვის"*

გაერო-ს უშიშროების საბჭომ, ჩრდილოეთ კორეის საკითხში რუსეთის მხარდაჭერის სანაცვლოდ, რეზოლუციის ტექსტში შეიტანა თითქმის ყველა ის დებულება, რითაც მოსკოვის ამბიციები სრულიად დაკმაყოფილებულია. მაგრამ მოსკოვის ზეიმი, შესაძლოა, გადაჭარბებულიც იყოს. საქმე ისაა, რომ რეზოლუციაში არაფერია ნათქვამი კოდორის ხეობიდან აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების სტრუქტურებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფების გაყვანის შესახებ. ასეთი მოთხოვნა რომც ასახულიყო, როგორც პრეზიდენტმა სააკაშვილმა 13 ოქტომბრის ბრიფინგზე განაცხადა, საქართველოს ხელისუფლება მას ისევე არ შეასრულებდა, როგორც არ შეუსრულებია არც რუსეთს და არც აფხაზეთს აქამდე მიღებული ურიცხვი რეზოლუციის მოთხოვნა. მეტიც, საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ აპირებს გააფართოოს საქართველოსა და აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების კონტროლი, ყოფნა და ოპერირება ამ ტერიტორიაზე.

მართალია, საქართველოს პრეზიდენტს არ დაუზუსტებია, თუ როგორ აპირებს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების კონტროლის გაფართოებას, მაგრამ თბილისის დიპლომატიურ ლექსიკონში ამ შეკითხვაზე არსებობს ტრადიციული პასუხი: მშვიდობიანი გზით, რომელიც თავის მხრივ რამდენიმე ქვეტექსტს შეიცავს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ვერდიქტი ჩრდილოეთ კორეისთვის

გაერო-ს უშიშროების საბჭო: "ჩრდილოეთ კორეა საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას რეალურად ემუქრება"

ხათუნა გაბიევი

12 ოქტომბერს ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული იარაღის გამოცდასთან დაკავშირებით გაერო-ს უშიშროების საბჭო რამდენიმე დღის მანძილზე მსჯელობდა. ოფიციალური ფხენიანის მოქმედება საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობისთვის რეალურ საფრთხედ შეფასდა და განაჩენიც შესაბამისად იქნა გამოტანილი - ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ სანქციები დაწესდება. ჩრდილოეთ კორეაში სამხედრო თვითმფრინავების, ტანკებისა და რაკეტების შეტანა აკრძალა გაერო-ს უშიშროების საბჭომ. გადაწყვეტილების მიღებისთვის გაერო-ს მაღლობა ჯორჯ ბუშმა პირადად გადაუხადა.

გაერო-ში აშშ-ს მუდმივი წარმომადგენლის ჯონ ბოლტონის შეფასებით, უშიშროების საბჭოს სხდომათა დარბაზიდან ჩრდილოეთ კორეის დელეგაციის წასვლა შაბათს ძალიან ჰგავდა 1960 წელს გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე საბჭოთა კავშირის გენერალური მდივნის ნიკიტა ხრუშჩოვის მოქმედებას, როდესაც იგი გამეტებით აბრახუნებდა მაგიდაზე ჩექმას. მართალია ხრუშჩოვისგან განსხვავებით, ჩრდილოკორეელებს ჩექმები არ უბრახუნებიათ მაგიდაზე, მაგრამ მათი შეფასება არანაკლებ ხმაურიანი იყო, როდესაც უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას "ბანდიტური აქტი" უწოდეს.

სააგენტო "ასოშეითედ პრეს"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთის მუდმივი წარმომადგენელი გაერო-ში ვიტალი ჩურკინი რატომღაც ცდილობდა დაერწმუნებინა ბოლტონი არ გამოეყენებინა ასეთია ანალოგია ჩრდილოეთ კორეის დელეგაციის საქციელის შეფასებისას. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო საერთაშორისო საზოგადოებას იმაშიც არწმუნებს, რომ ჩრდილოეთ კორეის დელეგაციის მხრიდან შეურაცხმყოფელი გამონათქვამისა და დაწესებული სანქციების მიუხედავად, ოფიციალური ფხენიანი არ აპირებს ექვსმხრივი მოლაპარაკებების საბოლოოდ დატოვებას.

გაგრძელება A2 გვერდზე

## მაფიის გენერალი მადრიდს დაუთმეს

დაუსწრებლად გასამართლებულ შაქრო კალაშოვს 18 წლით პატიმრობა მიუსაჯეს

*თბილისის საქალაქო სასამართლომ ავტორიტეტული კრიმინალი დაუსწრებლად გაასამართლა. ქართულმა მართლმსაჯულებამ ქართული და რუსული მაფიის ლიდერი, ცნობილი "კანონიერი ქურდი", შაქრო კალაშოვი დამნაშავედ ცნო და მას 18 წლით პატიმრობა მიუსაჯა.*

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ შაქრო კალაშოვის მიმართ აღძრული საქმის გამოძიება რამდენიმე თვის წინ დაიწყო და დაადგინა, რომ "კალაშოვი, როგორც "კანონიერი ქურდი", სისტემატიურად ღებულობდა მონაწილეობას სხვადასხვა კრიმინალურ გარჩევებში. იგი ამჟამადაც აღიარებს ქურდულ ტრადიციებს და მონაწილეობს ე.წ. ქურდულ გარჩევებსა და შეკრებებში".

გენერალურმა პროკურატურამ კალაშოვი - "შაქრო მალადოი", იგივე "გენერალი" 15 სექტემბერს დაუსწრებლად ბრალდებულად გამოაცხადა. ქართველმა სამართალდამცველებმა "კანონიერი ქურდი", რომელიც იმ დროისთვის მადრიდის საპყრობილეში იმყოფებოდა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით დაადანაშაულეს - 2231-ე მუხლის II ნაწილით - "კანონიერი ქურდობა" და 144-ე მუხლის "ა", "ე" და "ვ" პუნქტებით - მძევლად ხელში ჩაგდება, ანგარებით და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ბრალდებით, 2000 წლის 18 ივნისს შაქრო კალაშოვმა მძევლად აიყვანა ამერიკელი ბიზნესმენი ალექს კრეინი და მისი გათავისუფლების სანაცვლოდ, ოჯახს 1.200.000 აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვა. სავარაუდოდ, კრეინის ოჯახს მოთხოვნილი სოლიდური გამოსასყიდი არ გადაუხდია, რადგან ალექს კრეინი ახლაც დაკარგულად ითვლება - მის ასავალ-დასავალს დღემდე ვერ მიაგნეს.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ვერდიქტი ჩრდილოეთ კორეისთვის

პირველი გვერდიდან

რუსეთის მცდელობის მიუხედავად კი - ითამაშოს "კეთილშობილი სახელმწიფოს როლი", ფაქტი ფაქტად რჩება, ექვსმხრივი მოლაპარაკებები გაყინულია გასული წლის ნოემბრიდან და ჩრდილოეთ კორეა აგრძელებს ბირთვულ იარაღზე მუშაობას.

"გგუ"-ის ინფორმაციით, მიღებულ რეზოლუციაში უშიშროების საბჭოს წევრები ჩრდილოეთ კორეისგან ბირთვული იარაღის განადგურებას მოითხოვენ, მაგრამ ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ სამხედრო ძალა არ იქნება გამოყენებული., ისე როგორც ამას რუსეთი და ჩინეთი მოითხოვდა.

სანქციების დაცვა სპეციალური მონიტორინგის ჯგუფის მეშვეობით განხორციელდება. საერთაშორისო ინსპექტორები უფლებამოსილნი იქნებიან შეაღწიონ ჩრდილოეთ კორეაში შემავალი და იქიდან გამომსვლელი ყველა გემი.

"Reuters"-ის ინფორმაციით კი, იაპონია ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ დამატებითი სანქციების დაწესების წინადადებით გამოდის. იაპონიის პრემიერ-მინისტრის შინძო აბეს განცხადებით, ამომავალი მზის ქვეყანა მეტად აღარ აპირებს ჩრდილოეთ კორეის მხრიდან არასანქცირებული ბირთვული გამოცდების ატანას. საერთაშორისო თანამეგობრობისგან განსხვავებით, იაპონიას ჩრდილოეთ კორეის მიმართ ჯერ კიდევ გაეროს რეზოლუციამდე ჰქონდა ცალმხრივი სანქციები დაწესებული, კერძოდ, იაპონიის მთავრობამ აკრძალა ჩრდილოკორეული პროდუქციის იმპორტი იაპონიის ტერიტორიული წყლების გამოყენებით და არ უშვებდა საკუთარ ტერიტორიაზე არც ამ ქვეყნის მოქალაქეებს.

იაპონიის პოზიციას ავსტრალიაც იზიარებს. ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, შესაძლოა მისმა ქვეყანამაც დააწესოს დამატებითი სანქციები ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ.

მიღებული რეზოლუციის პარალელურად, გაერო ჩრდილოკორეული პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარების იმედს იტოვებს, რასაც ორგანიზაციის მომავალი გენერალური მდივნის განცხადებაც მოწმობს. გაერო-ს მომავალი გენერალური მდივანი პან გი მუნი კი ბირთვული კრიზისის გადაჭრის მიზნით თანახმაა აუცილებლობის შემთხვევაში ფხენიანში ჩავიდეს.

# საინტერესო გამოცდა

ეკა ჯანაშია

ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა ორტომეული - "შესავალი თანამედროვე აზროვნებაში". უფრო მეტიც, ეს წიგნი ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში სახელმძღვანელოდ იქცევა, ვინაიდან შესავალი თანამედროვე აზროვნებაში ამ უნივერსიტეტის ყველა პირველკურსელისთვის სავალდებულო საგანი გახდება.

უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ სწავლების ამ ახალი პროგრამით სასწავლებელში ექსპერიმენტი დაიწყო. "შესავალი თანამედროვე აზროვნებაში" ორტომეულია. მასში შევიდა ადამ სმიტის, ნიცშეს, დიმიტრი უზნაძის, ილია ჭავჭავაძის, ასევე ჰორბსის, ლოტის, დარვინის, ლამარკის მოსაზრებები ამ უკანასკნელთა ნაშრომები ქართულ ენაზე პირველად ითარგმნა. ორტომეულში არის არა მხოლოდ ამ დიდ მეცნიერთა ნაშრომები, არამედ მათი ბიოგრაფიებიც.

**"სწავლების ეს გეგმა საქართველოსთვის ექსპერიმენტია. დასავლეთის ყველა უნივერსიტეტში სწავლობენ დიდი მოაზროვნეების ნაშრომებს, თუმცა პატარა სხვაობა მაინც არის - იქ რომელიმე ავტორს ირჩევენ, ჩვენ კი გავაკეთეთ წიგნი, სადაც შევიდა ყველა ადამიანის მოსაზრება, რომელმაც გავლენა მოახდინა თანამედროვე მსოფლიოს აზროვნების განვითარებაზე. ასე რომ, სწავლების ეს პროგრამა ამ მხრივაც ორიგინალურია. ჩვენ ამოვედით ლიბერალური სწავლების პრინციპებიდან. ვნახოთ როგორი იქნება ეს ექსპერიმენტი,"** - განაცხადა უნივერსიტეტში გამართულ წიგნის პრეზენტაციაზე უნივერსიტეტის რექტორმა გიგი თევზაძემ.

ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტმა ამ წიგნთან ერთად შექმნა გამომცემლობა და სტამბაც. გამომცემლობის ხელმძღვანელმა ირმა რევიშვილმა განაცხადა, რომ სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა წიგნზე და პარალელურად ყალიბდებოდა გამომცემლობაც. ეს ყველაფერი უნივერსიტეტმა საკუთარი სახსრებით და განათლების სამინისტროს დახმარებით გააკეთა. გამომცემლობა კიდევ ამზადებს წიგნებს გამოსაცემად. როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა სერგო რატიანმა განაცხადა, მალე ითარგმნება და დაიბეჭდება წიგნები შესავალი კურსისთვის სხვადასხვა დარგში. თითქმის ყველა, ვინც ამ პროექტზე მუშაობდა, აღიარებს, რომ ყველაზე მძიმე პრობლემა თარგმანების გასწორება იყო. რამდენად ხარისხიანია თარგმანი, ამას მკითხველი წიგნის გაცნობის შემდეგ შეაფასებს.

გიგი თევზაძის განცხადებით, გამომცემლობა და სტამბა არ წარმოადგენს ისეთ ძვირ ღირებულებას, როგორც ამას აცხადებდნენ უნივერსიტეტის ყოფილი მესვეურები. თურმე გამომცემლობის გაკეთებაც მენეჯმენტთან იყო დაკავშირებული. სერგო რატიანმა აღნიშნა, რომ სწავლების ახალი პროგრამის უნივერსიტეტში შემოღება კარგი ექსპერიმენტია და აუცილებლად გაამართლებს,**"რაც კარგია ზოგადად, ის ყველასათვის კარგია. ახალ კურსს სტუდენტებისთვის წაიკითხავენ არა მხოლოდ ფილოსოფოსები და ფსიქოლოგები, არამედ ბიოლოგები, სოციოლოგები და ფიზიკოსებიც, ვინაიდან წიგნში არის ყველა მოაზროვნის ნაშრომი ვინც გავლენა მოახდინა თანამედროვე აზროვნებაზე"**

კულტურული ფაქტი უკვე შედგა და ქართულმა საზოგადოებამ ახალი კარგი გამოცემა მიიღო. უნივერსიტეტის რექტორს გიგი თევზაძეს კი ახალი იდეა აქვს - მას სურს აღმოსავლეთის მოაზროვნეთა წიგნების კრებული გამოსცეს ქართულ ენაზე. წიგნის "შესავალი თანამედროვე აზროვნებაში" პირველი ტომი უკვე გამოვიდა, ორ კვირაში საზოგადოება მეორე ტომსაც იხილავს. ეს წიგნები უნივერსიტეტის მაღაზიაში გაიყიდება. მისი ფასი 40 ლარია, ვისაც ამ თანხის გადახდის საშუალება არ აქვს, შეუძლია იმავე მაღაზიაში წიგნის ვერსია CD -ის დისკზე შეიძინოს 10 ლარად.

# დეპორტირებული ბავშვი საქართველოში დააბრუნეს

გუშინ მოსკოვიდან, ერევნის გავლით, საქართველოში დაბრუნდა 14 წლის მოზარდი გიორგი ცქიფურიშვილი. რუსმა სამართალდამცავებმა იგი, ორ ქართველ ბავშვთან ერთად, მოსკოვიდან ოჯახის წევრების დეპორტაციის შემდეგ, ერთერთ უპატრონო ბავშვთა სახლში გადაიყვანეს. გიორგი ცქიფურიშვილის მშობლები, რომლებიც მოსკოვში არალეგალურად ცხოვრობდნენ, საქართველოში ერთი კვირის წინ გამოძევეს. ისინი თბილისში რუსეთის ფედერაციის საგანგებო ვითარებათა სამინისტროს კუთვნილი თვითმფრინავით ჩამოფრინდნენ.

*ინტერპრესნიუსი*

# რაციონალიზმი რუსეთისთვის სიურპრიზი იქნება

პირველი გვერდიდან

ფაქტია, პუტინის ხელისუფლებამ ისე ღრმად შეტოპა, რომ საკუთარი მოსახლეობის წინაშე თავის სამართლებელ არგუმენტებს ეძებს - ერთ-ერთი მათ შორის არის ის, რომ უფროსების მიერ გაცემულ ბრძანებას დაბალი რგოლის ჩინოვნიკები არასწორად იგებენ. თუმცა, ჯერ ასეთი ჩინოვნიკები არავის დაუსჯია.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველოს ხელისუფლებასა და მოსახლეობას სერიოზულ გამოწვევებთან გამკლავება მოუწევს, სრულიად ცხადია, ამ ბრძოლაში მორალური და პოლიტიკური გამარჯვება საქართველოს მხარესაა. მაგრამ, სავარაუდოა, რომ რუსული პოლიტიკური სცენარი ამით და ასე არ დამთავრდება. შესაბამისად, ჩნდება კითხვა: რა არის შემდეგი რუსულ პოლიტიკურ არსენალში?

რამდენიმე ხნის წინ ქართულ ტელევიზიასთან პირდაპირი ჩართვის დროს არასერიოზულმა და რექციულმა ჟირინოვსკიმ ძალიან გულგრილად განაცხადა: - "ჩვენ მივდივართ, დარჩით მარტო თქვენს ამერიკასთან". შესაძლოა, ეს ნათქვამი ჟირინოვსკის თვითშემოქმედებას დავაბრალოთ და ვირწმუნოთ, რომ მას საერთო არაფერი არ აქვს კრემლის პოლიტიკურ გეგმებთან. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ რუსული ჯარი დადგეგმილზე ადრე დატოვებდა საქართველოს ტერიტორიას.

რა თქმა უნდა, რუსეთი ასე ადვილად არაფერს დათმობს. ამ ეტაპზე პოლიტიკოსები და ოფიციალური პირები "წასვლის" მხოლოდ სიმულაციას ქმნიან.

რა არის ან ვინ არის რუსეთის ბოლო იმედი საქართველოში?

"თუ ფიქრობთ, რომ გიორგაძე არაპოპულარული იყო, მაშინ რატომ დაიჭირეთ მისი მომხრეები?" - თუ ამ "რუსული" არგუმენტის მიხედვით ვიმსჯელებთ, მიუხედავად იგორ გიორგაძის და მისი მომხრეების სრული კრახისა, რუს პოლიტიკოსებსა და პოლიტოლოგებს მაინც სჯერათ, რომ რუსეთს საქართველოში დასაყრდენი ჰყავს და ამ ძალას შეუძლია ხელისუფლება შეცვალოს.

იგორ გიორგაძე გათამაშებული კარტია, რომელმაც თამაშის პირველივე პარტია წააგო და ეს მარცხი შეუქცევადია.

არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ერთმა რუსმა ექსპერტმა საქართველოში "პოლიტიკური რეპრესიები" ასე იწინასწარმეტყველა: არჩევნების შემდეგ შალვა ნათელაშვილი გამოვა და არჩევნების მასობრივ გაყალბებას გააპროტესტებს. მას რუსეთის აგენტობას დააბრალებენ და გიორგაძის მომხრებივით, შესაძლოა, ისიც დაიჭირონ.

ლუსტრირებისთვის საინტერესო მეთოდია, თუმცა შალვა ნათელაშვილს ეს არ სჭირდება. მისი პოლიტიკური ხუმრობების უკან უკვე ძალიან ნათლად იკითხება ის პოზიციები, რომელიც ერთი-ერთზე ასახავს რუსულ ინტერესებს.

მაგრამ, ამომრჩეველთა ხმების როგორი მყარი 10 თუ 12 პროცენტი არ უნდა ჰქონდეს "ლეიბორისტულ" პარტიას, ის ნამდვილად არ არის ძალა, რომელიც ხელისუფლებას შეცვლის და ქვეყნის სათავეში მოვა.

ასე რომ, "ლეიბორისტებზე" დაყრდნობა პერსპექტიული და საიმედო არ არის. მაგრამ რუსეთს, რა თქმა უნდა, აქვს სხვა კოზირი, რომელსაც უხლოეს მომავალში აუცილებლად გაათამაშებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახით.

ოფიციალური მოსკოვი ყველა დონეზე ახდენს იმ მოსაზრების ტირაჟირებას, რომ საქართველო ომისათვის ემზადება. ასეთი ტიპის განცხადებები ხშირად გაისმოდა გაერო-შიც, იმ რეზოლუციის მიღებამდე, რომელსაც რუსეთი თავისი დიპლომატიის გამარჯვებას უწოდებს. ეს დოკუმენტი ყველა მხარემ, მათ შორის საქართველომაც სათავისოდ წაიკითხა, მაგრამ იქ ერთი რამ სავსებით გასაგებად და ცხადად წერია - საქართველოს ხელისუფლებამ თავი უნდა შეიკავოს სამხედრო რიტორიკისაგან.

მართალია, გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ რუსეთის ინტერესებზე უფრო მორგებული რეზოლუციის მიღება ძალიან სერიოზულმა ობიექტურმა გარემოებებმა განაპირობა, მათ შორის ჩრდილოეთ კორეის საკითხმა, მაგრამ ამისგან დამოუკიდებლად, სავსებით ცხადია ერთი რამ - საერთაშორისო ორგანიზაციები და ცალკე აღებული დასავლეთის ქვეყნები ცალსახად და ერთხმად დაგმობენ საქართველოს მხრიდან საომარი რიტორიკის დაწყების მცდელობასაც კი.

რაც არ უნდა მძიმე იყოს ის ეკონომიკური თუ ენერგეტიკული პრობლემები, რომელიც რუსეთის მხრიდან გამოცხადებული საყოველთაო ბლოკადის გამო შეგვექმნება, ბევრად უფრო რთული ამოცანაა იმ პროვოკაციებთან გამკლავება, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან ელოდება, რადგან, საბოლოო ჯამში, აღარავინ დაიწყებს იმის გარჩევას, თუ საიდან წამოვიდა პროვოკაცია და ვინ იყო მისი მომწყობი. საომარი მოქმედების დაწყებაზე პასუხისმგებლობა მაინც საქართველოს დაეკისრება და არა ევროპული ბაზრის ენერგომომმარაგებელ რუსეთს.

დასავლეთს სძულს ომები და არასტაბილური ვითარებები. ძალისმიერი მეთოდებით "კონფლიქტების გადნობის" მცდელობის შემთხვევაშიც კი, ის კიდევ უფრო მეტად ზურგს შეაქცევს საქართველოს. ასეთ ვითარებაში, ადვილი წარმოსადგენია, რა ხნით გაიყინება ნატო-ში გაწევრიანების პროცესი, რომელსაც დასავლეთ ევროპის "ბებერი და ამპარტავანი" წევრები ისედაც ეწინააღმდეგებიან.

ასე რომ, ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების შესაჩერებლად რუსეთს თავის მარაგში ჯერ კიდევ დარჩა ყველაზე მთავარი იარაღი. ეს ლოგიკა იმდენად მარტივია, რომ, რასაკვირველია, ის ხელისუფლებასაც კარგად ესმის.

ადვილი გასაგებია ის ემოციები, რომელიც სეპარატისტი ლიდერების თავხედური და ცინიკური განცხადებების შემდეგ შეიძლება გაუჩნდეს ნებისმიერ ადამიანს და მათ შორის ხელისუფლებას, რომელსაც საკუთარი ჯარის რწმენა უკვე აქვს. მაგრამ, ამ შემთხვევაში, სწორედ ეს არის მთავარი, რა დასწონის - ემოციებზე დაყრდობილი ძალზე სარისკო ნაბიჯები თუ რაციონალური, ფრთხილი და მომავლაზე გათვლილი მომწიფებული პოლიტიკა, რომელსაც ასე არ ელოდებიან რუსეთში ემოციური და ფიცხი სააკაშვილი-ოქრუაშვილის ტანდემისგან.

## უკანონობის დიქტატურა

რუსეთი უზარმაზარია და რთული ისტორია აქვს. ამიტომ რაღაც შედარებების გაკეთება სარისკო საქმეა. თუმცა, ზოგიერთები მაინც ავლებენ ისტორიულ პარალელებს მიმდინარე მოვლენებთან. მაგალითად, ყოფილ პრემიერ-მინისტრს ეგორ გაიდარს ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში გერმანიის ანალოგია მოჰყავს. როგორც პოსტსაბჭოთა რუსეთმა, იმდროინდელმა გერმანიამაც გადაიტანა ეკონომიკური ქაოსი, მის შემდგომ სტაბილიზაციის პერიოდში კი ხალხს იმპერიული ნოსტალგია დაეუფლა. დამოუკიდებელ პარლამენტარს ვლადიმირ რიჟკოვს კი აწუხებს, რომ პუტინი რუსეთის იმპერიის იდეას თანდათან შორდება და "რაიხის" მსგავს შეხედულებებს იზიარებს.

ისტორიაში არსებობს ტერმინი იმ მიმართულების დასახასიათებლად, რომლისკენაც, როგორც ჩანს, მიემართება რუსეთი. ამ სიტყვაში აისახება პარანოიაც, თვითდაჯერებაც, პოპულიზმიც, მოუთმენლობაც, ეკონომიკური და პოლიტიკური ნაციონალიზმიც. ბევრი ამ სიტყვას ძალიან ხშირად ხმარობს, მისი წარმოთქმა, საერთოდ, საშიშია, მითუმეტეს, - რუსეთში. რუსეთი ჯერ იქ არ არის, მაგრამ დროდადრო ისე ჩანს, რომ ზუსტად მისკენ მიდის - ფაშიზმისაკენ.

***"ეკონომისტი"***
***(დიდი ბრიტანეთი)***

უკვეთური ხრესა

# ყველაზე საშიში სიტყვა

"პროვოკაცია" ძველებური საბჭოური თამაშია და მისთვის თვალის მიდევნება ძალიან რთულია. სიტუაცია კიდევ უფრო რთულდება, როდესაც ორივე მხარე ერთი და იმავე ტაქტიკას მიმართავს და ერთმანეთს ერთნაირ ხაფანგს უგებს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ რუსეთ-საქართველოს ბოლო სკანდალზე კრემლის რეაქცია, რომელიც თავდაპირველად მეტისმეტად ემოციური ჩანდა, ახლა უკვე სხვა მნიშვნელობას იძენს.

ოდესღაც საქართველო კრემლის საყვარელი ვასალი იყო, ამჟამად კი მოსკოვი მას დასანახად ვეღარ იტანს. რუსები საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ამერიკის მარიონეტად თვლიან და პოსტსაბჭოური რევოლუციის ვირუსის მთავარ მატარებლად მიიჩნევენ. ვალში არც სააკაშვილი რჩება და მუდმივად ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობას უჭერს მხარს და ეს მხარდაჭერა საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას წარმოადგენს. რუსეთის დაზვერვის რამდენიმე ოფიცრის დაკავებით, საქართველოს პრეზიდენტმა განახორციელა კონტრპროვოკაცია, მიმართული იმისკენ, რომ სხვა ქვეყნების თანაგრძნობა დაემსახურებინა.

თუ სააკაშვილი მართლაც პროვოკაციაზე აკეთებდა გათვლას, მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ მისმა გეგმამ გაამართლა: რუსებმა თითქოს ჯაჭვიდან აიწყვიტეს. მიუხედავად იმისა, რომ დაკავებულების დეპორტაცია მალევე მოხდა, რუსეთმა საქართველოდან თავისი ელჩი გაიწვია, მოახდინა საკუთარი მოქალაქეების ევაკუაცია, თბილისთან სატრანსპორტო და საფოსტო კავშირი შეწყვიტა და ყოველივე ეს იმით დააგვირგვინა, რომ რუსეთში მცხოვრები და მომუშავე ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ (მათი უმრავლესობა რუსეთის მოქალაქეა) სადამსჯელო აქციების სერია დაიწყო.

მხოლოდ მოსკოვში ასობით ადამიანი დააკავეს და დეპორტაცია გაუკეთეს; სახელმწიფომ დაიწყო მტრული ყურადღების გამოჩენა ქართული წარმოშობის მქონე სახელგანთქმული ადამიანების მიმართ; მილიციამ დაიწყო ქართველების კუთვნილი კომპანიების ჩხრეკა და დახურვა. ერთ-ერთი ქართული რესტორნის მენეჯერი აცხადებს, რომ ყველა გაოგნებულია და სამსახურში არავინ ცხადდება; მეორე ჰყვება, რომ წყალი გადაუკეტეს. მილიცია კიდევ უფრო შორს წავიდა და სკოლებიდან ქართული გვარის მქონე მოსწავლეების სიები მოითხოვა, თუმცა კრემლის წარმომადგენელმა დიმიტრი პესკოვმა ამას "ამაზრზენი გადახრა" უწოდა. ახლა კარგად ვხვდები, როგორ ცხოვრობენ აქ ჩეჩნები, - აცხადებს ექიმი, რომელიც, მოსკოვში მცხოვრები ქართველების დიდი ნაწილის მსგავსად, აფხაზეთიდან დევნილია.

ხელისუფლება პირობას იძლევა, რომ მიიღებს ახალ კანონს იმიგრაციის შესახებ, რომელშიც საქართველოს წინააღმდეგ მიმართული შეზღუდვები ცალკე მუხლად იქნება ჩამოყალიბებული; ასევე იგეგმება შეზღუდვების დაწესება რუსეთიდან ფულის გადარიცხვაზე, რაც საქართველოს ეკონომიკის აღმავლობას უწყობს ხელს (რუსეთში ამტკიცებენ, რომ ეს ფული საქართველოს მილიტარიზაციასაც ხმარდება). საკმაოდ დიდია იმის ალბათობა, რომ რუსულ გაზზე მოხდება ფასის მორიგი მომატება, როგორც ეს მიმდინარე წლის ზაფხულში მოხდა, როდესაც დღემდე დაუდგენელმა პირებმა ორივე საექსპორტო მილსადენზე ერთდროულად მოაწყეს აფეთქება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საკაშვილმა სათანადოდ ვერ შეაფასა ის ზიანი, რომელიც კრემლმა შეიძლება მიაყენოს საქართველოს (გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით), აგრეთვე ის დახმარება, რომლის მიღებაც მას გარედან შეუძლია. "რუსეთი საქართველოს დასავლეთის ბასტიონად მიიჩნევს, - განაცხადა მან, - "მაგრამ თავად დასავლეთი ასე არ ფიქრობს".

რაც არ უნდა მოხდეს, საქართველო ამ დაპირისპირებასაც გადაიტანს. საკითხავი ის არის, გადაიტანს თუ არა მას რუსეთი? კონფლიქტის ესკალაცია, რაზედაც რუსეთი წავიდა, სხვა არაფერია, თუ არა იმ საბჭოური ჩვევების გამოვლინება, რომელიც პუტინმა ხელისუფლებაში დაამკვიდრა - საგარეო მტრის ხატის შექმნა და მისი გამოყენება საშინაო პოლიტიკის ინსტრუმენტად. წინათ ასეთ საგარეოპოლიტიკურ სამიზნეს წარმოადგენდა ამერიკა, შემდეგ უკრაინა, მათ შემდეგ კი უცხოელი ქველმოქმედნი, რომლებიც თითქოს ჯაშუშობით იყვნენ დაკავებულნი. ახლანდელი სკანდალი ზუსტად იმ მომენტში გაჩაღდა, როდესაც პრეზიდენტის მემკვიდრის საკითხის ირგვლივ ვნებათღელვა მატულობს: 2008 წელს იწურება პუტინის მეორე (იდეაში, ბოლო) საპრეზიდენტო ვადა. ასეთ დროს საკმაოდ ხელსაყრელია საგარეო საფრთხის ფაქტორი, თუნდაც გამოგონილი.

საფრთხეებით მანიპულირებასთან ერთად, კრემლი კიდევ ერთ ახალ ტექნოლოგიას იყენებს. ეს არის ქსენოფობიური ნაციონალიზმი. თვალშისაცემია, თუ როგორ ხოცავენ სკინჰედები სხვადასხვა რასის ადამიანებს და ამისთვის საკმაოდ მსუბუქ სასჯელს იღებენ (თუ საერთოდ იღებენ). რაც შეეხება ჩრდილოეთ რუსეთში მოწყობილ ანტიკავკასიურ ბუნტს, რომელიც ერთი თვის წინათ მოხდა კონდოპაგში, ძველ დროში ამას, უბრალოდ, "პოგრომს" უწოდებდნენ.

ბოლო დრომდე კრემლი, ასე თუ ისე, ცდილობდა, როგორც კრინეგის მოსკოვის ცენტრის ანალიტიკოსი დიმიტრი ტრენინი აცხადებს, "ზურგზე მოხტომოდა ექსტრემისტულ-ნაციონალისტურ ზოლებიან ვეფხვს" და მეტად სარისკო ორმაგ სტრატეგიას მიმართავდა: ერთი მხრივ, თავის თავს ანტიექსტრემიზმის ბასტიონად წარმოაჩენდა, მეორე მხრივ კი ნაციონალისტური ინსტიტუტებიდან ხერის ნახვას ცდილობდა. მიიჩნევა, რომ სწორედ კრემლის კარნახით ჩამოყალიბდა ნაციონალისტური პარტია "როდინა", რომელმაც კომუნისტებს ელექტორატის ნაწილი წაართვა და რომელიც ამჟამად ორ "ოპოზიციურ" (ფაქტობრივად კი ასეთივე ლოიალურ) პარტიასთან არის შერწყმული.

ახლა პუტინი, როგორც ჩანს, ვეფხვის "გაჭენებას" აპირებს. გასულ კვირას მან მოწოდებით მიმართა მინისტრებს, დაიცვან "რუსეთის ძირძველი მოსახლეობა" ეთნიკური ბანდებისაგან, რომლებიც, პუტინის თქმით, ბაზრობებს აკონტროლებენ. პესკოვის განცხადებით, ასეთი ბანდები "მართლაც არსებობენ". თუმცა, რასისტების მიერ მოსკოვის ერთ-ერთ ბაზარში განხორციელებული აფეთქების შემდეგ, რომლის შედეგადაც ათზე მეტი ადამიანი დაიღუპა, პუტინის სიტყვები, უკეთეს შემთხვევაში, უადგილოდ წარმოჩინდა, საერთოდ კი, იმ ქვეყანაში, რომელიც პოლიეთნიკური შემადგენლობით გამოირჩევა, ასეთი მოწოდება საშიშ პოტენციალს შეიცავს.

მეორე საშიშროებას წარმოადგენს უცხოური ენერგოკომპანიებისთვის ხელების გადაგრეხვა. ხელისუფლება მსხვილ ინვესტორებზე ზეწოლით აღარ კმაყოფილდება. გაზის სახელმწიფო გიგანტი "გაზპრომი", რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ცდილობდა, შტოკმანის გემრიელი ლუკმით ყველა დაეინტერესებინა, ახლა უკვე აცხადებს, რომ ამ უდიდეს საზღვაო საბადოს მარტო აითვისებს.

ბიზნესისა და საქართველოს მიმართ სახელმწიფოს ასეთი დამოკიდებულება იმის დასტურია, რომ პუტინმა, თავისი დაპირების მიუხედავად, ქვეყანაში "კანონის დიქტატურა" ვერ დაამყარა. დამოუკიდებელი სასამართლოს, სიცოცხლისუნარიანი ოპოზიციისა და ხელისუფლების სხვა შემაკავებლების არარსებობის პირობებში, კრემლი იღებს კანონებს და არღვევს მათ, როდესაც თავად უნდა. რასობრივი ძალადობა რუსეთში არსებული უკანონობის სიმპტომიც არის და შედეგიც. სანკტ-პეტერბურგის ევროპული უნივერსიტეტის ექსპერტის ედუარდ პონაროვის თქმით, სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი, განსაკუთრებით კი მილიციის მიმართ, უნდობლობა აიძულებს ზოგიერთ ადამიანს, სამართლიანობის აღდგენის გზები თავად ეძებოს. ამის დასტურია შეკვეთილი მკვლელობების სერია, რომლის მსხვერპლი გახდა ცენტრალური ბანკის მაღალჩინოსანი და იმ კომპანიის ინჟინერი, რომელიც ხელისუფლებას დაუპირისპირდა. 7 ოქტომბერს კი ასეთივე მეთოდით სიცოცხლეს გამოასალმეს ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე ანა პოლიტკოვსკაია.

ზოგიერთები, მათ შორის, პუტინი, ამტკიცებენ, რომ პოლიტკოვსკაიას მკვლელობა არის რუსეთის ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით ჩაფიქრებული მორიგი პროვოკაცია. თუმცა, ვისაც არ უნდა მოეკლა ცნობილი ჟურნალისტი, ამაში ნაწილობრივ პუტინსაც მიუძღვის ბრალი, რომელმაც ჟურნალისტიკა იშვიათ და საშიშ პროფესიად აქცია.

# მოკლედ

## აფხაზები კვლავ რუსეთისკენ ილტვიან

აფხაზეთის არასამთავრობო რეგიონული, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციები დღეს ხელს მოაწერენ დე-ფაქტო პრეზიდენტის სერგეი ბაღაფშის და აფხაზეთის პარლამენტისადმი მიმართვის ტექსტს, რომლითაც ისინი რუსეთის ფედერაციას აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას სთხოვენ.

როგორც სააგენტო "ინტერფაქსი" იუწყება, ტექსტი რუსულ მხარესთან უკვე შეთანხმებულია. აფხაზური ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, რუსეთთან აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის სამხედრო-პოლიტიკური ხელშეკრულების გაფორმება. ასევე, აფხაზეთსა და რუსეთს შორის სავალუტო-საბაჟო და საზღვრის დაცვის საკითხებზე ხელშეკრულებების დადება.

მიმართვის ტექსტში ნათქვამია, რომ აფხაზეთის თვითაღიარებულმა რესპუბლიკამ დაამტკიცა, რომ ის დამოუკიდებელი სახელმწიფოა, თუმცა ეს ფაქტი დღემდე საერთაშორისო ორგანიზაციებს არ უღიარებიათ, რაც საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან უპატივცემულობის გამოხატულებაა.

მიმართვის ტექსტში ასევე ხაზგასმულია, რომ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის მომენტიდან, საქართველოს პოლიტიკური კურსი აგრესიული გახდა და სააკაშვილის ხელისუფლება ამერიკის მხარდაჭერით საქართველოს მილიტარიზაციას ახდენს, რაც თვითაღიარებული რესპუბლიკებისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. **ინტერპრესნიუსი**

## სომხური კულტურის დღეები საქართველოში

საქართველოს მწერალთა კავშირის ინიციატივითა და კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, გუშინ საქართველოში სომხური კულტურის დღეები დაიწყო.

როგორც მწერალთა კავშირის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერი მანანა გორგიშვილმა აცხადებს, სომხური კულტურის დღეები სახელმწიფო პროგრამის - "საქართველო - მშვიდობიანი კავკასიის" - ფარგლებში ტარდება, რომლის კოორდინატორი პარლამენტარი ბესო ჯულელია.

გუშინ საქართველოში სომეხი პოეტებისა და პროზაიკოსებისაგან შემდგარი ათკაციანი დელეგაცია ჩამოვიდა. სტუმრები თბილისის სომხური დრამატული თეატრის 150 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს დაესწრნენ.

16 ოქტომბერს კი დელეგაცია სამების საკათედრო ტაძარს მოინახულებს და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს შეხვდება. ამავე დღეს სომხური პოეზიისა და ლიტერატურის საღამო - "მწერალთა დიალოგი" გაიმართება, რომელსაც საქართველოში სომხეთის ელჩი და სომხური დიასპორის წარმომადგენლები დაესწრებიან.

17, 18 და 19 ოქტომბერს სომხური დელეგაციის წევრები, მასპინძლებთან ერთად, კახეთს, ქუთაისს, ბათუმსა და მცხეთას ესტუმრებიან. **ინტერპრესნიუსი**

# ორი სიტყვით

გარემოს დაცვის ინსპექციის თანამშრომლებმა ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიაში, ანაკლია-ყულევის მონაკვეთზე, ზღვის ზოლში უკანონო თევზჭერისთვის საჭირო ხელსაწყოები აღმოაჩინეს. თევზჭერისთვის აკრძალულ ზონაში ამოღებულია რამდენიმე ასეული მეტრი სიგრძის ბადე. დამნაშავეთა გამოსავლენად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მიმდინარეობს. თუ ეს პირველი შემთხვევაა, ბრაკონიერები ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდებიან, ხოლო თუ ასეთი რამ განმეორებით ხდება, მაშინ ეჭვმიტანილთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

დედაქალაქის სახელობის, ტრადიციული საშემოდგომო დღესასწაული - "თბილისობა" 21-22 ოქტომბერს გაიმართება. ამჟამად ზუსტდება დღესასწაულის პროგრამა. წინასწარი მონაცემებით, შეიქმნება ტურისტული მარშრუტები, რომელიც ძირითადად ქალაქის ისტორიულ ნაწილს მოიცავს. თბილისის ცენტრსა და გარე უბნებში კი ღია სცენები დამონტაჟდება, სადაც კონცერტები გაიმართება. **ინტერპრესნიუსი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# საკამათო რეზოლუციის ერთი არსებითი ასპექტი

ჰირველი გვერდიდან

პირველი და უმთავრესია, რუსეთის სამშვიდობო ძალების ჩანაცვლება იმ ქვეყნების სამშვიდობო კონტინგენტით, რომლებსაც, რუსეთისგან განსხვავებით, არავითარი დაინტერესება არა აქვთ, ანუ არ არიან კონფლიქტის მონაწილე მხარეები. სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციის შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლება მზად არის ამ სამშვიდობო "კოქტეილში" აიტანოს რუსეთის სამშვიდობო ძალების კომპონენტიც.

ცხადია, საქართველოს ხელისუფლებას ანალოგიური დამოკიდებულება აქვს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მოქმედი ე.წ. დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების მიმართ. უბრალოდ, თბილისმა ცხინვალის სახით ორიდან უფრო სუსტი რგოლი აირჩია.

მაგრამ კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანის სამხედრო ამბოხის ჩახშობის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ სწრაფი და ეფექტური კონტროლი დააწესა კოდორის ხეობაზე და ამ დროიდან თბილისისთვის ნათელი გახდა, რომ არის პროცესები, რომელთა წარმართვა საერთაშორისო ორგანიზაციების გვერდის ავლითაც შეიძლება. ამიტომაც არ გამოუწვევია, გაერო-ს 13 ოქტომბრის რეზოლუციას ნერვიული აჟიოტაჟი.

რეზოლუციაში არაფერია ნათქვამი, რომ კოდორის ხეობაში ივლისამდე არსებული სტატუს-კვო უნდა აღდგეს. ასე რომ, იმ "ცხადი სიგნალების" გარდა, რაზეც ამაყად საუბრობდა გაერო-ს შტაბ-ბინაში რუსეთის წარმომადგენელი ვიტალი ჩურკინი, საქართველოს ხელისუფლებამ სხვა სახის სიგნალიც მიიღო. ეს სიგნალი ასეც შეიძლება იქნას გაგებული: "ნუ გაჩერდები მიღწეულზე, გადადგი ნაბიჯი, დაამყარე წესრიგი, აჩვენე, რომ ადამიანის უფლებებს უკეთ იცავ, ვიდრე არსებული რეჟიმი".

მაგრამ რა ვუყოთ სამშვიდობო ძალებს, რომელსაც გაერო-ს გადაწყვეტილებით ავტომატურად უგრძელდებათ მოქმედების მანდატი? (ეს პარადოქსული ვითარება შევარდნაძე-პუტინის 2002 წლის სოჭის შეთანხმების პროდუქტია).

ჯერჯერობით ფაქტი ისაა, რომ არც ევროკავშირს, არც ნატო-ს და არც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას არ გამოუთქვამთ სურვილი, ჩაერთონ სამშვიდობო ოპერაციის სამხედრო კომპონენტში. გასულ კვირაში ევროკავშირმა გადაჭრით განაცხადა, რომ არ აპირებს სამშვიდობო ძალების გაგზავნას საქართველოში. სხვა პოტენციური დონორებიც ჩუმად არიან. შესაბამისად, ეს ვითარება საქართველოს ხელისუფლებას აიძულებს, დაივიწყოს პარლამენტში 15 თებერვალს, ამაღლებულ ატმოსფეროში და საოცარი ერთსულოვნებით მიღებული რეკომენდაცია, რომელიც მთავრობას ავალებდა გამოსულიყო 1992 წლის დაგომისის შეთანხმებიდან და დაუყოვნებლივ დაეწყო მოლაპარაკება დასავლეთის ქვეყნებთან რუსეთის სამშვიდობო ძალების ჩანაცვლების შესახებ. თუმცა, **"დადგენილება ძალაშია და იგი თაროზე დიდი ხნით არავის შემოუდევსო"**, აღნიშნავს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკოლოზ რურუა.

რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს ცდუნება, საქართველომ არ უნდა იჩქაროს თაროდან ამ დადგენილების ჩამოღება, მორიგი დემარშის ან "ჰუმანიტარული შტურმის" წამოწყება, როგორც ამას ზოგიერთი პარლამენტარი მოითხოვს.

ღირს გავიხსენოთ, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ქვედა პალატის ვიცე-სპიკერმა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ, რომელიც შემჩნეულია კრემლის იდეების რეტრანსლირებაში, გასულ კვირაში ორჯერ განაცხადა, რომ საქართველოს ტერიტორიას რამდენიმე თვეში რუსეთის სამშვიდობო ძალის ნაწილებიც დატოვებენ.

გაერო-ს ზემოხსენებული რეზოლუცია საქართველოს ამ პაუზის გადატანაშიც უნდა დაეხმაროს. დრო საქართველოს სასარგებლოდ მუშაობს.

## "შეწყვიტეთ ისტერიკა!"

*მოსკოვში საგარეო საქმეთა სამინისტროს წინ დაგეგმილ აქციაზე რუსეთის ხელისუფლების მოწინააღმდეგეების გარდა, მისი მომხრეებიც მივიდნენ.*
*მაშინ, როცა მოძრაობა "ობორონა" რუსეთის ხელისუფლებისგან ანტიქართული კამპანიის შეწყვეტას ითხოვდა, როდესაც მიტინგზე ზეწრებში გახვეული დაახლოებით 20-მდე "როსია მოლოდაიას" აქტივისტიც მივიდა, ისინი სამართალდამცველების კორდონის გარღვევასა და ახალგაზრდა დემოკრატების აქციაზე შეჭრას ცდილობდნენ. მიტინგი არასანქცირებული იყო, რის გამოც მილიციამ პროვოკატორები დააპატიმრა და სმოლენსკის მოედნიდან გაიყვანა.*

ნათია მსხილაძე

როგორც ელექტრონული გამოცემა "გაზეთა რუ" იუწყება, მოძრაობის ორი წევრი მაშინვე დააკავეს, როგორც კი მათ პლაკატები გაშალეს შეურაცხმყოფელი წარწერით - "სააკა-კლოაკა" და საქართველოს პრეზიდენტის გადახაზული გამოსახულებით.

აქციის მსვლელობისას "როსია მოლოდაიას" ერთ-ერთი წევრი ავტობუსზე აძვრა და საქართველოს პრეზიდენტის საწინააღმდეგო ლოზუნგებით გამოდიოდა.

მოძრაობა "ობორონას" წევრები, რომლებიც კრემლის ანტიქართული კამპანიის წინააღმდეგ მიმართული გუშინდელი აქცია დაგეგმეს, შეეცადნენ რეაქციულად განწყობილი "ახალგაზრდა რუსი" ავტობუსიდან ჩამოეყვანათ. ორი მოძრაობის წევრთა შორის ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ადგილზე მივიდნენ მილიციის თანამშრომლები, რომლებმაც "როსია მოლოდაიას" აქტივისტები დააკავეს.

როგორც მოძრაობის კოორდინატორმა, ოლეგ კოზლოვსკიმ რადიოსადგურ "ეხო მოსკვის" ეთერში განაცხადა, აქციის მონაწილენი რუსეთის მთავრობას სთხოვდნენ, რომ შეეწყვიტათ უაზრო ისტერიკა საქართველოსა და ქართველების მიმართ. **"ჩვენ, საქართველოს მთავრობას პასუხისმგებლობას არ ვუხსნით იმაზე, რაც ხდება, მაგრამ ქართველი და რუსი ხალხი დამნაშავენი არ არიან. რუსეთს საქართველოსთან კონფრონტაცია არ სჭირდება, ჩვენთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, გვყავდეს მეგობრები, ვიდრე მტრები"**, - აცხადებს კოზლოვსკი.

მეორე რუსული ინტერნეტ-სააგენტო "ნიუს.რუ."-ს ინფორმაციით, წინასწარ ნავარაუდევი 50 კაცის ნაცვლად, აქციაში მხოლოდ 30 კაცი მონაწილეობდა. მილიციელებმა "როსია მოლოდაიას" აქტივისტები არბატის შინაგან საქმეთა განყოფილებაში გადაიყვანეს და მათ ადმინისტრაციული ოქმები გაუფორმეს, რომლებიც მომავალში სასამართლოს გადაეცემა.

სავარაუდოდ, დაკავებულებს ფულადი ჯარიმა დაეკისრებათ.

უნდა აღინიშნოს, რომ აქცია ლოზუნგით - "შეწყვიტეთ ისტერიკა!"- 10 ოქტომბერს იყო დანიშნული, მაგრამ ორგანიზატორებმა მისი ჩატარება ცნობილი ჟურნალისტის ანა პოლიტკოვსკაიას დაკრძალვის გამო გადადეს.

## ბურჯანაძემ სუამ-ის სამიტზე მოსკოვი ანტიქართულ ისტერიაში დაადანაშაულა

კიშინოვში გამართულ სუამ-ის სამიტზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ რუსეთ-საქართველოს შორის ბოლო დროს დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაზე ისაუბრა და ოფიციალური მოსკოვი საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების ინსპირირებასა და ანტიქართულ ისტერიაში დაადანაშაულა.

სამიტის დაწყებამდე ბურჯანაძე საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე უკრაინის პარლამენტის თავმჯდომარეს ტელეფონით ესაუბრა და მხარეებს შორის დიალოგის დაწყებისთვის დახმარება სთხოვა.

ნინო ბურჯანაძე ურთიერთობების კონფრონტაციდან დიალოგის რეჟიმში გადატანის მომხრეა. აღსანიშნავია, რომ სამიტზე ქართული მხარის გარდა, რუსეთის საკითხი სუამ-ის არცერთ წევრ-ქვეყანას არ დაუყენებია.

"საქართველოს მოქალაქეები მოსკოვიდან საკუთარ სამშობლოში სატვირთო თვითმფრინავებით ჩამოიყვანეს. მათი მთავარი დანაშაული ის იყო, რომ ისინი ეთნიკური ქართველები არიან. ეს ფაქტი უნდა გახდეს მსჯელობის საგანი, რადგან დღეს რუსული აგრესიული პოლიტიკის მსხვერპლი ქართველია, გუშინ ებრაელი იყო, ხვალ შეიძლება მოლდოველი, აზერბაიჯანელი ან სხვა რომელიმე ეროვნების ადამიანი აღმოჩნდეს. ეს ისტერია უნდა დასრულდეს", - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. სამიტის ბოლოს სუამ-ის სახელმწიფოებმა ერთობლივი განცხადება მიიღეს.

***ინტერპრესნიუსი***

## მოსკოვის "ჰუმანიტარული საჩუქარი" ცხინვალს

მოსკოვის მთავრობამ ე.წ. სამხრეთ ოსეთში ჰუმანიტარული ტვირთი გააგზავნა, - ამის შესახებ ინფორმაციას რადიოსადგური "რუსეთის ხმა" ავრცელებს. როგორც რადიოსადგური იუწყება, "დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ" სეპარატისტულ რესპუბლიკას სამედიცინო აღჭურვილობა, სახელმძღვანელოები და ავეჯი სკოლებისთვის, ასევე საგზაო ტექნიკა ერგო. გასულ თვეს მოსკოვისა და დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის მთავრობებმა ჰუმანიტარულ სფეროში თანამშრომლობასა და ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობების გაღრმავებაზე ხელშეკრულება გააფორმეს.

***ინტერპრესნიუსი***


**2006 წლის 21 ოქტომბერს აშშ საელჩო თბილისში აწყობს ღია აუქციონს**

აუქციონზე წარმოდგენილი იქნება ნახმარი და დაზიანებული საყოფაცხოვრებო და საოფისე ავეჯი, მოწყობილობები, ნახმარი მანქანის ამწე, ნახმარი/დაზიანებული სადურგლო მაგიდები, ძველი/ნახმარი კომპიუტერული ტექნიკა და ნახმარი/დაზიანებული ავტომანქანები.

აუქციონზე წარმოდგენილი ყველა ნივთი იყიდება "არსებულ მდგომარეობაში" ნებისმიერი გარანტიის გარეშე.

მყიდველი საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებელია აუქციონზე გამოტანილი ნივთების შემდგომ განბაჟებაზე და სრულად იხდის საბაჟო გადასახადებს.

დაინტერესებულ პირთათვის ნივთების დათვალიერება მოხდება მხოლოდ აუქციონის დღეს, 21 ოქტომბერს დილის 9-დან 11 საათამდე.

**აუქციონი (ბიდინგი) დაიწყება დილის 11 საათზე.**

აუქციონი ჩატარდება შემდეგ მისამართზე: **თბილისი, ჟორჟ ბალანჩინის ქუჩა 11, აშშ საელჩოს ახალი კომპლექსის ავტოსადგომი (ავტობაზრობის მიმდებარედ, გლდანი/დიღმის ხიდთან).**

**ცნობებისათვის დარეკეთ: 277201 ან 899 977810.**


ვრცელსაიტიანი

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 202424 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ნოდარ ლადარია

სიტყვას "გაფარჩაკება", რომლითაც საქართველოს პრეზიდენტმა ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნებში პოლიტიკური ოპოზიციის მიერ მიღებული შედეგები დაახასიათა, ერთობ საგულისხმო ეტიმოლოგია აქვს: ეს მოშავო ფერის ტერმინი მომდინარეობს რუსული ზმნიდან **портить**, საიდანაც მიღებულია არსებითი სახელი **порчак**. თუ გულაგის ვეტერანს, მწერალ **ვარლამ შალამოვს** დავუჯერებთ, ამ სიტყვით "პროფესიული" კრიმინალები აღნიშნავენ იმ სამოქალაქო პირებს, რომლებმაც ასე თუ ისე ფეხი ჩადგეს დანაშაულებრივ სამყაროში, მაგრამ ვერასოდეს მიიღებენ მასში ელიტარულ პოზიციას: "ფარჩაკი" ყოველთვის დარჩება, ასე ვთქვათ, პერიფერიაზე, სადღაც ახლოს, მაგრამ ვერასოდეს ექნება შანსი "ქურდის" ტოლი პატივისა.

თუ გადავიტანთ ამ "ბლატნოი" ტერმინს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, შეიძლება ვაღიაროთ, რომ მიხეილ საკაშვილი არცთუ ისე შორს დგას ვითარების ადეკვატური აღწერისაგან: დღევანდელი პოლიტიკური ოპოზიცია როგორც ჩავლილი არჩევნების ობიექტური შედეგებით, ასევე უახლოესი მომავლისათვის სავარაუდო პერსპექტივებითა თუ საკუთარი ნებისა და ინტერესების გამოხატვის დონით მართლაც ერთგვარი "ფარჩაკის" მდგომარეობაშია. მაგრამ ამ შემთხვევაში არა იმდენად ადეკვატურობა გვაინტერესებს, არამედ პრეზიდენტის მეტაფორის მეორე მხარე: თუ ოპოზიცია ამგვარად ხასიათდება, როგორც პრეზიდენტმა ბრძანა, იგივე რიტორიკის ფარგლებში რა ტერმინს იმსახურებს მმართველი უმრავლესობა?

შესაძლოა, ვინმეს წვრილმანად მოეჩვენოს ჩემი შენიშვნა, ამიტომ ერთ მეტაფორას მეც გამოვიყენებ: მართალი იქნება, ვინც იტყვის, რომ თითების ანაბეჭდების საფუძველზე შეუძლებელი იქნება, მაგალითად, ჩემი პიროვნული არსის წვდომა, მაგრამ იგივე მონაცემები სრულიად საკმარისია ჩემი პიროვნების იდენტიფიკაციისთვის. გასაგებია, რომ იდენტიფიკაცია ხშირად გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და საზოგადოებრივად სასარგებლო რამაა, ვიდრე "პიროვნული არსის წვდომა". **მიხეილ საკაშვილის** მიერ დაშვებული წამოცდენა, რა თქმა უნდა, სრულად არ განსაზღვრავს ქართული პოლიტიკის ყველა მხარეს, მაგრამ მაინც იძლევა ღრმად ჩაფიქრების საფუძველს...

უმრავლესობისთვის დამახასიათებელმა "არაარსებითმა" საერთო თვისებებმა, რომლებიც სერიოზულ წინააღმდეგობათა არარსებობის შემთხვევაში ამგვარი "წამოცდენებით" შემოიფარგლება, სხვა ვითარებისას შეიძლება უფრო მძიმე შედეგები მოგვცეს. მაგრამ ამ საკითხზე მსჯელობა ოდნავ გადავდოთ და ვნახოთ, რას გვამცნობს **ეკა კვესიტაძის** სტატია *კონსტრუქციული ოპონირება - ერთადერთი გზა ოპოზიციისთვის*, რომელიც "24 საათში" 11 ოქტომბერს გამოქვეყნდა.

პირდაპირ საბოლოო დასკვნით დავიწყოთ. ამ დასკვნის საფუძვლად გამოყენებულია მიხეილ საკაშვილის სიტყვები: **"გავაგრძელოთ დიალოგი, დაბრუნდით პარლამენტში, გაუწიეთ კონსტრუქციული ოპონირება კონკრეტულ კანონპროექტებს, შემოგვთავაზეთ თქვენი ვარიანტები და პირობას გაძლევთ, რომ ამ პროცესში მეც ჩავერთვები"**. ასეთია პრეზიდენტის რეკომენდაცია. ჩვენი ავტორის დასკვნა კი შემდეგია: **"ძნელია სათქმელია, არის თუ არა კონსტრუქციული დიალოგის დაწყების ხასიათზე არჩევნებში დამარცხებით გაღიზიანებული ოპოზიცია. თუმცა ცხადია, რომ კონსტრუქციული ოპონირება ის ერთადერთი გზაა, რომელიც ოპოზიციის ნაწილს გამარჯვების შანსს გრძელვადიან პერსპექტივაში მაინც მისცემს"**.

ამ დასკვნასთან დაკავშირებით რამდენიმე შეკითხვა გამიჩნდა. წინასწარვე უნდა აღვნიშნო, რომ არ ვეკამათები სტატიის ავტორს, რადგან არ განვიხილავ ამ დასკვნის ლოგიკურობასა და საფუძვლიანობას თვით სტატიის ტექსტიდან. განვიხილოთ ეს დასკვნა როგორც ჩვენი სინამდვილის ერთ-ერთი გამოძახილი.

აი, მაგალითად, მისი პირველი წინადადება: **"ძნელია სათქმელია, არის თუ არა კონსტრუქციული დიალოგის დაწყების ხასიათზე არჩევნებში დამარცხებით გაღიზიანებული ოპოზიცია"**. გასაგებია, რას გულისხმობს ავტორი? რა თქმა უნდა, გასაგებია. თუ ქართული სინამდვილის ფარგლებში დავრჩებით, ვერც კი შევამჩნევთ ამგვარი წინადადების ტრაგიკულობას. მაგრამ ვთარგმნოთ ეს წინადადება რომელიმე ისეთი ქვეყნის ენაზე, რომელსაც ჩვენში "ცივილიზებულს" ან "ნორმალურს" უწოდებენ და წარმოვიდგინოთ ეს სიტყვები შესაბამის ენაზე გამოცემული გაზეთის ან ჟურნალის ფურცლებზე. გაგება მაშინვე წაიწყდება დაბრკოლებას: კი მაგრამ, განა ეს "კონსტრუქციული დიალოგი" საპარლამენტო ოპოზიციის განმსაზღვრელი თვისება არ უნდა იყოს? - შეგვეკითხება შესაბამისი ენის მატარებელი მკითხველი და იტყვის, რომ ასეთი დიალოგის არარსებობა უკვე ნიშნავს იმას, რომ საქმე საპარლამენტო ოპოზიციასთან კი არა, რაღაც სხვა, მისთვის გაუგებარ რეალობასთან აქვს.

- რა შუაშია აქ "ხასიათზე ყოფნა"? — განაგრძობს გაკვირვებას ჩვენი ჰიპოთეზური მკითხველი. - ან ასრულებ შენს ფუნქციას, ან არა. რაც შეეხება არჩევნებში დამარცხებას, ეს კონკრეტული დასკვნების გამოტანისა და ტაქტიკური კორექტივების საფუძველია.

გადავდგათ კიდევ ერთი ნაბიჯი წინ და მეტი ნათელი მოვფინოთ ზემოთ მოყვანილი წინადადების ტრაგიზმს. მის ერთ-ერთ გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგალითად, ის გარემოება, რომ ოპოზიციის "გაღიზიანება" (თითქოს საქმე ერთ ადამიანთან გვქონდეს!) რაღაც სრულიად ბუნებრივად და გამართლებულად აღიქმება. გაღიზიანდნენ, მაშ! მაგრამ რატომ გაღიზიანდნენ? — იმიტომ, რომ საქართველოში არც ერთი პოლიტიკური პარტია არ წარმოადგენს ერთიანი ეკონომიკური ინტერესებით შედუღაბებული დიდი სოციალური ჯგუფების ინტერესთა ორგანულ გამომხატველს. საქართველოში უფრო გავრცელებული და გასაგები რიტორიკა რომ გამოვიყენოთ, იგივე აზრი ასე გამოითქმის: არც ერთი პოლიტიკური პარტიის უკან არ დგას ერთიანი ეკონომიკური ინტერესების მქონე მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივი ჯგუფი. მესამენაირადაც შეგვიძლია ვთქვათ: საქართველოში მსგავსი ეკონომიკური ინტერესებით გაერთიანებული საზოგადოებრივი ჯგუფები მოქალაქეობრივი შეგნების ძალიან დაბალ დონეზე დგანან და ვერ ახერხებენ თავიანთი წიაღიდან ისეთი სტრუქტურების კრისტალიზაციას, რომლებიც ადეკვატურად წარადგენენ მათ ინტერესებს მმართველ ორგანოებში.

თვით ერთიანი ნაციონალური მოძრაობაც არ ყოფილა მოსახლეობის დიდი ნაწილის სტაბილური და, ასე ვთქვათ, მომწიფებული ნების გამომხატველი — ამისთვის ბრძოლა მან მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც ძალაუფლებაში მოვიდა. ამით აიხსნება დღევანდელი ვითარების ორი ფუნდამენტური თვისება:

1) იდეოლოგიური საყრდენის იმპულსური (რომ არა ვთქვათ ისტერიული) ძიება: გახსოვთ ალბათ ნაწვიმარზე სოკოებივით ამოსული და შემდეგ შეუმჩნევლად მეორე პლანზე გადასული ინიციატივები — დილაობით ეროვნული დროშის აწევის ცერემონიალი სკოლებში (ამერიკული "სამოქალაქო რელიგიის" ანარეკლი), ოსიაურის ბატალიონთან დაკავშირებული მედია-აჟიოტაჟი, რომელიც დაძაბულობით "რეალიტი-შოუს" დონეს აღწევდა, ნორჩ პატრიოტთა ბანაკები და სხვა უფრო წვრილმანი მცდელობები: **გიული ალასანიას** "ევრაზიულობა", **ხათუნა გოგორიშვილის** ბანაობა იორდანეში, სხვადასხვა სათაყვანებელი ნეშტის განხროციელებული და განუხორციელებელი გადმოსვენება, დაფიცებები, შერიგებები და ა. შ. ბოლოს და ბოლოს, ამ იდეოლოგიური საყრდენის ძიება სულ უფრო კონკრეტდება "ფოლკლორულ" მიმართულებაზე, რაც, როგორც ეტყობა, სახელმწიფო ნაციონალიზმის დასამკვიდრებელ ყველაზე უსაფრთხო და ეფექტურ ფორმადაა მიჩნეული.

2) ადმინისტრაციული რესურსის არნახული გამოყენება: ამას ეკა კვესიტაძეც აღნიშნავს თავის სტატიაში, როცა **გიგი უგულავას** მომღიმარი სახით გაცისკროვნებულ საგზაო-სარემონტო სამუშაოებს იხსენებს. ადვილად შეიძლება დავკმაყოფილდეთ ამ საკითხის ნეგატიური შეფასებით. სამწუხაროდ, ასეთი შეფასება მოცემულ ვითარებაში ზედაპირული იქნება. ვიღაცის ბოროტი ნებითა და მორალური ხინჯით საზოგადოებრივი ცხოვრების ახსნა არასოდეს იქნება არც მეცნიერულად და არც პოლიტიკურად ღირებული. საქმე ისაა, რომ ბოლო წლების საქართველოში ისტორია უკუღმა განივთარდა. ჩვეულებრივ, ჯერ იქმნება საერთო ეკონომიკური ინტერესების მქონე დიდი ჯგუფი, რომელიც გამოირჩევა თავისი განსაკუთრებული სუბკულტურით. ამ უკანასკნელის ფორმალიზაცია ხდება ინტელექტუალურ, შემდეგ კი პოლიტიკურ დონეზე და იქმნება პარტია. სწორედ ამიტომ გეტყვით მეტ-ნაკლებად განათლებული ამერიკელი, რომ მის ქვეყანაში ფერადკანიანთა უმრავლესობა დემოკრატია, რესპუბლიკელთა უმრავლესობა კი თეთრკანიანი (იქნებ პირიქითაც იყოს, ახლა ამას მნიშვნელობა არა აქვს — მთავარია საზოგადოებისა და პოლიტიკური ძალის ორგანული კავშირი). ჩვენში კი ჯერ შეგროვდა ნეგატიური მიზნით (საქართველო შევარდნაძის გარეშე!) გაერთიანებული ამორფული მასა, მერე კი ამ მასის ინტელექტუალურმა ბირთვმა დაიწყო ზრუნვა ორგანულობის შექმნაზე.

აბა, დააკვირდით: უმრავლესობის სახელით სულ ერთი და იგივე ადამიანები გამოდიან, პარლამენტის დარბაზში უმრავლესობის მხარეზე მჯდომი დანარჩენი მასა, ასე ვთქვათ, "შენ გაჩერდის" პირობით ინარჩუნებს სტატუსს. ამორფული მასიდან ამოიწვერა ერთგვარი "შინაგანი პარტია", თუმცა არც ისე საშინელი, როგორიც შეიძლებოდა წარმოგვედგინა. ცუდია? — პირიქით რომ ყოფილიყო, უარესი იქნებოდა. შექმნილ მდგომარეობას ასეც შეიძლება შევხედოთ: ნაციონალური მოძრაობა დღეს "უკანა რიცხვით" ახდენს საქართველოში ორგანული პოლიტიკური ვითარების ჩამოყალიბებას — ვითარებისა, როცა პოლიტიკური ზედაფენა ინტელექტუალურად "არედაქტირებს" მის მიერ წარმოდგენილი სოციალური ჯგუფის ბუნებრივ ინტერესებს. ოღონდ საქართველოში მმართველი უმრავლესობა ამ ინტერესებს კი არ არედაქტირებს, არამედ ქმნის. სწორედ ამ უკუღმა წარმართულ პროცესთანაა დაკავშირებული ყველა ის ნაკლოვანება, რომელიც ასე "აღიზიანებს" ოპოზიციას.

არა მარტო ოპოზიციას — მეც მაღიზიანებს ზოგი რამ. მაგალითად ის, რომ ნამდვილად სუსტია ხელისუფლება, თუ ჰგონია, რომ **კობა დავითაშვილის** დისკრედიტაციისათვის თვით კობა დავითაშვილი არ კმარა. ასეთ ხელისუფლებას არ სჯერა, რომ ხალხს მორალური არჩევანის გაკეთება ძალუძს. რატომ არ სჯერა? — იმიტომ რომ სრულიად გაცნობიერებული აქვს შემდეგი თეზისი: "თქვენ არ გაგაჩნიათ კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარი, თქვენ არ იცით, რა უნდა გსურდეთ — ამის უნარს ჩვენ განიჭებთ". ერთი მხრივ, ამგვარ მიდგომას აქვს გარკვეული საფუძველი — ჩვენი საზოგადოება ნამდვილად აღსაზრდელია. მაგრამ კონკრეტული ადამიანები, რომლებმაც შეგნებულად იტვირთეს თავიანთ თავზე აღმზრდელის მოვალეობა, დიდად არ განსხვავდებიან აღსაზრდელთაგან. სწორედ ამას მიგვანიშნებს პრეზიდენტის ზემოხსენებული წამოცდენაც.

დადგა დრო, ეკა კვესიტაძის შემოთავაზებული დასკვნის მეორე ნაწილიც განვიხილოთ: **"კონსტრუქციული ოპონირება ის ერთადერთი გზაა, რომელიც ოპოზიციის ნაწილს გამარჯვების შანსს გრძელვადიან პერსპექტივაში მაინც მისცემს"**. რას ნიშნავს გამარჯვება? დღევანდელ პირობებში მხოლოდ ერთ რამეზე შეგვიძლია ვიფიქროთ, რისი გასაღებიც ასევე რუსულ ჟარგონულ სუბკულტურაშია მოსაძიებელი, ოღონდ ამჯერად არა კრიმინალურში, არამედ ადმინისტრაციულში: "я начальник — ты дурак, ты начальник — я дурак". სწორედ ასეთი სქემით წარმოუდგენიათ ხელისუფლების ცვლა საქართველოში, სწორედ ამისკენ ისწრაფვიან. ადვილი დასაჯერებელია, რომ ასე ფიქრობს ოპოზიცია: პოლიტიკური დისკუსიის დაბალი დონე, ფატალური დამოკიდებულება მეტოქის მოქმედებაზე ამაში სავსებით გვარწმუნებს. გაცილებით უფრო სამწუხაროა, რომ ამასვე ვერ ასცდენია მმართველი დაჯგუფებაც: წმინდად ემოციურ დონეზეც რომ განვიხილოთ, "გაფარჩაკება" გაცილებით უფრო დამაჯერებელი ტონით იყო ნათქვამი, ძლიერი ოპოზიციის სურვილი კი უფრო ნიანგის ცრემლებს ჰგავდა. ამავეს ამტკიცებს შავ-თეთრი ფირი, სადაც კობა დავითაშვილი ალადინის ლამპარს ეხახუნება.

სამწუხაროდ, თუ ჯერაც ამოუშანთავი კრიმინალური იდეოლოგიის სიძლიერეს გავითვალისწინებთ, საქართველოში სახელისუფლებო უმრავლესობასა და უმცირესობას შორის ურთიერთობა ალბათ ასე აიწერება: "я урка — ты порчак, ты урка — я порчак".

ერთი სიტყვით, გრძელვადიანი პერსპექტივისათვის უკვე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, დაიწყებს ეს კონკრეტული ოპოზიცია ხელისუფლებასთან კონსტრუქციულ დიალოგს თუ არა. როგორც ეტყობა, სააკაშვილსაც საკმაოდ კარგად აქვს ეს გაცნობიერებული: აბა, ასე გაბედულად ხომ არ მოუწოდებდა საპარლამენტო დარბაზში დასაბრუნებლად. გრძელვადიან პერსპექტივაში ისტორიული შემობრუნება უნდა დავიჩაროთ — ვითარება, როცა პროცესი სწორი მიმართულებით ვითარდება. ამისთვის საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ უნდა შექმნას მის მხარდამჭერ სოციალურ ჯგუფთან ორგანული კავშირი. მხოლოდ ამის შემდეგ გამოიკვეთებიან განსხვავებული ინტერესების მატარებელი, მაგრამ იმავე სახელმწიფოს მიმართ ერთგულებით გამსჭვალული ადამიანები, რომლებსაც იმის ნიჭი მაინც ეყოფათ, გაარკვიონ, რა შეიძლება მოჰყვეს ახალქალაქში გამართულ სწორხაზოვან და უადგილო, კაცმა რომ თქვას, სრულიად პროვოკაციულ მიტინგს.

# მალტის დროშის ქვეშ მცურავი გემი 65 ათასი ლარით დაჯარიმდა

ქეთევან ჭაკობია
*ფოთიდან*

ფოთის საქალაქო სასამართლომ სამართლიანად ცნო შავი ზღვის კონვენციული დაცვის ინსპექციისა და საზღვრო პოლიციის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე ერთობლივად შედგენილი ოქმი, რომლის თანახმად, მალტის დროშის ქვეშ მცურავი გემი "ტურლოტი" 65 ათასი ლარით დაჯარიმდა. როგორც შავი ზღვის კონვენციული დაცვის ინსპექციის ფოთის განყოფილების უფროსმა გოჩა კორტავამ "24 საათს" განუცხადა, "ტურლოტის" ინსპექტირებისას საყოფაცხოვრებო წყლების გამწმენდი ნაგებობა დაზიანებული აღმოჩნდა, არ მიმდინარეობდა ბიოლოგიური და ქიმიური წმენდა და ფეკალი ნავსადგურის აკვატორიაში იღვრებოდა. ფიქსირებული ჯარიმის გარდა, ზარალის კომპენსაციის სახით გემის ეკიპაჟს 1200 ლარის გადახდა დაეკისრა.

"ტურლოტის" მომსახურე საზღვაო სააგენტოს, "პს"-ის აგენტს ვასილ შაპალოვს სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუპროტესტებია. 66 200 ლარი უკვე ჩაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში, რის შემდეგაც მალტის დროშის ქვეს მცურავმა გემმა საქართველოს ტერიტორიული წყლები დატოვა.

საერთაშორისო სტანდარტების დარღვევისთვის, საჯარიმო სანქციების სახით, უცხოური ხომალდების მეპატრონეებს ბიუჯეტის სასარგებლოდ მიმდინარე წელს 195 ათასი ლარი აქვთ გადახდილი.

## მოკლედ

### ქართველების დევნა გრძელდება

მიმდინარე კვირას, პეტერბურგში, საემიგრაციო კანონის დარღვევისთვის, საქართველოს 50 მოქალაქე დააკავეს.

ამის შესახებ განაცხადა პეტერბურგის ფედერალური სამიგრაციო სამსახურის ხელმძღვანელმა.

მისი ინფორმაციით, ქართველების დაკავება მოხდა ქალაქის ბაზრებში, სამშენებლო და სავაჭრო პავილიონებში.

ამ დროისათვის დაკავებულები დროებით იზოლატორებში იმყოფებიან.

დგება კანონდარღვევების პროტოკოლი სასამართლოში გადასაგზავნად, რომელმაც შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება ქართველების სამშობლოში დეპორტაციის შესახებ.

სვერდლოვსკის ოლქის გუბერნატორს ედუარდ როსელს ოლქში მცხოვრებმა ქართველებმა ღია წერილით მიმართეს და ადგილობრივი მილიციის უკანონო ქმედებისაგან დაცვა სთხოვეს.ღია წერილში აღნიშნულია, რომ ქართველთა სახლებს რეგულარულად აკითხავენ მილიციის თანამშრომლები და ამბობენ, რომ ქართველთა დამცირების ბრძანება მათ "ზემოდან მიიღეს". ღია წერილში აგრეთვე ნათქვამია, რომ ზემოხსენებულ ქმედებებს მილიცია კრიმინალთან ბრძოლით ხსნის, რაც, საკვირველია, "რადგან ჩვენ არანაირი შეხება არა გვაქვს კრიმინალურ სამყაროსთან და მხოლოდ ჩვენი წარმომავლობის გამო გვავიწროვებენ".

მოსკოვის მილიციამ ავტომანქანების ძარცვის ბრალდებით საქართველოს მოქალაქე დააკავა.

რუსი სამართალდამცველების ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქე მაშინ დააკავეს, როდესაც ის ავტოგასამართ სადგურზე გაჩერებული მანქანიდან ფულს იპარავდა.

"დაკავებული ქართველი იმ დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრია, რომელიც ავტომანქანების ძარცვით არის დაკავებული," - აცხადებენ რუსი მილიციონერები. **ჯი-ეიჩ-ენი**

### თაღლითთა ორკაციანი ჯგუფი დააკავეს

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამმართველომ დააკავა თაღლითთა ორკაციანი ჯგუფი, რომლის წევრებიც თავს მერიისა და ფინანსური პოლიციის მაღალჩინოსნებად ასაღებდნენ.

გელა ზაუტაშვილი და მამუკა ჯიშიაშვილი ფინანსურმა პოლიციამ ერთ-ერთი კერძო კომპანიის დირექტორისთვის, რომლის ვინაობაც გამოძიების ინტერესიდან გამომდინარე არ სახელდება, თანხის გამოძალვის ფაქტზე დააკავა. გელა ზაუტაშვილი, ჯიშიაშვილთან ერთად, თბილისში მოქმედ სხვადასხვა კერძო კომპანიების ხელმძღვანელობას მობილური ტელეფონით უკავშირდებოდა, თავს მერიის და ფინანსური პოლიციის მაღალჩინოსნად ასაღებდა და გარკვეულ ანაზღაურებას მოითხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, კერძო კომპანიებს ძალოვან უწყებებთან პრობლემების შექმნით ემუქრებოდა.

გელა ზაუტაშვილი და მამუკა ჯიშიაშვილი ფინანსურმა პოლიციამ უკვე დაკითხა და წინასწარი დაკავების საკანში გადაიყვანა. გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე, თაღლითობის მუხლით დაიწყო. ეს მუხლი 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. **მედიანიუსი**

### ძებნილები დააკავეს

ზუგდიდის პოლიციის თანამშრომლებმა 14 წლის მოზარდი ბიჭუნას გატაცებასა და გაუპატიურებაში ეჭვმიტანილი ორი პირი დააკავეს. მათზე ძებნა ერთი თვის წინ გამოცხადდა. ისინი კიდევ ორ თანამზრახველთან ერთად, ეჭვმიტანილი არიან სოფელ ცაიშში მცხოვრები მოზარდის სახლიდან მოტყუებით გამოყვანასა და გაუპატიურებაში. ამ ფაქტის შემდეგ, 14 წლის ბიჭმა თვითმკვლელობა სცადა.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშში 14 წლის მოზარდის გატაცებასა და გაუპატიურებაში ეჭვმიტანილ ორ ბრალდებულს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლო პროცესზე დაზარალებულის დედა იმყოფებოდა, რომელიც დაკავებულების სოფლის მოსახლეობისთვის გადაცემას მოითხოვდა, მათი ლინჩის წესით გასამართლების მიზნით.

ბრალდების დადასტურების შემთხვევაში ლევან ბიბლაიასა და ირაკლი ჩხოლარიას 8-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

დანარჩენი ორი ეჭვმიტანილის ვინაობა დადგენილია, თუმცა, პოლიცია ჯერჯერობით მათ სახელსა და გვარს არ ახმაურებს. ეჭვმიტანილთა დასაკავებლად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მიმდინარეობს. ერთ-ერთი ვერსიით, ისინი გალის რაიონის ტერიტორიაზე იმალებიან. მათი გადმოცემის მოთხოვნით, ქართული მხარე აფხაზურ მილიციას ოფიციალურ მიმართვას ამ დღეებში გაუგზავნის. **ინტერპრესნიუსი**

### თაღლითობის საქმეში ჩინოვნიკების მონაწილეობას არ გამორიცხავენ

შოუ-ბიზნესის წარმომადგენლების დაკავების საქმესთან დაკავშირებით, ფინანსურმა პოლიციამ ახალი დეტალები გაახმაურა. გამოძიება არ გამორიცხავს, რომ ფინანსურ მაქინაციებში გამოვლენილი ფირმების გარდა, ამ საქმეში ათობით წვრილი კომპანიაც იყოს ჩართული, რომლებიც ორსულებს შედარებით ნაკლებ სადეკრეტო თანხას უხდიდნენ.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ფინანსურმა პოლიციამ კიდევ რამდენიმე ადამიანი დაკითხა, მათ შორის - 75-მდე ფეხმძიმე. გამოძიება არ გამორიცხავს, რომ შოუბიზნესის წარმომადგნელებთან, ორსულებთან და გინეკოლოგებთან ერთად ამ პროცესში ჩინოვნიკებიც მონაწილეობდნენ.

ჩინოვნიკების პასუხისმგებლობის საკითხის დასმას სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდშიც არ გამორიცხავენ. ფონდის ხელმძღვანელობის განცხადებით, სადეკრეტო თანხების გადარიცხვის მექანიზმის გაკონტროლება ძალიან რთული იყო. 2006 წლის 1 დეკემბრიდან ეს დახმარება შეიცვალა და ფეხმძიმე ქალი დეკრეტულ შვებულებაში გასვლის შემდეგ მხოლოდ 600 ლარს მიიღებს.

უკვე დაკავებულია 5 ეჭვმიტანილი და ფინანსური პოლიცია კიდევ ორ ეჭვმიტანილს - მაია ჩხეიძეს და თენგიზ ბურჭულაძეს ეძებს, რომლებიც, სავარაუდოდ ამ ჯგუფის ხელმძღვანელები იყვნენ.

პოლიციას რამდენიმე ეჭვმიტანილის აღიარებითი ჩვენება მოეპოვება. გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით - თაღლითობის კვალიფიკაციით დაიწყო. თაღლითობა მძიმე კატეგორიის დანაშაულს განეკუთვნება და ბრალის დამტკიცების შემთხვევაში 7 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, თაღლითობაში ბრალდებულ შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებს გირაოს გადახდა შეეფარდათ. მოსამართლე მერაბ ჯორბენაძის გადაწყვეტილებით, ნიკა ლომიძეს, თეა გობეჯიშვილს და ოლია რიჟაკ-რცხილაძეს 50-50 ათასი ლარის გადახდა დაეკისრათ. მათ ეს თანხა თანხა 4 დღის ვადაში უნდა გადაიხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღმკვეთი ღონისძიების სახე დაუმძიმდებათ და პატიმრობა შეეფარდებათ. **ინტერპრესნიუსი**


**სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციებისა და ტენდერებში მონაწილე ფირმების საყურადღებოდ!**

კონსალტინგი და ტრენინგი პროკურმენტის საკითხებზე:
**ეკონომიკისა და მენეჯმენტის კონსულტანტთა ასოციაცია**
**ქ. თბილისი, ბულაჩაურის ქ. N 8,**
**ტელ./ფაქსი: (995 32 ) 91-21-13;**
**e-mail: aemc-05@yahoo.com**


# მაფიის გენერალი მადრიდს დაუთმეს

ჰირველი გვერდიდან

გამოძიების ინფორმაციით, საქმეში ფიგურირებს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ოფშორულ ზონებში თანხების გადარიცხვის ფაქტები. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო "კანონიერი ქურდის" შაქრო კალაშოვისა და შს ყოფილი მინისტრის კახა თარგამაძის პარტნიორულ ურთიერთობებსა და კრეინის დატყვევებასთან მათ კავშირზე საუბრობდა, თუმცა, კახა თარგამაძის გვარი შემდეგ აღარავის გახსენებია.

არსებული ინფორმაციით, უგზო-უკვლოდ დაკარგულ ამერიკელ ბიზნესმენს ალექსანდრე კრეინს, ინტერესები სათამაშო ბიზნესში ჰქონდა. საქმეში ფიგურირებს მოსკოვში მოქმედი ფეშენებლური კაზინო "კრისტალი". არსებული ინფორმაციით, ამ კაზინოს მეწილე შაქრო კალაშოვია - უფრო ზუსტად, იგი "კრისტალის" მფლობელი მას შემდეგ გახდა, რაც კრეინს წილი იძულებით წაართვა. სხვათა შორის, ეს, ის კაზინო "კრისტალია", რომელიც, რამდენიმე დღის წინ რუსმა სამართალდამცველებმა დალუქეს, მიზეზით, რომ კაზინოს "შავი სამყაროს" ქართველი ლიდერები აკონტროლებდნენ.

16 სექტემბერს, საქართველოს გენერალური პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ კალაშოვს 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა და ბრალდებულ "კანონიერ ქურდზე" ძებნა გამოცხადდა. სასამართლოს ნებართვის საფუძველზე, ყადაღა დაედო დაბა წყნეთში მდებარე კალაშოვის ფეშენებლურ აგარაკს, რომელიც 30 მილიონ დოლარადაა შეფასებული.

21 სექტემბერს შაქრო კალაშოვის საქმის გამოძიება დამთავრდა და საქმე საბრალდებო დასკვნით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას.

შაქრო კალაშოვი მადრიდში ექსტრადირებისას.

კალაშოვის საქმეზე დაიკითხნენ წყნეთის ყოფილი გამგებლები და მათი მოადგილეები - გავრცელებული ინფორმაციით, კალაშოვის წყნეთის აგარაკის წარმომავლობასთან დაკავშირებით. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, კალაშოვის საქმესთან დაკავშირებით დააკავეს წყნეთელი ავტორიტეტი - "სპილო", მას ოფიციალურად მართალია, ხულიგნობაში ადანაშაულებენ, მაგრამ გამოძიება მისგანაც შაქრო კალაშოვთან დაკავშირებით ითხოვდა ინფორმაციებს.

ოპერატიულად დასრულებულ გამოძიებას ასევე, ოპერატიულად გამოტანილი განაჩენი მოჰყვა - ქართულმა მართლმსაჯულებამ შაქრო კალაშოვი დააპატიმრა, თუმცა, დაუსწრებლად.

შეგახსენებთ, რომ ქართული მართლმსაჯულების მიერ დასჯილი შაქრო კალაშოვი 9 მაისს ინტერპოლმა დუბაიში გამართულ "კანონიერ ქურდთა" შეკრებაზე დააკავა. მასზე ესპანეთის პოლიციას საერთაშორისო ძებნა ჰქონდა გამოცხადებული. შაქრო კალაშოვი ეჭვმიტანილი იყო ესპანეთში ორგანიზებულ-დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნაში, რომელიც ფულის გათეთრებაზე მუშაობდა. ავტორიტეტული კრიმინალი, რომელსაც ესპანეთის შს "კრიმინალური სამყაროს გენერლად" მოიხსენიებს, დუბაიდან ესპანეთში 11 ივლისს სამხედრო თვითმფრინავით გადაიყვანეს. ესპანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შეფასებით, კალაშოვი რუსული და ქართული მაფიის ერთ-ერთი ყველაზე საშიში ლიდერია.

დუბაიში დაკავებულ კალაშოვს ორმაგი მოქალაქეობა აღმოაჩნდა - რუსეთისა და საქართველოსი. მიუხედავად იმისა, რომ მასზე საქართველოში საქმე იყო აღძრული, ქართველ სამართალდამცველებს მისი ექსტრადიცია არ მოუთხოვიათ.

**"ქართული და რუსული მაფიის გენერალი მადრიდს დაუთმეს, რადგან მას ესპანეთი უფრო მძიმე ბრალდებით ეძებდა"**, - განაცხადა ესპანეთის შს მინისტრმა.

ოფიციალურად კალაშოვის ექსტრადიცია არც რუსეთს მოუთხოვია. თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, ცოტა ხნის წინათ, მადრიდმა კალაშოვი რუსეთს გადასცა, სადაც "კანონიერი ქურდი" პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

**"იმაში, რომ "ქართველი ქურდებით" შეწუხებულები არიან ჩვენი კოლეგები, ვენაში ვიზიტისას დავრწმუნდი. "გლეხოვიჩი" ვენის პოლიციის თავის ტკივილია; რუსეთის შს მინისტრმა ჩემთან შეხვედრისას კალაშოვზე საუბარს 15 წუთი დაუთმო, ხოლო ესპანეთის შს მინისტრი რამდენიმე წუთი მესაუბრა ტარიელ ონიანზე, რაც, იმის დასტურია, რომ ქართული მაფია არაფრით ჩამოუვარდებოდა იტალიურ ან ამერიკულ მაფიას,"** - განაცხადა ცოტა ხნის წინათ ვანო მერაბიშვილმა და დასძინა, რომ შს-მ ამ მაფიას სერიოზული დარტყმა მიაყენა და მაფიოზები საქართველოში ჩამოსვლას ვეღარ გაბედავენ.

*24 საათი*

# პროკურატურამ მაღალჩინოსნები დააკავა

*სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურა აბაშის რაიონის გამგეობის თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების არაერთგზის გადამეტების ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს იძიებს.*

ამ საქმესთან დაკავშირებით, ორი დღის წინ, სამართალდამცველებმა ხუთი ყოფილი და ამჟამინდელი მაღალჩინოსანი დააკავეს. აბაშის რაიონის ყოფილი გამგებელი ბორის ლასარეიშვილი, აბაშის რაიონის გამგებელი მიხეილ ჟვანია, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემი კომისიის ყოფილი თავმჯდომარე გალაქტიონ კუცია, ამავე კომისიის მოქმედი თავმჯდომარე გულიევრ ტოტოჩია და მიწის მართვის სამმართველოს ყოფილი უფროსი ზაზა მაკალთია სამსახურებრივი უფლებამოსილების არაერთგზის გადამეტების ბრალდებით არიან დაპატიმრებული. სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურამ უკვე მიმართა სასამართლოს დაკავებულთათვის აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით. ბრალდების დადასტურების შემთხვევაში, მათ 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

ჩვენი ინფორმაციით, გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მასალები.

გამოძიების ინფორმაციით, დადგენილია, რომ წლების განმავლობაში უკანონოდ გაიცემოდა აბაშის რაიონში მდებარე სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. 2005 წლის 28 ივლისს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზაციის შესახებ, რომლის თანახმად, უნდა შეჩერებულიყო მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემა. პროკურატურის მტკიცებით, მიუხედავად ამ აკრძალვისა, აბაშის რაიონის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემი მუდმივმოქმედი კომისიისა და აბაშის რაიონის გამგებლის მიხეილ ჟვანიას მიერ, იჯარით გაიცა აბაშის რაიონში მდებარე 50 და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული 118 ჰექტარი მიწის ნაკვეთი.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ამ საქმესთან დაკავშირებით, სამსახურებრივი უფლებამოსილების არაერთგზის გადამეტების ბრალდება წარედგინა აბაშის რაიონის კიდევ ერთ ყოფილ გამგებელს სოსო ჭანტურიას, რომელსაც, ჩვენი ინფორმაციით, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების გამო, უკვე აქვს მისჯილი 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კიდევ ერთი მაღალჩინოსნის წინააღმდეგ, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, სისხლის სამართლის საქმეა აღძრული ზუგდიდის რაიონის პროკურატურაშიც. ამ საქმესთან დაკავშირებით, უკვე დაკავებულია და ბრალდებაც აქვს წარდგენილი წალენჯიხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების უფროსს გონერი კვარაცხელიას.

გამოძიების ინფორმაციით, სხვადასხვა წლებში, გონერი კვარაცხელიამ, სახელმწიფოსთვის კუთვნილი სამი მსხვილი ობიექტის პრივატიზება კანონდარღვევით მოახდინა. პირველი ობიექტი ქალაქ ჯვარში მდებარე, მუნიციპალური დაქვემდებარების ქვეშ არსებული ობიექტი - ფართოეკრანიანი კინოთეატრი აღმოჩნდა. კინოთეატრის გაყიდვა 75-პროცენტიანი ფასდაკლებით, 2707 დოლარად მოხდა.

**"მყიდველი ვალდებული იყო, ობიექტის ღირებულება გადაეხადა კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, კვარაცხელიას უნდა გაეუქმებინა აუქციონის შედეგი. ობიექტის ღირებულება არ დადგენილა. კვარაცხელიამ, ნაცვლად აუქციონის შედეგის გაუქმებისა, პირადი მოტივით, უკანონოდ გააფორმა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტით, შენობა მყიდველს გადასცა"**, - აცხადებენ პროკურატურაში.

გამოძიების მტკიცებითვე, კვარაცხელიას ხელმძღვანელობით, უკანონოდ მოხდა წალენჯიხაში მდებარე 70 კვადრატული მეტრის არასაცხოვრებელი ფართის პრივატიზებაც. მყიდველი, რომელმაც ობიექტი 284 დოლარად შეიძინა, ვალდებული იყო თანხა გადაეხადა ერთთვიან ვადაში. აქაც, წინა შემთხვევის მსგავსად, პირობა დაირღვა. კვარაცხელიამ, აუქციონის შედეგის გაუქმების ნაცვლად, უკანონოდ გააფორმა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება მყიდველთან და გადასცა კიდეც არასაცხოვრებელი ფართი.

როგორც პროკურატურაში განმარტავენ, საქართველოს ეკონონიკური განვითარების მინისტრის 2004 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებით, საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეტანილი იყო საქართველოს "ენერგოგენერაციის" მშენებარე ხუდონჰესის ბალანსზე რიცხული მექანიკური სახელოსნო 300 კვადრატულ მეტრ მიწის ფართობთან ერთად. **"კვარაცხელიას ბრძანებით, ობიექტის აუქციონის წესით გაყიდვის ორგანიზებისთვის შეიქმნა კომისია, რომლის დასკვნის თანახმად, საპრივატიზაციო ობიექტი - "ენერგოგენერაციის" მშენებარე ხუდონჰესის ბალანსზე რიცხული მექანიკური სახელოსნო შეფასეს 4450, ხოლო მექანიკური სახელოსნოს მიერ დაკავებული მიწის ფართობის ღირებულება - 1886 დოლარად. ამის შემდეგ ჩატარდა აუქციონი, სადაც აღნიშნული ობიექტი 50-პროცენტიანი ფასდაკლებით შეისყიდა "ენერგოგენერაციის" სპეცმშენმა. კვარაცხელიას მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, პირადი მოტივით, "ენერგოგენერაციას" მიღება-ჩაბარების აქტით გადაეცა ის ობიექტები, რომლებიც აუქციონზე საერთოდ არ ყოფილა გატანილი"**, - ასეთია პროკურატურის ინფორმაცია.

ზუგდიდის რაიონულმა პროკურატურამ უკვე მიმართა სასამართლოს კვარაცხელიასთვის პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით.

*24 საათი*

# ფოთიდან რუსეთში საზღვაო გადაზიდვები შეწყდა

ქეთევან ჭაკობია
*ფოთიდან*

რუსეთსა და საქართველოს შორის გართულებულმა ურთიერთობამ საზღვაო ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკიც მკვეთრად შეზღუდა. შეწყდა ფოთიდან სოჭისა და ნოვოროსიისკის მიმართულებით მგზავრთა გადაყვანა და სატვირთო გადაზიდვები. 108-ადგილიანი წყალქვეშაფრთიანი ხომალდი "კომეტა" კვირაში სამჯერ, 125 ლარად მსურველებს ფოთიდან სოჭში 4 საათში ჩასვლის საშუალებას აძლევდა.

**"ბოლო რეისი 2 ოქტომბერს განხორციელდა. საქართველოს მოქალაქეები 8 საათის განმავლობაში სოჭის საზღვაო ვაგზლის შენობაში გააჩერეს და უკან დააბრუნეს. გამონაკლისი მხოლოდ ქალებზე დაუშვეს. რუსეთის მხარე რეისების შეწყვეტის მიზეზად საზღვაო ტრანსპორტის ტექნიკურ გაუმართაობას ასახელებს, რაც, სიმართლეს არ შეესაბამება. ოფიციალური დირექტივა არ მიგვიღია,"** - "24 საათთან" საუბრისას განაცხადა ფოთის საზღვაო ნავსადგურის სამხრეთ საწარმოო რაიონის უფროსის მოადგილე გოჩა ცომაია.

ფოთის საზღვაო ვაგზალს ქართველებთან ერთად რუსეთის მოქალაქეებიც აკითხავენ. სადისპეჩერიში არ წყდება სატელეფონო ზარები, თუმცა, რადგან რეისების აღდგენის თაობაზე ადგილზე ინფორმაციას არ ფლობენ, მგზავრები იძულებულნი ხდებიან გადაადგილების ალტერნატიული გზა ეძებონ. რუსეთმა საქართველოს მოქალაქეების საზღვაო ტრანსპორტით დეპორტაციაზეც უარი განაცხადა.

პრობლემები შეიქმნა სატვირთო გადაზიგვებშიც. ფოთიდან ნოვოროსიისკში ჩასული საზღვაო ბორანი ტვირთიანად უკან დაბრუნდა. ტვირთის ტრანსპორტირება გართულდა ფოთი-ბულგარეთი-ნოვოროსიისკის მიმართულებით მოძრავი ბორანითაც. **"ტვირთის მეპატრონეები ძირითადად, საქართველოსა და სომხეთის მოქალაქეები არიან. ბულგარეთიდან ნოვოროსიისკში ჩასული სომხური ტვირთის განბაჟება შეუფერხებლად ხდება, ქართველებს კი ტვირთიანად უკან აბრუნებენ,"** - განმარტავს გოჩა ცომაია.

რუსეთის მიმართულებით საზღვაო გადაზიდვების შეწყვეტით მიყენებულ ზარალს მომსახურე სააგენტო შპს "ევრაზიაში" არ აკონკრეტებენ და მიზეზად კომერციულ საიდუმლოებას ასახელებენ. ფაქტია, დისკომფორტს არა მარტო მგზავრები და ტვირთის მეპატრონეები, არამედ იმ კერძო ფირმების თანამშრომლებიც განიცდიან, რომელთა შემოსავლის სოლიდურ წყაროს სწორედ გადაზიდვების მომსახურებიდან მიღებული თანხები წარმოადგენს.


Nemiroff
პირველი მსოფლიო ლიდერების სამეულში

რა საერთოა პატრისია კაასსა და მიკ ტაისონს, "ევროვიზიაა" და ფეხბურთის ჩემპიონატს შორის? უკრაინული არყის კომპანიის Nemiroff (ნემიროფი) სახელი სულ უფრო ხშირად ჩნდება ტელეეკრანებსა და გაზეთებში. "უკრაინული თაფლის წიწაკით", "უკრაინული ბორბლის", "უკრაინული არყის ხის განსაკურნებლის" გემოთ კი უკვე არაერთი ქვეყანა დაიპერა. დღეისათვის ამ ფირმის პროდუქციის რიცხვი უკვე 52-ია, რაც ბაზრის რეკორდული რაოდენობაა პოსტსაბჭოური სივრცის ნებისმიერი ალკოჰოლური კომპანიისათვის.

უკრაინაში "ნემიროვი" აღიარებულ მოზვედრილა ნაციონალური ბრენდად — კომპანიები რომლებიც შთაგონებულია რიცხვში. ხოლო უკანასკნელი მოვლენებიდან გამომდინარე, "ნემიროვს" თავისუფლად შეიძლება ეწოდოს კომპანია, რომელიც სასიამოვნოდ გვაოცებს" და ეს ეხება არა მარტო მისი პროდუქციის მომხმარებლებს, არამედ ალკოჰოლური სასმელების მსოფლიო ბაზრის სპეციალისტებსაც.

ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როდესაც ბრენდმა Nemiroff (ნემიროფი) 2004 წლის შთამბეჭდავი შედეგებიდან გამომდინარე მიიღო წოდება - №1 ბრენდი მსოფლიოში ზრდის დინამიკის მიხედვით. მომდევნო წელსაც უკრაინელმა კომპანიამ შეძლო გაემეორებინა ეს წარმატება — "ნემიროვი" ხდება ყველაზე სწრაფად მზარდი ბრენდი მსოფლიოში ზედიზედ ორი წლის განმავლობაში, ასეთი წარმატებისთვის კი არ მიეცემა არყის არც ერთ წარმოებელს.

ბაზრის ანალიტიკოსების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც, წელს, საკმაოდ მარკამ Nemiroff (ნემიროფი) თითქმის შეუძლებელი შეძლო. გაყიდვების მოცულობით "ნემიროფმა" გაუსწრო შეფერ "აბსოლუტს" და გახდა ერთადერთი მარკა პოსტსაბჭოთა სივრციდან, რომელიც შედის არყის მსოფლიო ლიდერების სამეულში.

მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ "გორილის" (უკრაინული არყის) გასვლას საერთაშორისო ბაზარზე, 2006 წლის მაისში გამოაქვეყნა ალკოჰოლური სასმელების რეიტინგების სფეროში, მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა მილიონერების კლუბმა («World Millionaires Club»), რომლის მონაცემებსაც თვალისწინებენ, როგორც პროფესიონალები, ასევე მწარმოებლები.

რეიტინგი წელიწად იღებს მხოლოდ "მილიონერებს", ანუ საკმაო მარკებს, რომელთა საწყისთაც ყოველწლიურად იწარმოება და იყიდება არანაკლებ 1 მილიონი ცალის ალკოჰოლური პროდუქცია(1 ცალი=9ლ).

გამომდინარე ყოველივედან ნათელია ერთი რამ — ასეთი სერიოზული საერთაშორისო აღიარების შემდეგ, ძნელია ვინმემ შეაჩეროს გარდუვალი წარმატება ნამდვილად მთელი მსოფლიოს მომხმარებლისათვის საყვარელი "აბსოლუტური ჩემპიონისა".

ნემიროვი

GFSIS
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES



# რუსულ-ქართული ურთიერთობების, ენერგეტიკის, სტატისტიკისა და... "ფინჯანი ყავის" შესახებ

*რუსეთმა საქართველოსთან "საქმის გარჩევის" ეფექტიან მეთოდად ეკონომიკური სანქციები აირჩია. რამდენიმე კვირის წინ ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა ჯერ სატრანსპორტო სანქციები შემოიღო, შემდეგ საბანკო გადარიცხვების შეწყვეტის მცდელობა ჰქონდა, ბოლოს კი ქართველთა მასშტაბური დეპორტაცია დაიწყო. რუსეთ-საქართველოს შორის განვითარებული მოვლენები ბოლო პერიოდში დასავლეთში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა. რუსულ სანქციებზე, საქართველოში ინფლაციის დონეზე და სხვა აქტუალურ საკითხებზე "24 საათს" საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი მკვლევარი, პროფესორი ლადო პაპავა ესაუბრა.*

**- ბატონო ლადო, თქვენი აზრით, რამ გამოიწვია რუსეთის ასეთი გაღიზიანება?**

- რუსეთს ქართული მხარის მთელი რიგი ქმედებანი აღიზიანებს. პირველ რიგში კი, საქართველოს სურვილი შექმნას სახელწმიფო. საქართველოს სწრაფვა ნატო-სკენ, თუ აშშ-სკენ, არა უბრალოდ ქართული ინიციატივაა, არამედ აქეთკენ თავად რუსეთმაც გვიბიძგა ხელი.

საბჭოთა იმპერიის დანგრევის შემდეგ, საქართველოსათვის დამოუკიდებლობა, პირველ რიგში, რუსეთისგან დამოუკიდებლობას გულისხმობდა. საქართველოს ყოველთვის სურდა ისეთ საერთაშორისო ალიანსში ყოფნა, რომელიც მას დამოუკიდებლობას შეუნარჩუნებდა. რუსეთი კი ამას ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა. გავიხსენოთ რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთში პროვოცირებული სეპარატისტული მოძრაობა, შემდეგ საომარი მოქმედებები; იგივე განმეორდა აფხაზეთში. ამის შემდეგ რუსეთმა საქართველო აიძულა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესულიყო. მერე რუსეთმა არა მარტო სავიზო რეჟიმი შემოიღო საქართველოს მოქალაქეებისთვის, არამედ ეს სავიზო რეჟიმი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე მცხოვრებ მოქალაქეებზე არ გაავრცელა. შემდეგ კი მათ რუსული პასპორტებიც კი დაურიგა. ამით რუსეთმა სამშვიდობო ძალების სტატუსი, ფაქტობრივად, დაკარგა. გულახდილად რომ გითხრათ, ჩვენ არც არასოდეს გვჯეროდა, რომ რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო ფუნქციას რეალურად ასრულებდა, თუმცა საერთაშორისო პოლიტიკურ თამაშში იძულებული ვიყავით ეს გველიარებინა.

საქართველოს მიერ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ფიქრი ბუნებრივი რამაა, მით უფრო, რომ თავად რუსეთის ხელისუფლება აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. თუ ეს ასეა, არ მესმის რატომ გაღიზიანდა რუსეთი იმით, რომ კოდორის ხეობაში, ზემო აფხაზეთში წესრიგი უნდა დამყარდეს. თუ რუსეთი აცხადებს, რომ აფხაზეთი დეიურე საქართველოა, ხოლო კოდორის ხეობა დეფაქტოც ყოველთვის იყო თბილისის კონტროლ ქვეშ, მაშინ რა შეიცვალა? უბრალოდ რუსეთი ვერ გვპატიობს იმას, რომ საქართველოს სურს იყოს სახელმწიფო.

იმასაც გავიხსენებ, თუ როგორი ბრძოლა გამოგვიცხადა რუსეთმა, როცა საქართველოზე ნავთობსადენის გატარების საკითხი წყდებოდა. საუბარი მაქვს ბაქო-თბილისი-სუფსის ნავთობსადენზე. ეს 1990-იანი წლების შუა პერიოდში ხდებოდა. დაპირისპირება იყო ყველა საერთაშორისო დონეზე. შემდეგ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის შემთხვევა გავიხსენოთ, როცა ისინი აცხადებდნენ, რომ ეს ეკონომიკურად გაუმართლებელი პროექტი იყო. რუსეთის ასეთმა პოზიციამ თავისდაუნებურად განაპირობა სწორედ ის, რომ საქართველოს ალტერნატიული ენერგეტიკული დერეფნის ფუნქცია გაუძლიერდა. როდესაც იქმნება სიტუაცია, როცა რუსეთი, ვითომდა უკრაინასთან შექმნილი პრობლემების გამო, ევროპას გაზს არ მიაწვდის, მაშინ ევროპა დაინტერესებულია გაზი ალტერნატიული გზით მიიღოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსეთი ჩვენ იმდენად პრიმიტიულად გვებრძვის, რომ ამით სინამდვილეში ხელს უწყობს საქართველოს სატრანსპორტო ფუნქციის გაძლიერებას. სამწუხაროდ, შთაბეჭდილება მრჩება, რომ რუსეთს დაჩოქებული საქართველოს ხილვა სურს. სწორედ ამით არის განპირობებული ქართველების მასობრივი დეპორტაცია. თუ ვინმე რუსეთის ტერიტორიაზე სავიზო რეჟიმს არღვევს ან უკანონო შემოსავლები აქვს, ეს ისევ და ისევ რუსეთის სახელმწიფოს, და არა ქართველების პრობლემაა. საზოგადოდ ამგვარი პრობლემის წინაშე მსოფლიოს არაერთი სახელმწიფო დგას და ისინი ცდილობენ ისეთი ზომების მიღებას, რომ მათ ტერიტორიაზე უკანონოდ არავინ ცხოვრობდეს. ის რაც რუსეთში ქართველების წინააღმდეგ ხორციელდება ფაშიზმია და მეტი არაფერი. ეთნიკური ნიშნით ხალხის დევნას ფაშიზმი ეწოდება.

აქ ჩაფიქრებულია, რომ ეს გაწაწყენებული ხალხი საქართველოში ჩამოვა და საქართველოს ხელისუფლებას პრობლემას შეუქმნის. მართალია ეს ხალხი ჩვენი ხელისუფლებისათვის დამატებითი ტვირთია, თუმცა ის ამ ხალხზე არასოდეს იტყვის უარს, რადგან ისინი მისი მოქალაქეები არიან. უბრალოდ, ეს ხალხი ისეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდება, როგორშიც საქართველოს დანარჩენი მოსახლეობაა. მაგრამ ამის გამო საქართველო თავის ტერიტორიულ მთლიანობაზე უარს არ იტყვის. რუსეთმა უნდა გაიგოს, რომ საქართველოს სახით მას კავკასიაში ძლიერი დასაყრდენი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჰყავდეს, თუ რუსეთი ქართველი ხალხის და ქართული სახელმწიფოს ღირსების შელახვას აღარ გააგრძელებს.

**- რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ მთავარ იარაღად ეკონომიკური სანქციები აირჩია...**

- ამ მხრივ, პირველი დარტყმა სავიზო რეჟიმის შემოღება იყო, რამაც გარკვეულწილად გაართულა ქართველი მოქალაქეების გადაადგილება რუსეთში, მაგრამ მეორე მხრივ, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, რადგან ბევრ ქვეყანასთან კავშირი მხოლოდ სავიზო რეჟიმის საფუძველზე გვაქვს.

2005 წელს რუსეთში საქართველოდან იმპორტირებული სხვადასხვა საკვები პროდუქტები აიკრძალა, ამას მოჰყვა ღვინისა და მინერალური წყლების ემბარგოც. ამან დიდი ზარალი მოგვაყენა, მაგრამ ეს ბიზნესის თემაა. ჩვენმა ბიზნესმენებმა ხელი უნდა გაანძრიონ და პროდუქციის დაბალ ხარისხსა და არარეალურად მაღალ ფასებს მიხედონ.

რუსეთის ბაზრის დახურვას სასიკეთო ის მოყვება, რომ ქართველმა მეწარმეებმა ალტერნატიული ბაზრები უნდა მოძებნონ. თუმცა, როდესაც აშშ-ში ქართული საფერავი ფრანგულ ბორდოზე 40 პროცენტით ძვირი ღირს, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამგვარ საფერავს არ დალევს. ამიტომ ჩვენს ბიზნესს უფრო მეტი გააქტიურება მართებს.

რაც შეეხება ჯაშუშების დაჭერის თემას, აქაც გასაკვირი არაფერი მომხდარა. მსგავსი პრეცედენტი მრავალ ქვეყანაში არსებობს, მაგარამ ამას არსად მოჰყოლია ასეთი აურზაური. რუსებმა ვერ გადახარშეს, რომ საქართველომ ეს გაბედა.

ამ ფაქტს ფრენების აკრძალვაც მოჰყვა. მაგრამ ეს მხოლოდ რუსეთში პირდაპირ ფრენებს შეეხო. მაგრამ რუსეთში მოხვედრა შემოვლითი გზებით კვლავაც შესაძლებელია. უბრალოდ, ეს ქართული ავიაკომპანიებისათვის იქნება დარტყმა. აქ კიდევ ერთი ფაქტორია, რუსეთის მთავრობამ გამოაცხადა რომ საქართველოს ავიაკომპანიებს სამ მილიონ დოლარზე მეტი დავალიანება დაუგროვდათ. ეს სიმართლეა, მაგრამ აღნიშნული დავალიანება გაკოტრებულ და არა მოქმედ კომპანიებს ეკუთვნით. საქართველოს მთავრობას აღიარებული აქვს ეს ვალი, და მან ის აუცილებლად უნდა დაფაროს, რათა ეს რუსებისათვის საბაბი არ დარჩეს ფრენების განუახლებლობისათვის.

რაც შეეხება ფულის გადარიცხვებს, ისეთი ფულის გზავნილები, როცა ფულს ჯიბით ატანდნენ, ეს რა თქმა უნდა შეიზღუდება. რუსეთს საქართველოში საბანკო გადარიცხვების შეჩერების უფლება არ აქვს. თუმცა მას შეუძლია ერთი სერიოზული მექანიზმი აამოქმედოს, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებში ჯდება - საბანკო არხებით ფულის გადარიცხვის დროს ამ ფულის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი მოითხოვოს.

საინტერესოა, საბოლოოდ რას გამოიწვევს ეს? აქ ერთი წმინდა ქართული პრობლემაც უნდა განვიხილოთ. ლარი საკმაოდ გამყარებულია დოლართან მიმართებაში და თუ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ჩემთვის მიუღებელ რეკომენდაციას დავუჯერებთ, ქართულ ვალუტას კიდევ უფრო მეტი გამყარება ელის. სავალუტო ფონდი მოითხოვს, რომ ეროვნულმა ბანკმა ბრუნვიდან ამოიღოს ფული. ამით ლარის რაოდენობა შემცირდება და ის კიდევ უფრო გაძვირდება. ამ კონტექსტში შემდეგი მომენტია გასათვალისწინებელი: თუ რუსეთიდან დოლარის შემოდინება შემცირდება, მაშინ ქართული ფული ამოსაღები აღარ (ან თუნდაც ნაკლები) იქნება. თუ დოლარების რაოდენობა შემცირდება, მაშინ ლარის გამყარების საკითხი აქტუალური აღარ იქნება. როგორც ვხედავთ, მედალს ორი მხარე აქვს.

საბოლოო ჯამში, საკითხი იმაში არ დგას, გაუძლებენ თუ არა ქართველები ყოველივეს. მთავარია, რამდენად იქნება საქართველო რეალურად მხარდაჭერილი დასავლეთისაგან. მე ევროპას ცოტა სკეპტიკურად ვუყურებ: მისთვის რუსეთი და მისი ენერგომატარებლები ძალიან მნიშვნელოვანია. მე აშშ-ის იმედი უფრო მაქვს.

**- ბატონო ლადო, როგორც ვარაუდობენ ზამთარში რუსეთი გაზის ტარიფს გაზრდის. ეს რამდენად რეალურია?**

- ახალი წლიდან ნამდვილად მოსალოდნელია გაზის გაძვირება. თუ დღევანდელ სიტუაციაში არაფერი შეიცვლება, მე ტარიფის გაორმაგების არასახარბიელო პროგნოზს გავაკეთებ. რატომ მაინცდამაინც 220 დოლარი ათას კუბურ მეტრ გაზზე? საქართველოს ალტერნატივა ირანული გაზია, რომელიც 230 დოლარი ღირს. რუსეთმა რომ 230 დოლარი მოითხოვოს, მაშინ რუსული გაზის შესყიდვას აზრი დაეკარგება. ამიტომაც მოსალოდნელია, რომ რუსეთი ირანული გაზის ტარიფთან შედარებით ნაკლებ ტარიფს დააწესებს, რაც მისი მხოლოდ გაორმაგების შესაძლებლობას იძლევა. ეს ცვლილება სომხეთზეც გავრცელდება, თუმცა ამ შემთხვევაში რუსეთი მას სხვა შეღავათებს მიანიჭებს.

ამ სცენარში, შესაძლოა, ცვლილებები შეიტანოს ბაქო-თბილისი-ერზრუმის ბაქო-თბილისის მონაკვეთის მშენებლობამ, რომლის დასრულებაც ამ წლის ბოლოსთვისაა ნავარაუდევი. ერზრუმამდე სამუშაოები გაგრძელდება, შესაბამისად, გაზი იქ ჯერ არ ჩავა, ამიტომ მისი მოხმარება შესაძლებელი იქნება საქართველოში. ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება, თუ რა სატარიფო პოლიტიკაზე შეთანხმდებით. ეს გაზი, შესაძლოა, 220 დოლარზე იაფი დაგვიჯდეს. მაშინ რუსული გაზის ფასიც დაბლა დაიწევს. არის დიდი ალბათობა, რომ კონკურენტული გარემო შეიქმნას, რაც ძალიან მისასალმებელია.

აქვე ერთი მოვლენა მინდა გავიხსენო: 2006 წლის დასაწყისში საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები მაგისტრალური გაზსადენის "გაზპრომ"-ისთვის გაყიდვას მოითხოვდნენ. მაშინ მედიის საშუალებით დაფიქსირდა კიდეც ის, რომ ქართული მხარე 300 მილიონ დოლარს ითხოვდა. რუსები 150 მილიონ დოლარს იხდიდნენ. გარიგება სავარაუდოდ აუცილებლად შედგებოდა, რომ არა ამერიკელების ჩარევა. წარმოიდგინეთ, დღევანდელ ვითარებაში მაგისტრალური გაზსადენი გაყიდული რომ ყოფილიყო, ჩვენ ხომ რუსეთს საქართველოზე ზეწოლისთვის კიდევ ერთ უძლიერეს იარაღს მივცემდით.

ასე რომ, სირთულეები გველის. თუმცა იმედს გამოვთქვამ, რომ ქართული მხარის სიმტკიცე და აშშ-ს მხარდაჭერა ნაკლებ და ნაკლებ შეცდომებს დაგვაშვებინებს.

**- კვლავაც გაურკვეველია ქართული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების და ჰესების ბედი. პრივატიზაციაში გამარჯვებულ Energo Pro-ს ჯერაც არ გაუფორმებია ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასთან. გავრცელდა ინფორმაცია, რომ შეთანხმება ჩაიშალა. როგორ ფიქრობთ, რატომ ჭიანურდება ეს პროცესი?**

- ასეთ პირობებში, როცა უამრავი კითხვა გაჩნდა, პრეზიდენტმა პასუხი უნდა მოსთხოვოს იმ პირებს, რომლებმა პრივატიზაციის პროცესი განახორციელეს. საქართველოსთვის ასეთი ბუნდოვანი სიტუაციის შექმნა ყველანაირად წამგებიანია.

თავიდანვე ითქვა, რომ პრივატიზაციაში გაიმარჯვა ჩეხურმა კომპანიამ, რომელსაც ვებ-გვერდიც არ ჰქონდა და ის მხოლოდ საქართველოში შემოსვლის შემდეგ გახსნა. გავრცელდა ის ინფორმაციაც, რომ ტრადიციული ჩეხური ენერგოკომპანიები საქართველოს ენერგეტიკული ობიექტებით საერთოდ არ ინტერესდებიან. შემდეგ გაირკვა, რომ დეპოზიტზე შემოტანილი თანხა, ძველი ვალების ურთიერთჩათვლების მიზნით, უკან იქნა წაღებული. მსგავსი ინფორმაცია მთავრობისთვის არანაირად არ არის მომგებიანი. ამ კომპანიასთან მიმართებაში გაცილებით მეტი კითხვაა, ვიდრე პასუხი.

**- ბატონო ლადო, ბოლო პერიოდში მთავრობა ინფლაციის დონესთან დაკავშირებით ძალიან დამამშვიდებელ განცხადებებს აკეთებს. რამდენად რეალურია მათი ეს განწყობა?**

- ამ საკითხზე საუბრისას, ერთი ანეგდოტი მახსენდება: კაცი მიდის ექიმთან და ეუბნება: სახლში მივედი, ცოლს საყვარელთან შევუსწარი, გავგიჟდი და თოფს ვეციო. ამ დროს ცოლმა მითხრა წადი ფინჯანი ყავა დალიე და დამშვიდდიო. მართლაც დავლიე და დამშვიდდიო. მეორე დღეს ცოლს უკვე სხვა საყვარელთან შევუსწარიო, ისევ თოფს ვეციო, თუმცა ცოლმა კვლავ მითხრა: წადი ფინჯანი ყავა დალიე და დამშვიდდებიო. "კი მაგრამ ჩემთან რისთვის მოხვედიო", - ჰკითხა ექიმმა კაცს. "მაინტერესებს ამდენი ყავა გულზე ხომ არ მაწყენსო," - უპასუხა ქმარმა.

მთავარი ის კი არ არის მთავრობა "ფინჯანი ყავის შეთავაზებით" გვამშვიდებდეს, არამედ მთავარია ინფლაცია სინამდვილეში მართლაც შემცირდეს. მე სავალუტო ფონდის წარმომადგენლისაგან განსხვავებით, ეჭვის თვალით ვუყურებ ოფიციალურ ქართულ სტატისტიკას. ჩვენთან დიდი ინსტიტუციონალური შეცდომა მოხდა, როცა სტატისტიკის დეპარტამენტი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიყვანეს: სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი - არ შეიძლება, რომ ის, ვინც ეკონომიკურ პოლიტიკას შეიმუშავებს და ატარებს, ანუ მთავრობა, იმავდროულად იყოს მის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგების შემფასებელი. სტატისტიკის დეპარტამენტი პრეზიდენტის დაქვემდებარებაში უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მთავრობამ შეიძლება მოსახლეობა "ფინჯან ყავაზე" ხშირადაც კი გააგზავნოს.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ვერ აქვეყნებს ინფორმაციას, თუ ეს არ იქნა შეთანხმებული მთავრობის ზოგიერთ წევრთან. ამ მოსაზრებას დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბოლოდროინდელი შეცვლაც აძლიერებს. ამ უკანასკნელს აშკარად ვერ აპატიეს ის, რომ 2005 წელს ქვეყანაში სიღარიბის ზრდა აჩვენა.

აი რა მოხდა სინამდვილეში: სამთავრობო გადაწყვეტილებით საარსებო მინიმუმის კალორიულობა შეამცირეს, ამან, ბუნებრივია, კალათაში პროდუქტების საერთო ოდენობა შეამცირა. შემდეგ, ფართო მკითხველისათვის გასაგებ ენაზე რომ ითქვას, საცალო ფასების ნაცვლად საბითუმო ფასები გამოიყენეს. საბოლოო ჯამში, გამოვიდა, რომ სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის არა 52 პროცენტი, არამედ 34 პროცენტი აღმოჩნდა. ეს 2004 წლისათვის დაფიქსირდა. მაგრამ 2005 წელს სტატისტიკის დეპარტამენტს სიღარიბის ზრდა "გაეპარა". ეს მაშინ მოხდა, როცა ქვეყანაში 9 პროცენტზე მეტი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა. მივიღეთ, რომ ეკონომიკა იზრდება და სიღარიბეც იზრდება. ასეთი რამ შესაძლებელია, თუმცა ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში სოციალური უთანასწორობა იზრდება.

იქმნება საფრთხე, რომ ჩვენი სტატისტიკა საბჭოთა დროის სტატისტიკას დაემსგავსოს. სტატისტიკა ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობის ამსახველი უნდა იყოს და თუ ის ობიექტურ სურათს არ გვაძლევს, მაშინ სწორ ეკონომიკურ პოლიტიკას ვერ შეიმუშავებ.

**- რამდენიმე კვირის წინ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ გერმანიაში ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის შესაძლებლობაზე განაცხადა. რამდენად სჭირდება დღეს საქართველოს ატომური ელექტროსადგური?**

- საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრმა ამ საკითხზე მკაფიო განცხადება გააკეთა, რომ მთავრობა ასეთ რამეს არ განიხილავს.

ერთი შეხედვით, რატომაც არ უნდა ავაშენოთ ატომური ელექტროსადგური? მე ენერგეტიკოსი არ ვარ, ამიტომ ჩემს მოსაზრებას კითხვის ფორმაში გადმოვცემ: სკოლიდან მოყოლებული გვასწავლიან, რომ საქართველო მდიდარია ჰიდროენერგეტიკული რესურსებით. მაშინ ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა, როცა ბაზური თბოსადგური გაგვაჩნია და თანაც აზერბაიჯანული გაზის მოწოდებაც იწყება, რა აუცილებლობაა?

ეს განცხადება გერმანიაში გაკეთდა. თავად გერმანია 2019 წლისთვის გეგმავს, რომ არცერთი ატომური ელექტროსადგური აღარ ჰქონდეს. თუ ასეა, მაშინ ჩვენ რატომ მივისწრაფვით იმისკენ, რისი მოშორებაც უნდა ევროპის ერთ-ერთ წამყვან ქვეყანას?

თუკი ჩვენ მართლა ავაშენეთ ეს სადგური, სად დავმარხავთ შესაბამის ნარჩენებს? რომელი ქვეყანა დაგვთანხმდება მის მიღებაზე?

როცა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ აქვს აღდგენილი და რუსეთთან გართულებული მდგომარეობის ფონზე, თითქმის ომისწინა მდგომარეობაში ვიმყოფებით, რამდენად ვიქნებით დაცული, რომ ატომური ელექტროსადგური ნელმოქმედი ატომური ბომბის ტოლფასი არ გახდება?

ერთ-ერთმა ყველასათვის ნაცნობმა ქართველმა ფიზიკოსმა თქვა, რომ 1980-იან წლებში ის მხარს უჭერდა ამ იდეას და ახლაც იმავე აზრზე რჩება. ამავე დროს, მან ისიც აღნიშნა, რომ დღეს უმაღლესი განათლების რეფორმის ფონზე, დედა-უნივერსიტეტში ნამდვილი ფიზიკოსი ვეღარ გაიზრდება. ასეთ შემთხვევაში, ვინ უნდა იმუშაოს ამ ატომურ ელექტროსადგურში?

ამ კითხვებზე პასუხი არავის გაუცია. თუმცა, როგორც ვხვდები, ეს საკითხი დღეს უკვე აქტუალური აღარ არის...

# რა ხდება კორეის ნახევარკუნძულზე?

ირაკლი მენაღარიშვილი
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის მთავარი მრჩეველი

უკვე ორი კვირაა უკანასკნელ ამბებს კორეის მიერ ბირთვული იარაღის გამოცდის თაობაზე, ამ განცხადებით გამოწვეული შეშფოთებისა და საპასუხოდ გადასადგმელი ნაბიჯების შესახებ, მსოფლიო პრესის ფურცლებზე წამყვანი ადგილი უკავია. ეს არც არის გასაკვირი. თუ საბოლოოდ დადასტურდა, რომ ჩრდილოეთ კორეის რეჟიმმა მართლაც გადალახა რუბიკონი, რომ იგი მართლაც დგას ბირთვული იარაღის დაუფლების ზღვარზე და საერთაშორისო თანამეგობრობამ ვერ შეძლო ამ საშიშროების თავიდან აცილება, ეს უდავოდ მოასწავებს საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოს სერიოზულ გაუარესებას.

ეს ფაქტი ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის რიგითი დარღვევა როდია. თუ გავითვალისწინებთ კიმ ჩენ ირის რეჟიმის არაპროგნოზირებად ხასიათს და მისგან ამგვარი იარაღის ტეროტისტთა ხელში მოხვედრის საფრთხეს, შესაძლოა, ატომური კონფლიქტი, რომლის თავიდან აცილებაც ცივი ომის პერიოდში მოხერხდა, კვლავ რეალურად დაემუქროს მსოფლიოს.

მასობრივი განადგურების იარაღთან დაკავშირებული ჩრდილოკორეული პრობლემა, რაც უკვე მრავალი წელია საერთაშორისო თანამეგობრობის სერიოზული თავსატეხია, მორიგად ა.წ. 4-5 ივლისს გამწვავდა. მოგეხსენებათ, რომ მაშინ, მიუხედავად არაერთი მოწოდებისა და მოლაპარაკებებისა, ფხენიანმა შორი მანძილის ბალისტიკური რაკეტების გაშვება მოაწყო.

მართალია, იარაღის ეს გამოცდა არცთუ წარმატებული გამოდგა, მაგრამ ამან მსოფლიო და განსაკუთრებით რეგიონის ქვეყნები მეტად შეაშფოთა. გაერო-ს უშიშროების საბჭომ 15 ივლისს ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ სანქციებიც კი დააწესა. ამის საპასუხოდ კი, 3 ოქტომბერს ჩრდ. კორეამ უახლოეს ხანში ბირთვული გამოცდის განზრახვის შესახებ განაცხადა და, მიუხედავად კვლავ მწვავე საერთაშორისო რეაქციისა, 9 ოქტომბერს მიწისქვეშა ბირთვული აფეთქება მოაწყო.

თვით ფხენიანმა გამოცდა წარმატებულად გამოაცხადა, თუმცა სხვების შეფასებები უფრო ფრთხილია. ბირთვული გამოცდის ფაქტი ჯერ მხოლოდ რუსეთმა დაადასტურა. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ბირთვული მუხტის სიმძლავრეც კი (5-15 კილოტონა) დაასახელა. აშშ-მ და ჩინეთმა მხოლოდ სეისმური რყევები დააფიქსირეს მითითებულ რეგიონში. როგორც პრესისთვის აშშ-ს დაზვერვის წყაროებიდან გახდა ცნობილი, ისინი ახლა იაპონიის ზღვის თავზე ჰაერის ნიმუშების ანალიზს ატარებენ. თუმცა, როგორც ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა: "თვით განცხადება (ბირთვული გამოცდის შესახებ) უკვე საფრთხეა საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობისათვის."

## როგორია მსოფლიოს რეაქცია?

ბირთვული იარაღის გამოცდა საერთაშორისო თანამეგობრობის მეტად სერიოზული გამოწვევაა და, რა თქმა უნდა, რეაქციაც მწვავე იყო. გაერო-ს უშიშროების საბჭომ მკაცრად დაგმო ეს ნაბიჯი და მოუწოდა ფხენიანს ექვსმხრივი მოლაპარაკებების სასწრაფოდ განახლებისაკენ.

მკაცრი შეფასება მისცეს ბირთვულ გამოცდას ჩინეთმა და იაპონიამ. იაპონიამ, რომელიც ჩრდ. კორეის ერთ-ერთი წამყვანი სავაჭრო პარტნიორია, გასულ ხუთშაბათს უკვე განაცხადა მის წინააღმდეგ დამატებითი სანქციების დაწესების თაობაზე. სამხრეთ კორეამ საერთაშორისო თანამეგობრობას დაუყოვნებელი მოქმედებისაკენ მოუწოდა. ფხენიანის ეს ნაბიჯი დაგმეს რუსეთის პრეზიდენტმა, ევროკავშირმა, ევროპისა და აზიის ლიდერებმა. თავისი შეშფოთება საქართველომაც გამოხატა. აშშ-მ არამარტო უმკაცრესად დაგმო ჩრდილოეთ კორეის ეს "უპასუხისმგებლო აქცია", მან უშიშროების საბჭოს კიმ ჩენ ირის რეჟიმის წინააღმდეგ მკაცრი სანქციების თაობაზე რეზოლუციის პროექტიც შესთავაზა. ასე რომ, პირველი რეაქცია ერთმნიშვნელოვნად მკაცრი იყო.

სამწუხაროდ, მოვლენების შემდგომმა დინამიკამ კვლვ გამოამზეურა ის მართლაც და სერიოზული პრობლემა, რაც ასე ხშირად უშლის ხელს საერთაშორისო თანამეგობრობას მთლიანად, კერძოდ კი, გაერო-სა და ზოგიერთ სხვა საერთაშორისო სტრუქტურას დროული და ეფექტური ზომების შემუშავებასა და გატარებაში. მაშინაც კი, როცა სასწორზე მთელს რეგიონში, ზოგჯერ კი - მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების ბედი ძევს.

ასე მოხდა ამჯერადაც. კვლავ იჩინა თავი ე.წ. "განსაკუთრებულმა" ინტერესებმა და უკვე "შეთანხმებული" რეზოლუციის პროექტის განხილვა გადაიდო. რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა კი არც ახლა გაუშვეს ხელიდან ამ მტკივნეული თემის ვაჭრობის საგნად ქცევის შესაძლებლობა და, როგორც " ვაშინგტონ პოსტი" წერს, მხოლოდ მაშინ შეარბილა მიდგომა რეზოლუციის პროექტის მიმართ, როცა საქართველოს შესახებ დოკუმენტის თაობაზე ამერიკულ მხარესთან შეთანხმებას მიაღწია.

როგორც დასავლეთის პრესა დიპლომატიური წყაროებზე დაყრდნობით იუწყება, უშიშროების საბჭოში პოზიციათა სხვაობა ძირითადად გადაწყვეტილების იმ ნაწილს ეხება, სადაც სანქციების განხორციელების ზოგადი ჩარჩო უნდა განისაზღვროს. აშშ-ს წინადადებით ეს გაერო-ს წესდების მე-7 თავის ფარგლებში უნდა მოხდეს, რაც საერთაშორისო ნორმების დამრღვევი მხარის მიმართ იძულების საშუალებათა გამოყენებას გულისხმობს. ჩინეთი და რუსეთი კი სანქციების ამ თავის მხოლოდ 41-ე მუხლის ჩარჩოებით შემოფარგვლას ეთანხმებიან, რაც მხოლოდ იძულების ეკონომიკური მეთოდების დაშვებას ითვალისწინებს. (ახლა, როცა ეს მასალა იწერება ჯერ კიდევ უცნობია როდის განიხილავს ამ პროექტს უშიშროების საბჭო.)

ასე რომ, ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული მუხტის გამოცდამ არა მარტო საფრთხის ახალი წყარო წარმოშვა - მან სერიოზული გამოცდის წინაშე დააყენა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების არსებული სისტემა, დღის წესრიგში დასვა კითხვა: შესწევთ კი ამ სისტემის არსებულ ინსტიტუტებს უნარი ადეკვატურად უპასუხონ ამ მეტად სერიოზულ გამოწვევას, ააცილონ კატასტროფას ის, სამწუხაროდ, სრულიად რეალური საფრთხე, რაც მას ფხენიანის რეჟიმის სრულიად უპასუხისმგებლო პოლიტიკით შეექმნა?

## როგორ განვითარდება მოვლენები?

მოვლენები რეალურად მხოლოდ ახლა ვითარდება. ამიტომ რაიმე ანალიზზე საუბარი ჯერ ძალიან ძნელია. ამის საშუალება, ალბათ, მოგვიანებით თუ მოგვეცემა. თუმცა, ერთი რამ ნათელია -- თუ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული ამბიცია სასწრაფოდ არ აღიკვეთა, ამას მძიმე შედეგები მოყვება.

უმთავრეს საფრთხეს აქ წარმოადგენს ის ზიანი, რაც ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის და საერთოდ ბირთვული განიარაღების პოლიტიკას შეიძლება მიადგეს.

ჯერჯერობით კი ჩრდ. კორეის ლიდერები არჩეულ პოლიტიკურ ხაზს მისდევენ. მათი რეაქცია საერთაშორისო თანამეგობრობის შეშფოთებაზე ასევე ტრადიციული იყო. სანქციების შემოღების მუქარის პასუხად მათ განაცხადეს, რომ ამგვარ ზეწოლას ფხენიანი ომის გამოცხადებად განიხილავს და პასუხად ბირთვული იარაღის გამოცდას გააგრძელებს. ამ პირობებში გაერო, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები და რეგიონის სახელმწიფოები ჯერ კიდევ ვერ შეთანხმებულან ერთობლივ ნაბიჯებზე. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს დიდხანს არ გაგრძელდება.

# გოდარის "ჩვენი მუსიკა"

ჰირველი გვერდიდან

ფრანგი კინორეჟისორის ფილმი კინოს ისტორიასაც გვიყვება და კაცობრიობის ისტორიასაც. ფილმის პირველი ნაწილი კინოს პირველი ეტაპია. გამოსახულება ტექსტის გარეშე, ე.წ. მუნჯური კინო. ამის შემდეგ მოდის თავად გოდარის მიერ გადაღებული ფილმი, რომელშიც ის ტექსტს ყველა უფლებას უბრუნებს. გოდარი, როგორც არა მხოლოდ რეჟისორი, არამედ კინოს თეორეტიკოსიც, საკუთარ თავს უმტკიცებს, რომ კინემატოგრაფში შესაძლებელია ტექსტი და გამოსახულება თანასწორუფლებიანი იყოს. "არ მიყვარს, როცა კინოში წამყვანი როლი ტექსტს ენიჭება, როდესაც ტექსტი გამოსახულებას ფარავს", - ამბობს კინორეჟისორი. მისთვის, ვინც გოდარის შემოქმედებას და მის თეორიულ სტატიებს ადევნებს თვალს, ცნობილია, რომ მისი ანალიტიკური სტატიების ერთ-ერთი მთავარი თემა იყო კინოს მომავალი, რომელსაც ის ციფრული ტექნოლოგიების გაჩენასთან ერთად ფირის, როგორც კინოს უპერსპექტივობაში ხედავდა. ფილმში თავად გოდარის გმირს, რომელმაც სარაევოში უნდა წაიკითხოს ლექციები თემაზე "ტექსტი და ხატი", ერთ-ერთი სტუდენტი ეკითხება: "შეძლებენ თუ არა ახალი პატარა კამერები კინოს გადარჩენას?" გოდარი ამ კითხვას ფილმში არ პასუხობს, თუმცა პასუხი თავად ეს ფილმია - "ჩვენი მუსიკა", რომელიც მან პატარა კამერით გადაიღო. ერთი სიტყვით, მუნჯი კინო, ხმა და ტექსტი კინოში და ბოლოს ციფრული აპარატურით შექმნილი კინო - ეს ყველაფერი კინოს ისტორიაა, რომელიც ჟან-ლუკ გოდარმა გვიამბო ფილმში "ჩვენი მუსიკა".



ჟან ლუი გოდარი.

მაგრამ ფილმის მთავარი თემა მაინც კაცობრიობის ისტორიაა, ომი, როგორც აბსურდი, დიდი ქვეყნები, როგორც დამპყრობელნი. ძალიან ძნელია სიუჟეტის განვითარების პარალელურად გავაანალიზოთ ფრანგი კინემატოგრაფისტის, თანამედროვე თეორეტიკოსის ნააზრევი. ამიტომ ძალიან მოკლედ გთავაზობთ რამდენიმე ციტატას ფილმიდან და მოკლე შინაარსს. ებრაელი ჟურნალისტი გოგონა სარაევოში ჩადის და პირველი რესპონდენტი ეკითხება: რატომ ჩამოხვედით სარაევოში? გოგონა პასუხობს: "პალესტინის გამო და იმის გამო, რომ მე ტელ ავივში ვცხოვრობ. მინდა ვნახო ადგილი, სადაც შერიგება შესაძლებელი ჩანდა". ებრაელ ჟურნალისტთან პალესტინელი პოეტი მაჰმუდ დარვიში ინტერვიუში ამბობს: **"იცით, ჩვენ, პალესტინელები, რატომ ვართ ცნობილები? იმიტომ რომ თქვენ ჩვენი მტრები ხართ. საინტერესო ვარ არა მე, არამედ თქვენ. ასე რომ, არ გაგვიმართლა, ისრაელი რომ გვყავს მტრად. ამასთან, გაგვიმართლა, რომ ჩვენი მტერი ისრაელია. თქვენ ჩვენთვის მოგაქვთ დამარცხება და სახელი".**

ფილმში მეორე ებრაელი ჟურნალისტიც არის - ოლგა, რომელიც ფინალში თავს იკლავს. რუსული წარმომავლობის ფრანგი, რომელიც რუსულად საუბარზე პროტესტს აცხადებს: **"მე არ მინდა ვილაპარაკო რუსულად. რუსულ ენას არ ვენდობი. მართლაც, მე მხოლოდ ვნანობ, რომ ის ღრმა ცოდნა ბოროტების შესახებ, რომელიც რუსებს აქვთ, მათ სინდისისგან აშორებს. ეს რუსული სინტაქსით არის განპირობებული".** ოლგას თვითმკვლელობის ამბავს გოდარის გმირს ტელეფონით მაშინ უყვებიან, როდესაც ის საკუთარ ბაღში ყვავილებსა და ისრაელიდან განდევნილ პალესტინელებს შორის პარალელის გავლება და მათი ერთ სურათში წარმოდგენა მიუღებელი იყოსო. გოდარის პასუხი: "რა საკვირველია, საშიშია და ამაზე მეც ბევრი ვიფიქრე. მაგრამ ყველაზე საკვირველი ის არის, რომ ამ პარალელს თავად ებრაელები და პალესტინელები არ ავლებენ. მე მივეცი საშუალება დაენახათ და შემდეგ გაეანალიზებინათ".

დაბოლოს ფინალი, სამოთხე; როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, ოდნავ გაუგებარი, დაუსრულებელი და ბუნდოვანი. სამოთხე, სადაც ებრაელი თვითმკვლელი ოლგა ხვდება, ულამაზესი ბუნების წიაღშია. პატარა მდინარეც მოედინება, ახალგაზრდები დარბიან, თამაშობენ, ზოგი წიგნს კითხულობს, ზოგი უბრალოდ ისვენებს გრილ ბალახზე... ამ ტერიტორიას ამერიკელი მეზღვაური ჯარისკაცები იცავენ. რას უნდა ნიშნავდეს ეს - ფრანგი რეჟისორის სიმპათიას, ანტიპათიას თუ სარკაზმს? ჟურნალ "მონდისთვის" მიცემულ ინტერვიუში გოდარი ამბობს: "ამერიკელებს ყველაფერი უნდათ... ამერიკის კონტინენტზე ბევრი მიწაა, მაგრამ რატომ ჰქვია მიწის მხოლოდ იმ პატარა ნაჭერს ამერიკა - ამაზე გიფიქრიათ? მათ არაჩვეულებრივად იციან, რომ შეერთებული შტატები იმ ქვეყნის დასახელებაა, რომელსაც არა აქვს თავისი მიწა. ამიტომ ისინი მას სხვა ადგილას, ყველგან ეძებენ". გოდარმა, რომელიც რადიკალ ანტიამერიკანისტად არ ითვლება, ასე გამოხატა საკუთარი ირონია და მათ სამოთხეც აჩუქა!

მიუხედავად იმისა, რომ ფილმში რადიკალურად და პირდაპირ არის საუბარი თანამედროვე სამყაროს პრობლემებზე, რასაც ომი, განადგურება, აგრესია ჰქვია, რეჟისორი მაინც ოპტიმისტია. ამიტომ მის უკანასკნელ ნამუშევარს თან სდევს სინათლე და იმედი. მისთვის სარაევო ევროპის მეტაფორაა, სადაც ადამიანები განცალკევებით გრძნობენ თავს, თუმცა ამავე დროს ჩვენთან ერთად არიან. ყველასთან ერთად კი შესაძლებელია ყველაფერ იმის აღდგენა, რაც განადგურდა ომის დროს. ამიტომ მისი ფილმი ძალიან სერიოზულ, მწვავე საკითხებს აყენებს, მაგრამ დასკვნები, რომლებიც ფილმში კეთდება, საკმაოდ ოპტიმისტურია. ძალადობას ერთი საუბრით ვერ გავაჩერებთ, მაგრამ საუბარი, მსჯელობა, ანალიზი ამ აგრესიის განადგურების წინაპირობა შეიძლება იყოს.

საბერა

# ამბავი - "ნა ვერტელე"

მამუკა ხერხეულიძე

ამ სათაურით ეხმაურება ამერიკული "ნიუ იორკ მესენჯერი" ქართველი თეო-სოციალისტი ოპოზიციონერის მიერ წარმოებულ ფანდრაიზინგს მეგრულ ფაცხაში, რომელსაც უკვე მთელმა მსოფლიომ "ნავერტელე გეიტი" უწოდა. სტატიის ავტორი წერს: "ფინანსების მოზიდვა საარჩევნო კამპანიისათვის ამერიკაშიც ჩვეულებრივი მოვლენაა, არც ფილანტროპი ბაზრის დირექტორისგან ქათმის ბარკლით მოდუდღნული ხელებით 20 ათასი დოლარის აღება და მისი "კასტუმის" ჯიბეში ჩადება უკვირს ჩვენთან არავის. მითუმეტეს, არც ღვთისნიერი ქორვაჭარის საარჩევნო სიაში მესამე ნომრად ჩაწერაზე აღშფოთებულა ვინმე. სომხებისა და ვაჭრების ზიზღი ხომ უაღრესად დამახასიათებელი გრძნობებია დასავლელი პოლიტიკოსისათვის.

გავყვეთ შავ-თეთრ ფირს: დეპუტატობის მაძიებელი ალადინი დონეიშენს (შეწირულობას) შესთავაზებს მსხვერპლს - 20 ათასი მაქვს აქვე, უბეში, ბულავკით გამოკრულიო. - ძალიან კარგი, - ამბობს ბლოკის ლიდერი, მომავალი პარლამენტარი კი ხვანჯრის გახსნას იწყებს და იქედან ამოცურებულ დონეიშენს ანუ თბილ, გაზეთში გახვეულ დაპაჩკულ დოლარებს (ხელის კანკალით) გაუწოდებს ბაჟეში ჩაღრმავებულ პოლიტიკოსს, რომელსაც მარჯვენაში ბარკლის გადანახსენი უპყრია (მიაქციეთ ყურადღება). კადრში ასევე ნათლად მოსჩანს, რომ მარცხენა, ბაჟეში ამოლესილი ხელით იღებს შემოწირულობას და კუპატით პირდათუთქულ ასისტენტს აწვდის. რა არის აქ კანონსაწინააღმდეგო? არც ერთი ცივილიზებული ქვეყნის კანონმდებლობით არ იკრძალება ფილანტროპი ბაზრის დირექტორის უბეში, ბულავკით გამოკრული შემოწირულობის გამორთმევა მარცხენა ხელით და კუპატით პირდათუთქულ პარტიის ჩრდილო-აღმოსვლეულ კოორდინატორზე გადაცემა, მით უმეტეს ფაცხაში.

ჰიუმან რაითს ვოჩის ექსპერტი თენგიზ ბელტიხინი: "მთელ ამ ისტორიაში ამერიკული პოლიტიკური სპექტრისათვის საეჭვო მხოლოდ "მეგრელებში" ნა ვერტელეს შეკვეთა გახდა, თანაც "უმაშარაფოდ". საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია და ჩვენს არგუმენტებს პრესკონფერენციიდან შეიტყობთ. ეს გახლავთ პრეცენდენტული ქეისი სრულიად ევროკავშირისათვის, რომ მომავალში ვერავინ ვეღარ გაბედოს პოლიტიკოსს აუკრძალოს: სომხებისა და მონღოლების ზიზღი, ვაჭრებისა და ტოპ-მენეჯერების სიძულვილი, მითუმეტეს, წინასაარჩევნო კამპანიის დროს დუქნებში ჩატარებული ფანდრაიზინგი, რაც თავისთავად მუთაქიდან გამოტანილი დონეიშენის ბაჟეში ამოლესილი ხელით გამორთმევას თავისთავად ითვალისწინებს."

დენზელ ქუნინსი: "ამ სკანდალში ყველაზე უცნაური მაინც ის არის, რატომ აირჩია ოპოზიციურმა კანდიდატმა "მეგრელები"? თუ ნა ვერტელე უნდოდა, ბაგებში კალონკასთან ავიდოდა "თევზებში", სადაც ნაღდი ასეტრინის ნა ვერტელე იჭმევა, "მეგრელების" ბელუგას რატომ ჩააცივდა მაინცდამაინც, ეს არის საეჭვო. ან დოკ. ფილმის შუაწელში ოფიციანტს ლიბიდოზურად რომ გახედავს პარტიის ლიდერი, ეს ხომ აშკარა მონტაჟია, ბავშვმაც კი იცის მთელს ცენტრალურ ამერიკაში, ქალისკენ თვალი არასოდეს გაქცევია თეო-ოპოზიციურ ლიდერს, ის კი არა ოდეკოლონის მაგივრად ნიორწყალს ხმარობს მდედრობითი სქესის დასაფრთხობად. ჩნდება კიდევ ერთი ლეგიტიმური კითხვა, კაპანაძემ ხომ არ ჩაუდო ბარკლის გადანახსენი ხელში სპიჩის დროს, როცა ისტორიის 1 კლასის სახელმძღვანელოში ნეოლითის ხანაში მოხვედრის სურვილზე საუბრობს ლიდერი. ეს ხომ სასაცილოა, სრულიად ამერიკამ იცის საარჩევნო ბლოკი - დავითაშვილი, გელაშვილი, ალადინი - ხორცს არ ჭამენ, კრიშნაიდები არიან, ნა ვერტელეს მიირთმევენ მხოლოდ ფანდრაიზინგის დროს და ისიც მარტო პირით, ხელებშეკრულები, ძველი კოლხური მეთოდით."

ასოციაცია ახალგაზრდა არქეოლოგთა განცხადებით ამ ფირზე არანაირი სამართალდარღვევა არ იკვეთება, საარჩევნო კანონში შავით თეთრზე წერია - შემოწირულობის პაკეტში შედის: ემზარ კვიციანის გაზეთ "სოროსნი ფონდ"-ში გახვეული დაპაჩკული ფული (ცხრა ასიანზე გადაკრული მეათე კუპიურა); გლეხური სალათა კანგაცლილი პომიდვრით; სამი ქებჟალია; ერთი საინი ნიგვზიანი პატრიჟანი; ორი ნა ვერტელე; დუდუკებზე შესრულებული სამი სიმღერა "ტრულაილას ფული დასჭირდა" - ფაცხის მუსიკოსების შესრულებით; პოლაროიდით ფოტოს გადაღება პესკების ფაცხა-კუპეებში, უკიდურეს შემთხვევაში ასეთივე "ფანერკის" კედლებიან საუნაში.

ახალგაზრდა არქეოლოგი ჟაკლინ ხევისთავი: "ვფიქრობ, ეს სკანდალი "ნა ვერტელეს" დისკრედიტაციას უფრო გამოიწვევს, რაც სრულიად მიუღებელია ჩვენი პარტიისათვის."

# თანამშრომლობის მემორანდუმი

დღეს, საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და აშშ-ის სმიტსონის ინსტიტუტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდება. როგორც ეროვნულ მუზეუმში განმარტავენ, მართალია, სმიტსონის ინსტიტუტთან ქართველები უკვე ერთი წელია აქტიურად თანამშრომლობენ, მაგრამ ახლა თანამშრომლობა ახალ - პარტნიორულ ეტაპზე გადადის.

მემორანდუმის ფარგლებში საქართველოსა და აშშ-ის კულტურის ცენტრები ერთობლივი სამეცნიერო კვლევებს განახორციელებენ. ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს თანამშრომლობას საგამოფენო საქმიანობაში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რესტავრაცია-კონსერვაციის საქმეში. აგრეთვე-სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული პუბლიკაციების ერთობლივად მომზადებას და პროფესიონალთა გაცვლით პროგრამებს. სასტუმრო "შერატონ-მეტეხი პალასში" მემორანდუმს ხელს მოაწერენ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე, სმიტსონის პოლიტიკისა და ანალიზის ინსტიტუტის დირექტორი ქეროლ ნევესი და სმიტსონის მუზეუმების კონსერვაციის ინსტიტუტის დირექტორი რობერტ კოსტლერი.

სმიტსონის ინსტიტუტი ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი სახელმწიფო მუზეუმებისა და სამეცნიერო ცენტრების გაერთიანებაა. იგი აერთიანებს 19 მუზეუმსა და 7 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. სმიტსონში შემავალი მუზეუმების უმეტესობა ქ. ვაშინგტონის ცენტრში, კაპიტოლიუმის მიმდებარე ტერიტორიაზე, "ნუშიონალ მოლის" გარშემოა განთავსებული. "სმიტსონის ინსტიტუტი და ეროვნული მუზეუმი ერთი წელია თანამშრომლობენ. აღნიშნული პროექტი საქართველოში აშშ საელჩოს მხარდაჭერით დაიწყო. უკვე ორჯერ მოეწყო სემინარი, რომელსაც დედაქალაქისა და რეგიონების მუზეუმის 80-ზე მეტი პროფესიონალი ესწრებოდა. სემინარებს ამერიკელი ექსპერტები უძღვებოდნენ. პარტნიორთა უახლესი გეგმაა 2007 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანძურის სმიტსონის ინსტიტუტის ფრირისა და სეკლერის გალერეაში გამოფენა", - აცხადებენ ეროვნული მუზეუმის პრეს-სამსახურში.

ჯი-ეიჩ-ენი

# სრული კრახი მშობლიურ კედლებში

საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრებმა ევროპის 2007 წლის ჩემპიონატზე ასპარეზობის შანსი დაკარგა - გუშინ ჰერბერტ ცანკერის გუნდი 0:1 დამარცხდა გერმანიის ნაკრებთან და რადგან რუსეთმა მოიგო მეორე მატჩი, საქართველოს ნაკრები ჯგუფიდან ვეღარ გავა.

პირველი მატჩი მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართა - რუსეთის გუნდმა იოლად დაამარცხა მაკედონიის ნაკრები. რუს ფეხბურთელებს უფრო ყურადღებით რომ ეთამაშათ, მაკედონიელთა კარში მეტი გოლი გავიდოდა.

რაც შეეხება საქართველოსა და გერმანიის ნაკრებთა მატჩს, თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ერთადერთი გოლი კარგად გათამაშებულ კუთხურს მოჰყვა - გერმანელებმა მიზანს მიაღწიეს - 1:0.

პირველ ნახევარში საქართველოს ნაკრებმაც გაიტანა გოლი, თუმცა თანამსაჯმა გიორგი სალარიძის მიერ შეგდებული ბურთი თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩათვალა.

კარგად ითამაშა ქართველთა მეკარემ გიორგი მაკარიძემ, რომელმაც რამდენჯერმე გარდაუვალი გოლისგან იხსნა გუნდი.

მატჩის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე გერმანიის ნაკრების კარში პენალტი დაინიშნა. გამოყენების შემთხვევაში საქართველო ჯგუფიდან გასვლის შანსს ინარჩუნებდა. თუმცა გიორგი მამუჩიშვილის მიერ დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა და ანგარიში არ შეიცვალა.

მატჩის 69-ე წუთზე მეტოქესთან შელაპარაკების გამო მეორედ გააფრთხილეს და გააძევეს ლევან ყენია, რომელიც ჯგუფური ტურნირის უკანასკნელ მატჩში მაკედონიასთან ვეღარ ითამაშებს.

მესამე ტურის შეხვედრები 18 ოქტომბერს გაიმართება: მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე რუსეთისა და გერმანიის ნაკრებები გაეჯიბრებიან ერთმანეთს, ხოლო "ამერის" სარბიელზე საქართველოს ნაკრები მაკედონიას დაუპირისპირდება. ორივე მატჩი 15 საათზე დაიწყება.

**თბილისი. "მიხეილ მესხი". 100**
**რუსეთი U17 6:2 მაკედონია U17**

**გოლები:** 1:0 ა.ძაგოევი (12), 2:0 ა.ძაგოევი (27), 3:0 ი.მიაკინკინი (40), 3:1 ა.აიეტი (57), 4:1 ფ.სმოლოვი (69), 5:1 დ.ვოინოვი (71), 6:1 ა.ძაგოევი (74, პენ), 6:2 დ.სტოიანოვი (76)
**რუსეთი U17:** ს.მანევი, ა.ვავილჩენკოვი (ტ.ბურლაკი 47), ვ.დმიტრიევი, რ.კამბოლოვი, რ.პერეპელნიკოვი (კაპ), ი.მიაკინკინი, ა.ძაგოევი, დ.ვოინოვი (ს.შუმილინი 74),ა.პეტროვი, კ.ჩეკმარიოვი, ა.დელკინი (ფ.სმოლოვი 49)
**მაკედონია U17:** ა.ივანოვიკი, ს.ანგელევსკი, ი.ურდინოვი, ბ.სტოიანოვსკი (კაპ), ი.ცვეტანოვი, ა.ველიანოვსკი (ე.ადემი 41), ე.საბანი, კ.ჰოპ-ზაფიროვი, დ.ცვეტანოვსკი (ა.აიეტი 20), დ.გეორგიევი, ი.ტრიფუნოვსკი (დ.სტოიანოვი 59)
**მწვრთნელი:** ზ.ცვეტანოვსკი
**გაფრთხილება:** ი.ურდინოვი (5), დ.გეორგიევი (40), ე.ადემი (55)
**მსაჯები:** ტ.ვეილჯაარდი (დანია); მ.მალმბერგი (დანია), ზ.მენთეშაშვილი (საქართველო); გ.ვადაჭკორია (საქართველო)

**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 2.500**
**საქართველო U17 0:1 გერმანია U17**

**გოლი:** 0:1 კ.ვოლცე (66)
76-ე წუთზე გ.მამუჩაშვილმა (საქართველო) ვერ გაიტანა პენალტი (ძელი)
**საქართველო U17:** გ.მაკარიძე, გ.მინდორაშვილი, გ.გეთიაშვილი, ლ.მჭედლიძე (მ.ხოკერაშვილი 48), ი.კალანდია (გ.მამუჩაშვილი 65), თ.თარხნიშვილი (კაპ), თ.ბერიძე (გ.ჯოხაძე 55), ლ.ყენია, გ.სალარიძე, თ.შონია, ი.სორდია
**მწვრთნელი:** ჰ.ცანკერი (გერმანია)
**გერმანია U17:** ფ.გიფერი, კ-ს.ევერსი, მ.პაშანი, ტ.შტადლერი, კ.ვოლცე, ჰ.საურბიერი (მ.უნტში 50), პ.ფუნკი (კაპ), ტ.კროოსი, ს.ბიგალკე (ნ.ტეიშეირა 80), ვ.მაიერი, მ.კნოლი (დ.დვიდატი 69)
**მწვრთნელი:** პ.შომანი
**გაფრთხილება:** ლ.ყენია (34), ი.სორდია (44), თ.თარხნიშვილი (60), ლ.ყენია (69), კ.ვოლცე (69)
გაძევება: ლ.ყენია (69)
**მსაჯები:** ი.ცახლიდისი (საბერძნეთი); ს.პანოუ (საბერძნეთი), ა.ალბერტი (უნგრეთი); შ.საპი (უნგრეთი)

# ფაჩულიამ შაკილი დაჩაგრა

შაბათს და კვირას NBA-ს რეგულარული სეზონის მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. ნიუ იორკის შემადგენლობაში პირველი შეხვედრა ჩაატარა ნიკა ცქიტიშვილმა. შაბათს "ნიქსისა" და ნიუ ჯერსის" მატჩში, რომელიც ნიუიორკელთა გამარჯვებით 111:97 დასრულდა, ნიკამ მოედანზე სამი წუთი დაჰყო და თავის ახალ გუნდს ორი ქულა შეაწია. ამ სამ წუთში ნიკამ ერთხელ ფარიდან ბურთის მოხსნაც მოასწრო. სამწუხაროდ, ქართველ კალათბურთელს ნიუიორკელთა მეორე მატჩში, რომელიც გუშინ გაიმართა, არ უთამაშია. მიუხედავად ამისა, "ნიქსმა" სეზონის მეორე მატჩიც მოიგო - ამჯერად სტუმრად ალენ აივერსონის "ფილადელფია" დაამარცხა.

ორი მატჩი გამართა "ატლანტა-მაც". თუ შაბათს ჯორჯიელებმა საკმაოდ მოკრძალებულად ითამაშეს და "ჰიუსტონთან" დამარცხდნენ (ფაჩულიას ამ მატჩში 8 ქულა და 3 მოხსნა ჰქონდა), კვირას ზაზამ და მისმა თანაგუნდელებმა ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი "მაიამი" დაამარცხეს. ამ მატჩში ფაჩულიას შაკილ ო`ნილის წინააღმდეგ უწევდა თამაში. სტატისტიკიდანაც კი ჩანს, რომ ორი გოლიათის დუელი ქართველის გამარჯვებით დასრულდა. შაკილმა მხოლოდ 9 ქულა შენსძინა თავის გუნდს და 3-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი. ზაზას ანგარიშზე კი 18 ქულა და 4 მოხსნაა. შეიძლება ითქვას, რომ "ატლანტას" გამარჯვებაში ფაჩულიამ დიდი წვლილი შეიტანა. ქართველმა ცენტრმა ფლორიდელთა ყველაზე მრისხანე კალათბურთელის შეჩერება შეძლო და "ატლანტას" ანგარიშით 91:81 გაამარჯვებინა.

უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ქართველის გუნდმა სეზონი წარმატებულად დაიწყო. გასულ წელს "ატლანტაც" და "ნუი იორკიც" ჯახირობდნენ, ახლა "ნიუ იორკს" ორიდან ორი მოგება აქვს, ჯორჯიელებს კი - სამი მატჩიდან ორი მოგება და ერთი მარცხი.

*ორი გიგანტის დუელი ფაჩულიას გამარჯვებით დასრულდა.*

**14 თებერვალი**

| | |
|---|---|
| შარლოტა - მილუოკი | 100:104 |
| ბოსტონი - კლივლენდი | 82:91 |
| ნიუ ორლეანი - ორლანდო | 85:100 |
| ნიუ იორკი - ნიუ ჯერსი | 111:97 |
| მინესოტა - დეტროიტი | 96:101 |
| ჰიუსტონი - ატლანტა | 107:93 |

**15 თებერვალი**

| | |
|---|---|
| ფილადელფია - ნიუ იორკი | 100:102 |
| ატლანტა - მაიამი | 91:81 |
| სან ანტონიო - ორლანდო | 87:92 |
| მილუოკი - დალასი | 91:78 |
| ინდიანა - იუტა | 84:97 |
| კლივლენდი - ვაშინგტონი | 89:93 |
| მემფისი - დეტროიტი | 101:89 |
| დენვერი - გოლდენ სტეიტი | 115:121 |

# საკალათბურთო სუპერლიგა დაიწყო

შაბათს სპორტის სასახლეში გაიმართა ქართული საკალათბურთო სუპერლიგის პირველი მატჩები. სანახაობრივი გახსნითი ღონისძიების შემდეგ სუპერლიგის გუნდები მოედანზე გავიდნენ და კარგი კალათბურთიც გაჩაღდა. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ სუპერლიგის ჩამოყალიბება წინგადადგმული ნაბიჯია და ეს პირველივე წრეში გამოჩნდა.

რაც შეეხება თავად მატჩებს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ფავორიტებმა მოიგეს. "მაქაბიმ" გაახალგაზრდავებულ "სტუს" შანსი არ დაუტოვა, "ავიამშენისა" და "დინამოს" შეხვედრა კი ავიატორების გამარჯვებით დასრულდა. დღის მთავარ მატჩში ჩემპიონატის ორი უმთავრესი ფავორიტი რუსთავის "ენერჯი აზოტი" და თსუ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მატჩი რუსთაველთა უპირატესობით მიმდინარეობდა. აშკარად გამოირჩეოდა ტულუში. შეგახსენებთ, რომ მან ტრავმის გამო საქართველოს ნაკრების მატჩები გამოტოვა, ტრავმამოშუშებულმა კოტემ კი თსუს-თან ბრწყინვალედ ითამაშა. ტულუშს მარკოიშვილმაც აუბა მხარი. სწორედ ამ ორი კალათბურთელის წყალობით შეძლო რუსთავის გუნდმა საკმაოდ პრინციპული მატჩის მოგება.

სუპერლიგის მომდევნო ტურის მატჩები ამ კვირის ბოლოს უნდა გაიმართოს. შეხვედრებს ისევ სპორტის სასახლე უმასპინძლებს.

| | |
|---|---|
| მაქაბი - სტუ | 105:91 |
| ავიამშენი - დინამო | 100:81 |
| თუს - ენერჯი-აზოტი | 76:83 |

# ლიდერთა ბენეფისი

მიხეილ აბაიშვილი

სანაკრებო თამაშებით გამოწვეული თითქმის სამკვირიანი შესვენება საქართველოს ჩემპიონატის ლიდერმა კლუბებმა შესაშური რაციონალიზმით გამოიყენეს - ორი დღის წინ განახლებულ ჩემპიონატში უშუალო მეტოქეები გოლების წვიმაში მოაყოლეს. შედარებით მოკრძალებულად გაიმარჯვა თბილისის "დინამომ", რომელმაც თანაქალაქელ "ლოკომოტივს" მხოლოდ ერთი გოლი გაუტანა, მაგრამ ეს გოლი სამი ქულის მომტანი აღმოჩნდა.

მე-8 ტურის ყველაზე მოულოდნელი ანგარიში ბორჯომში დაფიქსირდა, სადაც ადგილობრივმა "ბორჯომმა" საქართველოს ექს და ვიცე-ჩემპიონს თბილისის "ვიტ ჯორჯიას" უმასპინძლა. გასული სეზონისგან განსხვავებით, წელს ბორჯომელები სტაბილურობით აშკარად ვერ გამოირჩევიან, რასაც სუბიექტური და ობიექტური მიზეზები აქვს. ბორჯომელთა წარუმატებელი თამაშის მთავარი პირობა მაინც ისაა, რომ ვერა და ვერ მოხერხდა ოპტიმალური და სტაბილური შემადგენლობის დადგენა. სეზონის დაწყებამდე "ბორჯომმა" შვიდი არგენტინელი ლეგიონერი ჩამოიყვანა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მათი დონე, რბილად რომ ვთქვათ, საქართველოს ჩემპიონატსაც კი არ შეესაბამებოდა. გუნდი განუწყვეტლივ მარცხდებოდა, თან საკმაოდ სოლიდური ანგარიშებით. "ბორჯომის" ხელმძღვანელობა დროზე მოეგო გონს, არგენტინელები სამშობლოში გაისტუმრა და ადგილობრივ ფეხბურთელებზე გააკეთა აქცენტი. შედეგად, განახლებულ ჩემპიონატში საპატიო ფრეს მიაღწია საპრიზო ადგილების მაძიებელ "ვიტ ჯორჯიასთან". ანგარიში მატჩის პირველივე წუთზე ნორვეგიიდან დაბრუნებულმა მელქაძემ გახსნა. 31-ე წუთზე კიკნაძემ წონასწორობა აღადგინა, მაგრამ ზუსტად ერთ წუთში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელმა გელაშვილმა კიდევ ერთხელ დააწინაურა სტუმრები და ტაიმი "ვიტ ჯორჯიამ" 2:1 მოიგო.

მეორე ნახევარში ვითარება დაიძაბა, ფეხბურთელები უხეშობას არ ერიდებოდნენ და მსაჯს არაერთხელ მოუხდა თამაშის შეჩერება და წითელ-ყვითელი ბარათების ფრიალი. 55-ე წუთზე მასპინძელთა სათადარიგოთა სკამიდან ჯერ ლაბაძე გააძევა, რომელმაც ზედმეტად იაქტიურა, ხოლო 66-ე წუთზე სტუმართა გუნდი კაცნაკლული დარჩა - უხეშობისთვის დათუნაიშვილს დაატოვებინა მოედანი. ბორჯომელებს ქულის გადარჩენის შანსი მიეცათ და მოახერხეს კიდეც: მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე ნიკენმა ანგარიში გაათანაბრა.

დედალაქურ "დერბიში" "ლოკომოტივმა" დიდი წინააღმდეგობა გაუწია საჩემპიონო ტიტულის დაბრუნებაზე დაგეშილ "დინამოს". მართალია, "დინამო" მთელი მატჩის განმავლობაში სოლიდურ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ ეს უპირატესობა მატერიალურში ვერ გარდასახა. მართალია, გვიან, მაგრამ ზეწოლამ თავისი შედეგი მაინც მოიტანა. მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე "დინამომ" კუთხურის უფლება მოიპოვა. სტანდარტის შესრულება მერებაშვილმა ითავა, რომლის შესრულების შემდეგ სანდრო იაშვილმა გამარჯვების გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ იაშვილი ოპტიმალურთან მიახლოებულ ფორმაშია. კარგი იქნება, თუ ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობაც მიაქცევს ამ ფაქტს ყურადღებას.

პრობლემა არ შეჰქმნიათ სატურნირო ცხრილის პირველ სამ საფეხურზე განლაგებულ გუნდებს. ლიდერი, რუსთავის "ოლიმპი" საჩხერეში ადგილობრივ "ჩიხურას" ეწვია და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. მახვილაძემ, სირბილაძემ და კვარაცხელიამ (ორჯერ) ოთხი უპასუხო გოლი გაუტანეს მასპინძლებს.

თბილისის "ამერმა "კახეთს" სამი გოლი აკმარა (ბოლქვაძე, დოლიძე, ტატანაშვილი), ხოლო "ზესტაფონმა", ოლიმპის მსგავსად, ოთხი უპასუხო გოლი გაუტანა გორის "დილას" და სატურნირო ცხრილის მესამე საფეხურზე პოზიცია გაიმყარა. ზესტაფონელთაგან ორ-ორი გოლი გაიტანეს ფიფიამ და იონანიძემ.

**მე-8 ტური**

| | |
|---|---|
| დინამო (თბ) - ლოკომოტივი | 1:0 |
| ტორპედო - სიონი | 0:0 |
| ჩიხურა - ოლიმპი | 0:4 |
| დინამო (ბთ) - მერანი | 3:0 |
| ამერი - კახეთი | 3:0 |
| დილა - ზესტაფონი | 0:4 |
| ბორჯომი - ვიტ ჯორჯია | 2:2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ოლიმპი** | 8 | 7 | 1 | 0 | 22-0 | 22 |
| **ამერი** | 8 | 7 | 1 | 0 | 16-22 | 22 |
| **ზესტაფონი** | 8 | 5 | 2 | 1 | 12-3 | 17 |
| **დინამო(თბ)** | 8 | 5 | 0 | 3 | 13-6 | 15 |
| **ვიტ ჯორჯია** | 8 | 4 | 3 | 1 | 14-10 | 15 |
| **ტორპედო** | 8 | 4 | 3 | 1 | 7-3 | 15 |
| **სიონი** | 8 | 3 | 2 | 3 | 8-7 | 11 |
| **დინამო (ბთ)** | 8 | 2 | 2 | 4 | 8-7 | 8 |
| **ლოკომ.** | 8 | 2 | 2 | 4 | 6-10 | 8 |
| **მერანი (თბ)** | 8 | 2 | 2 | 4 | 6-13 | 8 |
| **ჩიხურა (სჩ)** | 8 | 1 | 3 | 4 | 4-12 | 6 |
| **ბორჯომი** | 8 | 1 | 2 | 5 | 10-18 | 5 |
| **დილა (გრ)** | 8 | 0 | 2 | 6 | 4-22 | 2 |
| **კახეთი** | 8 | 0 | 1 | 7 | 7-24 | 1 |

# ელენეს გამარჯვება და ღირსება

*მას შემდეგ, რაც ჩვენი ძვირფასი მეზობლები სიყვარულში გამოგვიტყდნენ, რუსული მიწა არაერთმა ქართველმა დატოვა თუ დაატოვებინეს, გამოაგდეს თუ გამოაძევეს.... რას იზამ, ასე გამოხატავენ ჩვენს მიმართ სიყვარულს. ფიგურული სრიალის ქართველი ოსტატი ელენე გედევანიშვილი ისედაც გულზე არ ეხატებოდათ. რა თქმა უნდა, მასაც ჩაურაზეს რუსული ყინულის კარი. პრესტიჟული კარლ შაფერის მემორიალიდან გუშინ ელენე გამარჯვებული დაბრუნდა.*

*გედევანიშვილი ავსტრიაში საუკეთესო იყო.*

დაახლოებით ორი კვირის წინ ელენე გედევანიშვილს დედასთან ერთად გახურებული ანტიქართული ისტერიის გამო საბუთები გაუფუჭეს. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო ცნობილი. ერთი სიტყვით, ქართველი მოციგურავე იძულებული გახდა საქართველოში ჩამოსულიყო და აქედან წასულიყო ვენაში, კარლ შაფერის მემორიალზე (11-14 ოქტომბერი). თუმცა, შინ დაბრუნებულმა განაცხადა, რომ მას დეპორტაცია არ შეხებია.

ავსტრიულ ტურნირს ხშირად ფიგურული სრიალის არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატადაც მოიხსენიებენ. ამის დასტურია ისიც, რომ შარშან ამ მემორიალზე ტურინის ოლიმპიური თამაშებისთვის ლიცენზიები გათამაშდა. მაშინ ელენე გედევანიშვილმა მემორიალის 23 მონაწილეს შორის მეოთხე ადგილი დაიკავა. რამდენიმე დღის წინ კი ეს ტურნირი მოიგო. საგულისხმოა, რომ საუკეთესო ქულები დაიმსახურა როგორც სავალდებულო მოკლე პროგრამაში (50,48), ისე თავისუფალში (81,40). ჯამში დაგროვილი 131,88 ქულით კი კარლ შაფერის მემორიალის პირველი ქართველი ქალი ჩემპიონი გახდა.

ავსტრიულ ტურნირზე 18 მოციგურავეს შორის ტურინის ოლიმპიური თამაშების კიდევ ერთი მონაწილე ასპარეზობდა. თურქი ტუგბა კარადემირი, რომელმაც ოლიმპიურ ყინულზე 21-ე ადგილი დაიკავა, ავსტრიაში 97,99 ქულით მე-11 იყო.

ერთი სიტყვით, ყველაზე წარმატებული ქართველი მოციგურავე თბილისშია. საქართველოში ჩამოსულს საკადრისადაც დახვდნენ - ყინულის დარბაზში საქართველოს პრეზიდენტისგან ჯილდოდ "ღირსების ორდენი" მიიღო.

მიხეილ სააკაშვილმა გედევანიშვილს აღუთქვა, ყველა პირობას შეგიქმნით იმისთვის, რომ საერთაშორისო სარბიელზე წარმატებით იასპარეზოო.


*ჩვენ გვწამს, რომ შეგვიძლია დიდი და დადებითი გავლენა მოვახდინოთ მსოფლიოში ბიომრავალფეროვნებაზე. თუ თქვენ ხართ არასამთავრობო, ეკოლოგიური ორგანიზაციების ან მასმედიის წარმომადგენელი და ამ აზრს იზიარებთ, იხილეთ ეს განცხადება. წინა წლებში მიღწეულ წარმატებებზე დაყრდნობით, მოხარულნი ვართ გამოვაცხადოთ*

**საქართველოს მეხუთე ბიომრავალფეროვნების კონკურსი**

ეს კონკუსი, რომელიც არის BP საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიის კომპონენტი, მხარს უჭერს სპეციალური ინიციატივების შესრულებას ბიომრავალფეროვნების სფეროში იმ ქვეყნებსა თუ რეგიონებში სადაც ჩვენ ვმუშაობთ.

**კონკურსი ორ კატეგორიად იყოფა:**
**1. ბიომრავალფეროვნების პროექტი (კრიტიკული ეკოლოგიური სისტემები, დაცული რეგიონები ან გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი დაცული სახეობები, ეკოტურიზმი და განათლება გარემოს დაცვის სფეროში)**
**2. მასმედიის მასალები (სტატიები ან ვიდეო მასალა) ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ.**

**პირველი კატეგორია - ბიოლოგიური მრავალფეროვნების პროექტი**

**- კონკურსში მონაწილე პროექტების ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 25 000 აშშ დოლარს და უნდა შეიცავდეს შემდეგს:**
**- მდგრადი განვითარების ინიციატივებს;**
**- შესრულებისა და წარმატების მაჩვენებლებს;**
**- მყარ მეცნიერულ საფუძველს;**
**- რაციონალურ ბიუჯეტს.**

პირველი კატეგორიის საინტერესო პროექტები მიიღებენ გამამხნევებელ ჯილდოებს.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ როგორც ინდივიდუალურ დაწესებულებებს, ასევე ოფიციალურად დარეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფსაც.

პროექტები უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტულ ფორმას, რომელიც შეიქმნა BP საქართველოს ბიომრავალფეროვნების კონკურსისთვის. სტანდარტული ფორმების აღება შეიძლება BP-ის ოფისში (საბურთალოს ქ. 38, თბილისი, საქართველო).

**მეორე კატეგორია - მასმედია ბიომრავალფეროვნების შესახებ:**

**სტატიები და მედია პროდუქცია ბიომრავალფეროვნების შესახებ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:**
**- დაბეჭდილი ან გამოცემული უნდა იყოს 2005-2006 წწ.**
**- უნდა იყოს გათვლილი ფართო აუდიტორიაზე (მკითხველზე/მაყურებელზე);**
**- უნდა ჩააბაროს პირადად ავტორმა ან შემოქმედებითმა ჯგუფმა;**
**- ჩაბარებული სტატია არ უნდა აღემატებოდეს 7000 სიმბოლოს;**
**- მედია პროდუქციის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 20 წუთს.**

მეორე კატეგორიის გამარჯვებულებისთვის გათვალისწინებულია ქვემოთ აღნიშნული ჯილდოები:
**- პირველი ადგილი - ერთი ჯილდო (1000 აშშ დოლარი)**
**- მეორე ადგილი - ერთი ჯილდო (500 აშშ დოლარი)**
**- მესამე ადგილი - ორი ჯილდო (300 აშშ დოლარი თითოეულ გამარჯვებულს)**

**საბუთები მიიღება 2006 წლის 17 ნოემბრამდე. გამარჯვებულები გამოცხადდებიან 2007 წლის იანვრის ბოლოს.**
**პროექტი, რომლიც მოცემულ კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს არ განიხილება.**

*დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ბი-პი საქართველოს ოფისს. საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფი, ტელ: 59 34 00*

# კიდევ ერთი "საჩუქარი" თბილისს

## სცენაზეა პაკო პენია და მისი ფლამენკო

სოფო კილასონია

გუშინ საღამოს ჩვენს დედაქალაქში უკვე მეათედ გაიხსნა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი "საჩუქარი". თარიღი საიუბილეოა. მიუხედავად ამისა, ფესტივალის ორგანიზატორებს ისე არასდროს გასჭირვებიათ მისი ხელახალი მომზადება და შეფუთვა, როგორც წელს. როგორც ჩანს, 10 წელი ისე გავიდა, ჩვენ, საზოგადოებამ, ზოგადად ხელოვნების ფესტივალის შესაძლებლობები და მისი მნიშვნელობა ბოლომდე მაინც ვერ დავინახეთ და ძველი და კარგად ნაცნობი ინერტულობით ლამის ბოლო მოვუღეთ მას. "საჩუქარი", რომელსაც ბოლო წლებში მუდამ ექმნებოდა სხვადასხვა და, რაც მთავარია, ფინანსური პრობლემები, მაინც გვჩუქნიდა რამდენიმე დღეს, როცა შესაძლებელი ხდებოდა უცხოური, თუნდაც რუსული თეატრალური დასების ნამუშევრების ხილვა, გამოცდილების გაზიარება, გარკვეული "არტისტული დიალოგი". ამიტომაც დღეს სრულიად ზედმეტია ფესტივალისადმი მუდამ გაურკვეველი დამოკიდებულების ნებისმიერი მიზეზით გამართლება. ყველას და მით უფრო დღევანდელი ჩვენი ზოგადი შესაძლებლობების ფონზე ქართულ კულტურას სჭირდება უწყვეტი პროცესი, რათა თანამედროვე ხელოვნება სუფთა ჰაერით იკვებებოდეს. ამაში ვერაფერი დაგვეხმარება ისე, როგორც საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც განმეორებად, უწყვეტ პორცესად იქცევა.

ჩვენ მოგვწონდა და გვჭირდებოდა "ბორჯომის მუსიკალური ფესტივალი" და უფრო მეტად გვჭირდება თანამედროვე მუსიკის ფესტივალი (რომელსაც თითქოს ორი წლის წინ ჩაეყარა საფუძველი), ჩვენ მოგვწონს გუშინ დასრულებული "პრომეთე" და გვჭირდება "საჩუქარიც", რომელმაც, ყველაფრის მიუხედავად, საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა და მნიშვნელობა შეიძინა ქართულ კულტურაში. როგორც ჩანს, ჩვენი სურვილების გამოხატვისთვის ასეთი კატეგორიულობა აუცილებელი ელემენტია. გუშინ ხელოვნების ფესტივალი გაიხსნა, თუმცა მისი ბედი წელსვე საეჭვო გახდა. მერიის გარდა, რომელიც ფესტივალის ტრადიციული მხარდამჭერია და რომელიც "საჩუქარს" სანახევროდ აფინანსებს, არაერთგზის დაპირების მიუხედავად, ფესტივალს არ აღმოაჩნდა არც ერთი მხარდამჭერი.

ლეგენდარული პაკო პენია და მისი დასი გუშინ საღამოს ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ფლამენკოს გიტარის თანხლებით, ცეკვითა და სიმღერით ასრულებდნენ. მაგრამ გუშინ საღამოს ვერ გადაწყდა პრობლემა, რომელიც ეხება არა მხოლოდ კონკრეტულად "საჩუქარს", არამედ ბევრად უფრო ზოგადია. გუშინდელი პრესკონფერენციის მოკლე ილუსტრაციას ოდნავ უნდა ავუარო გვერდი და ფესტივალის ერთ-ერთ ორგანიზატორს, თეატრმცოდე ხათუნა წულაძეს გავესაუბრო:

**- ვიცი, რომ ბიზნეს-დონორებმა ბოლო წუთს განაცხადეს უარი ყოველგვარ დახმარებაზე. ისინი ჩვენი საზოგადოების ნაწილი არიან. მაშინ რა უშლის ამ საზოგადოებას ფესტივალის მნიშვნელობის შეგნებაში?**

- ეს საერთო ფონია მთელ ქვეყანაში და შესაძლოა მთელ მსოფლიოშიც - მასკულტურის მოჭარბების. მან უკვე წალეკა ყველაფერი. ჩვენ გავიზარდეთ ელდარ და გიორგი შენგელაიების, საშა რეხვიაშვილის, ოთარ იოსელიანის ფილმებზე. ახალი თაობისთვის უცხოა ეს ყველაფერი. მათ სჭირდებათ თანამედროვე ხელოვნება, თანამედროვე რეჟისორები, ვინც აჩვენებს ახალ და მაინც ღირებულ ნიმუშებს. ისინი კი არ ჩანან ან ვერ ჩანან. ამიტომ მიჯაჭვული ვართ ტელევიზორზე და, შესაბამისად, ჰოლივუდურ ფილმებზე. მოთხოვნილება ჭეშმარიტ ღირებულებებზე ნელ-ნელა გადადის უკანა პლანზე. რასაც ეჩვევა საზოგადოება, იმის მოთხოვნილება უჩნდება. ეს ყველაფერი თეატრსაც შეეხო. როგორც თეატრმცოდნე, ვთვლი, რომ ჩვენს თეატრებში ღირებული არაფერი იდგმება. რა თქმა უნდა, გვყავს დიდი რეჟისორები თემურ ჩხეიძე, რობერტ სტურუა, მაგრამ ეს არ განაპირობებს პროგრესს. პროგრესი არ არის. ისინი უკვე ძველი თაობაა. ამ ბოლო დროს მომეწონა გოგა თავაძის "გიულიჰი". ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მაგრამ ასეთი სერიოზული ნამუშევარი ძალზე იშვიათია. თეატრებში არაფერია სანახავი. მაყურებელს უჩნდება პრეტენზია: მრავალფეროვანია თუ არა რეპერტუარი, რამდენად ცნობილი სახეები ჩამოგყავს... ამას დიდი მოსამზადებელი სამუშაოები სჭირდება. ხანდახან ფული გვაქვს, მაგრამ ვიღაც არ გვთანხმდება ჩამოსვლაზე. როცა თანახმანი არიან, რაღაც უაზრო ჰონორარის გამო, ხან კი სრულიად უანგაროდ ამასაც ვერ ახერხებ. გამოდის, რომ ეს ყველაფერი გვაინტერესებს მარტო ჩვენ, ფესტივალის ორგანიზატორებს და ამით საერთოდ არ არის დაინტერესებული არც საზოგადოება, არც ბიზნესი, რომელიც საზოგადოების მნიშვნელოვანი და დიდი უნარის მქონე ნაწილია.

**- ბიზნესმენი ვერ ხედავს ინტერესს. იქნებ იმიტომ, რომ საზოგადოება ინერტულია. ამ შემთხვევაში ვინ უნდა გადადგას პირველი ნაბიჯი, რამდენად არის ეს ყოველივე ერთმანეთთან დაკავშირებული?**

- ზუსტად იმიტომ, რომ საზოგადოება ინერტულია და ის ხშირად არასწორი გზით მიდის, მასკულტურისკენ წავიდა ყველაფერი. თუ შენ, შეგნებით მაინც, მაღლა დგახარ ხალხზე, რომელსაც მასას ეძახი, შენ როცა გაქვს რაღაც საზოგადოებრივი მდგომარეობა, როცა გაქვს ძალა, ფული, უნდა შეგეძლოს წარმართო ყველაფერი ისე, როგორც საქმეს სჭირდება. მაგრამ ყველაზე ცუდი ის არის, რომ, როგორც ჩანს, ამ ადამიანებისთვის ხელოვნება არ არის საინტერესო, არც საჭირო. ეს დამღუპველია. ვისაც ფული აქვს, ამ ყველაფრის აზრს ვერ ხვდება. ვის ხელშიც არის შესაძლებლობა, ფული, თუ იმან არ მოინდომა სიკეთისკენ შეცვალოს მდგომარეობა, მაშინ ვერაფერიც ვერ გამოსწორდება და ნელა-ნელა ეს დინება ძალიან ცუდ ნაყოფს გამოიღებს.

**- აქამდე კერძო სტრუქტურები აფინანსებდნენ "საჩუქარს"?**

- დიახ, მეტ-ნაკლებად და დიდი წვალებისა და შეგონების ფასად. ის, რაც წელს მოხდა, ასეთი შემთხვევა არასდროს ყოფილა. მერიის მიერ გამოყოფილი თანხა მოხმარდა ნაწილ საქმეს. პაკო პენიას კონცერტს ბიზნესსტრუქტურები უზრუნველყოფდნენ. მაშინ, როცა დასმა ბილეთები აიღო და უკვე ვეღარაფერი შეიცვლებოდა, გაურკვეველი მიზეზების გამო სპონსორებმა უარი თქვეს. უბრალოდ, აღარ მოუნდათ მცირე თანხის გაღებაც კი. მათ ალბათ არ უფიქრიათ, რომ რიგით მოქალაქეს ხანდახან ბეზრდება, ანდა სულაც არ უნდა ტელესერიალების ყურება...

**- როგორც ვიცი, რუსულ-ქართულმა დაძაბულმა პოლიტიკურმა ურთიერთობამ ფესტივალსაც თავისი დაღი დაასვა. კონკრეტულად რა შეიცვალა?**

- ფესტივალზე მუდამ ბევრი სტუმარი ჩამოდიოდა რუსეთიდან. ამჯერადაც დიდი გეგმები გვქონდა. უნდა ჩამოსულიყო არაერთი ფოტოგამოფენა, გალინა კმიტისა და ანატოლი ვასილევის ექსპოზიციები, გეგმაში იყო კომიკ-ტრესტის კლოუნადა-ბუფონადის სტილში შექმნილი არაჩვეულებრივი სპექტაკლი, რომელსაც მთელი მსოფლიო აქვს მოვლილი, თავისთავად ცხადია, არაერთი დრამატული თეატრი, კანჩალოვსკის ახალი და საკმაოდ სკანდალური სპექტაკლი "მის ჟიული", ვასილევის დასს უნადა ეჩვენებინა დიმა კრიმოვის "აუქციონი", უნდა ჩამოსულიყო ბელა ახმადულინა და ჩაეტარებინა პოეზიის საღამო. ეს ყველაფერი რეპერტუარს მიღმა დარჩა, რადგან ყველა ეს ადამიანი მოსკოვის მთავრობის მხარდაჭერით ჩამოდიოდა.

რუსეთთან გართულებული ურთიერთობისა და ზემოაღნიშნული პრობლემების მიუხედავად, წლევანდელი "საჩუქარი" მაინც ძალზე საინტერესოა. დღეს საღამოს კიდევ ერთხელ გაიმართება "ფლამენკოს" შოუ პენიასა და სხვა გიტარისტების შესრულებით. რამდენიმე დღეში თბილისში დაიდგმება რეჟისორ ჰილარი ვუდის სპექტაკლები, ისრაელიდან ჩამოდის პოეზიის, მუსიკისა და პლასტიკის თეატრი, წარმოადგენს ცნობილი რეჟისორის იულია პევზნერის ნამუშევარს. ასევე იტალიური დასი, თავისუფალი თეატრი, რუსტამ იბრაგიმბეკოვი გვიჩვენებს სრულიად ახალ ფილმს და მისი თეატრი "იბრუსი" - ერთ წარმოდგენას. ბაქოს კამერული თეატრი სემუელ ბეკეტის "გოდოს მოლოდინის" საკუთარ ვერსიას შემოგვთავაზებს. ფესტივალის ფარგლებში ვიხილავთ ამერიკელი მსახიობების რამდენიმე მონოსპექტაკლს. გაიმართება ლიტერატურული საღამოები, გამოფენები, აჩვენებენ არაერთ კინოფილმს. ჩვენი თეატრები საუკეთესო წარმოდგენებით შეეგებებიან "საჩუქარს". ლევან წულაძე კი პრემიერით გაგვახარებს. ასე რომ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ყველაფერი კარგად დასრულდება, მაგრამ ღიად რჩება კითხვა: ამგვარი მხარდაჭერისა და მონდომების ფონზე, შეძლებენ თუ არა მოგვიძღვნან "საჩუქარი" მომთვალ წელს? თუ ეს პატარა ფუფუნება ჯერ მაინც ვერ დავიმსახურეთ?


**ვაკანსია ტექნიკური მენეჯერის თანამდებობის დასაკავებლად**

კომპანია "ლომისი" და "ლუდსახარში ნატახტარი" აცხადებს ვაკანსიას ტექნიკური მენეჯერის პოზიციის დასაკავებლად "ლუდსახარშ ნატახტარში" (მცხეთის რაიონი სოფ. ნატახტარი). მოთხოვნა: განათლება შესაბამის სფეროში, გამოცდილება მინიმუმ 2 წელი. ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 45 წელს. გთხოვთ თქვენი CV გამოაგზავნოთ აღნიშნულ მისამართზე: ფაქ: +995 26 22 77 ან ელ-ფოსტა: irma@lomisi.com

ცნობილი სახალხო მკურნალი **ანდრო სამხთშაშვილი** იღებს პაციენტებს "დავით ტატიშვილის აღდგენითი მედიცინის ცენტრში".



**ს ი ა ხ ლ ე !**

**ყველას, ვისაც გაწუხებთ ხერხემლის დაავადებები!**

სამკურნალო მასაჟისა და მანუალური თერაპიის გამოცდილი სპეციალისტი, ირაკლი ძიძიგური გთავაზობთ ხერხემლის დაავადებების მკურნალობისა და რეაბილიტაციის უახლეს, მაღალეფექტურ კინეზო-ფიზიოთერაპიულ კომპლექსს.

**მის. ი. ჭავჭავაძის 78**

**დავით ტატიშვილის აღდგენითი**

**მედიცინის ცენტრი**
**ტელ: 293 -292**
**(899) 222 - 912**
**(893) 65 38 39**


## ჯანმრთელობის სერვისების მენეჯერების ტრენინგის

# განცხადება

**1. შესავალი**

საქართველოს მთავრობა ახორციელებს ჯანმრთელობის სისტემის რეფორმას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, მოქალაქეების ფინანსურ დაცვას და ჯანმრთელობის სერვისების მაქსიმალურ მისადაგებას მოსახლეობის მოთხოვნებზე. ამის მიღწევა შესაძლებელია ხელმისაწვდომობის და სერვისების უტილიზაციის გაზრდით მთელი მოსახლეობისათვის (და განსაკუთრებით ღარიბი მოსახლეობისათვის), მომსახურების ხარისხის, სერვისების წარმოების ეფექტურობის და ასევე მომხმარებლის და მიმწოდებლის კმაყოფილების მიღწევით.

საჭირო ადამიანური რესურსების გადამზადების ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კომპონენტი არის ჯანმრთელობის სერვისის მენეჯერების კონტინგენტის შექმნა, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისა და საავადმყოფოების მართვაზე თანამედროვე მენეჯერული კრიტერიუმების შესაბამისად.

საქართველოს პირველადი ჯანდაცვის რეფორმის პროექტი, რომელსაც დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის დაფინანსებით ახორციელებს ოქსფორდის პოლიტიკის მართვის ჯგუფი დახმარებას უწევს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა სამინისტროს ამ მიმართულებით. რეფორმის პროცესის ტექნიკური დახმარების სხვა ელემენტებთან ერთად ოქსფორდის პოლიტიკის მართვის ჯგუფი ხელმძღვანელობს ჯანმრთელობის სერვისის მენეჯმენტის ტრენინგის პროგრამას.

ტრენინგს კოორდინაციას გაუწევს ქართველი და უცხოელი ექსპერტებისაგან შემდგარი ჯგუფი. ეს ტრენინგის უნარ-ჩვევების თანმიმდევრული გადაცემის საშუალებას მოგვცემს და უზრუნველყოფს პროგრამის საქართველოს რეალობასთან უკეთ ადაპტაციას.

**2. მიზანი**

კურსი მიზნად ისახავს აღჭურვოს კურსდამთავრებულები ჯანმრთელობის სერვისებში მენეჯმენტის თეორიების, მცნებების, მიდგომების და ტექნიკის გამოყენების უნარით საქართველოს ჯანმრთელობის სისტემის რეფორმის კონტექსტში.

წარმატებულ კურსდამთავრებულებს გადაეცემათ სერტიფიკატი.

**3. შინაარსი**

მენეჯმენტის კურსი შედგება 600 საათისაგან (20 კვირა). პირველი სეგმენტი დაფარავს ზოგადი მენეჯმენტის საკითხებს. ეს სეგმენტი საერთო იქნება ყველა მონაწილესათვის. მეორე და მესამე სეგმენტები მიზნად ისახავს პირველ სეგმენტში განხილული საკითხების შემდგომ განვითარებას და დახვეწას. მეორე და მესამე სეგმენტის პროგრამა განსხვავებული იქნება პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების, საავადმყოფოების და სამთავრობო დაწესებულებების მენეჯერებისათვის. პირველად ჩატარდება 1 სეგმენტი (6 კვირა) და პროგრამის დანარჩენი ნაწილი მიწოდებული იქნება მოგვიანებით.

**4. ტრენინგის თარიღი და ადგილი**

ტრენინგის პირველი ფაზა (სეგმენტი 1) დაიწყება ნოემბრის შუა რიცხვებში და გასტანს დეკემბრის ბოლომდე.

ადგილი: ტრენინგი ჩატარდება თბილისში

სამიზნე რეგიონები: ტრენინგის პირველი ფაზა გამიზნული იქნება აჭარის, იმერეთის და კახეთის რეგიონებისათვის. სხვა რეგიონების მოცვა მოხდება შემდეგ ტრენინგებში.

**5. განაცხადის შემოტანა**

დაინტერესებულ კანდიდატებს მოეთხოვებათ აპლიკაციის გამოგზავნა (გთხოვთ შეავსოთ თანდართული სააპლიკაციო ფორმა, რომელიც შეგიძლიათ აიღოთ ქვემოთ მოცემულ მისამართზე ან იხილოთ ვებ-გვერდები: www.opm.ge; www.jobs.ge; www.humanresource.ge):

მენეჯმენტის ტრენინგის პროგრამა, OPM
ოთახი 209, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა სამინისტრო
30, გამსახურდიას (პეკინის) გამზირი,
0160, თბილისი
ფაქსი: 995 32 387904
ელ-ფოსტა: mtraining@opm.ge

განაცხადების შემოტანა ასევე შეიძლება პირადად ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

განაცხადების შემოტანის საბოლოო ვადაა **2006 წლის 29 ოქტომბერი**

აპლიკაციები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

**ა. განათლება**
ა.1 დიპლომი მენეჯმენტში, ეკონომიკაში ან მედიცინაში
ა.2 სასურველია დიპლომის შემდგომი სპეციალიზაცია
ა.3 სასურველია ინგლისური ენის ცოდნა

**ბ. გამოცდილება**
ბ.1 საქართველოში მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის სულ მცირე 2 წლიანი გამოცდილება
ბ.2 სასურველია კახეთის, იმერეთის ან აჭარის რეგიონის ჯანმრთელობის სისტემაში მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება

**გ. არაპროფესიული მოთხოვნები**
გ.1 ასაკობრივი შეზღუდვა 55 წელი
გ.2 კახეთის, იმერეთის ან აჭარის მცხოვრები (სურვილი გაქვთ მოთხოვნის შესაბამისად ტრენინგის დასრულების შემდგომ იმუშაოთ ამ რეგიონებში)
გ.3 ცვლილებებისადმი დადებითი დამოკიდებულება, მოქნილობა, ადაპტაციის უნარი, და ინიციატივის და ინტერესის დემონსტრირება
გ.4 გუნდში მუშაობის სურვილი
გთხოვთ თან დაურთოთ აპლიკაციაში მოთხოვნილი დიპლომების ასლები.

**6. შერჩევის პროცესი**

აპლიკაციების გადარჩევა მოხდება შემდეგი პროცესის შესაბამისად

■ დოკუმენტაციის მიმოხილვა და კანდიდატების გამოცდილება განსაზღვრავს მათ შესაძლო დაშვებას შემდგომ ეტაპზე
■ ინტერვიუზე და ტესტირებაზე მოსაწვევად შეირჩევა 40 კანდიდატი. (ინტერვიუს ადგილი და თარიღი ეცნობებათ კანდიდატებს აპლიკაციაში მითითებულ ტელეფონზე ან ელ-ფოსტაზე)
■ 20 შერჩეული კანდიდატის სია გამოქვეყნდება OPM-ის ვებ-გვერდზე

აპლიკანტებს, რომლებიც არ იქნებიან შერჩეული, მიეცემათ 1 კვირიანი ვადა დასაბუთებული საჩივრის შემოსატანად.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 995 32 387904

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ არასრული განცხადებები არ იქნება განხილული.

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:
თიბისი TBC BANK
BORJOMI ბორჯომი
GPI HOLDING
GRDC

## უმდიდრესი ჩინელი - ქალია

ცნობილი ჟურნალის Fortune-ს ჩინურმა გამოცემამ "ხუჟუნმა" გამოაქვეყნა ქვეყნის უმდიდრესი ადამიანების რეიტინგი, რომელშიც პირველი ადგილი 3,4 მილიარდი დოლარის ოდენობის კაპიტალით 49 წლის ჰონკონგელმა ქალბატონმა, მაკულატურის გადამამუშავებელი კომპანია Nine Dragon Paper-ის მეპატრონემ ცძან იუნმა დაიკავა. აღსანიშნავია, რომ შარშანდელ რეიტინგში მას მხოლოდ 36-ე პოზიცია ეკავა, მაგრამ ეგზომ მნიშვნელოვანი წინსვლა მიმდინარე წლის მარტში თავისი ფირმის ჰონკონგის ბირჟაზე დარეგისტრირების შემდეგ განიცადა. საერთოდ, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ჩინურ ბიზნესში ქალბატონთა როლი თანდათანობით სულ უფრო იზრდება.

აღნიშნული რეიტინგის ადრინდელი ლიდერი, საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის მწარმოებელი კომპანია GoMe Electronic AppLiances-ის თავკაცი ხუან გუანიუი 2,5 მილიარდი დოლარით ამჯერად მეორე ადგილზეა. მესამეზე კი 2,1 მილიარდით ცძუ მენიუ გავიდა, რომელიც უძრავი ქონებით სავაჭრო და სამშენებლო კომპანია Hopson Development Property-ის დამაარსებელი გახლავთ.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩინელ მილიარდერთა რაოდენობა სამჯერ, 15-მდე გაიზარდა. სულ კი რეიტინგში შევიდა 500 ჩინელი, რომელთა მთლიანი ქონება 138 მილიარდს შეადგენს და რომელთა მესამედი ჩინეთის კომპარტიის წევრია.

## Jasdaq-ის და Nasdaq-ის ბირჟები შერწყმას აპირებენ

იაპონური საფონდო ბირჟა Jasdaq Securities Exchange და ამერიკული Nasdaq Stock Market Inc შერწყმის შესაძლებლობას განიხილავენ, რაც იაპონელ ინვესტორებს საერთაშორისო კომპანიების აქციებით, რომლებიც აშშ-ს საფონდო ბირჟაზე ბრუნავს, ვაჭრობის საშუალებას მისცემს. ამასთან, შესაძლებელი გახდება აზიური კომპანიების აქციების Nasdaq-ზე განთავსებაც. მომავალი გარიგების ფინანსური მხარე ჯერჯერობით უცნობია. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის მაისში საფუძველი ჩაეყარა ნიუ იორკის საფონდო ბირჟის NYSE-სა და ევროპის სიდიდით მეორე საფონდო ბირჟის Euronext-ის შერწყმას. ამ გარიგების შედეგად, რომლის ღირებულება 10 მილიარდი დოლარია, შეიქმნება მსოფლიოში პირველი ტრანსატლანტიკური და უმსხვილესი ოპერატორი NYSE Euronext. და აი, ამ ტენდენციას Jasdaq-ის და Nasdaq-ის ბირჟები აგრძელებენ.



## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,2941 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9901 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4739 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7405 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8127 |
| 1 | ბულგალური ლევი | BGL | 1,1166 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2929 |
| 1 | ეგვიპტური ბირვანკა | EGP | 0,3038 |
| 1 | ევრო | EUR | 2,1833 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,3958 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3347 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1701 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1457 |
| 1 | ინგლისური ბირვანკა ს | GBP | 3,2297 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1903 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2536 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4083 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5320 |
| 1 | ლატვური ლატი | LVL | 3,1192 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,3531 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3206 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2589 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5600 |
| 1 | რუმინული ლეი | RON | 0,6230 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0646 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,0968 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4545 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5142 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4138 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4623 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8151 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0192 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1363 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4444 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2356 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3701 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0775 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2199 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2233 |




# ჩაშლილი ენერგომეთქმულება

თორნიკე შარაშენიძე
ნატო საინფორმაციო ცენტრის დირექტორი

### როგორ დაღუპა სუბსიდიებმა "ეარბასის" გრანდიოზული პროექტი

*ევროპული კონსორციუმის, "ეარბასის" გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი გასულ კვირასაც გაგრძელდა და კურიოზული სახე მიიღო. თანამდებობიდან გადადგა ავიაგიგანტის თავკაცი კრისტიან შტრაიფი, რომელიც სულ სამი თვის წინ დაინიშნა. შტრაიფს ლუი გალუა შეცვლის, რომელიც უკვე აცხადებს, რომ "ეარბასს" სამუშაო ადგილების შემცირება ელის. განცხადება სრულიად ბუნებრივად ჟღერს - გიგანტური ლაინერის, "ეი380"-ის დაგვიანების გამო კონსორციუმი მილიარდობით ზარალს ნახულობს და ხარჯების შემცირება ნამდვილად აუცილებელია. ხარჯების შემცირებას შტრაიფიც აპირებდა, მაგრამ არა ისე, როგორც ეს საჭირო იყო...*

*თუმცა, სანამ ამ პერიპეტიებზე გადავალთ, კარგად უნდა გავიაზროთ რა ხდება "ეარბასში." 2000 წელს კონსორციუმმა განაცხადა, რომ მსოფლიოში უდიდესი სამგზავრო თვითმფრინავის აგებას აპირებდა. "ეი380"-ს 555 მგზავრი უნდა გადაეყვანა და კალიფორნიიდან ავსტრალიამდე მანძილი შეუსვენებლად უნდა დაეფარა. საფრანგეთისა და გერმანიის მთავრობებმა ამ გრანდიოზული პროქტისათვის მილიარდობით სუბსიდიები არ დაიშურეს. "ეარბასმა" იმ პერიოდში აშკარად დაჯაბნა თავისი ამერიკული კონკურენტი "ბოინგი" (ყოველ შემთხვევაში, სამოქალაქო ავიაციის სფეროში მაინც) და ახლა საჭირო იყო კიდევ ერთი დიდი ნახტომი, რომლის წყალობითაც "ბოინგს" უკვე მნიშვნელოვნად ჩამოიტოვებდნენ უკან. ამ ნახტომად "ეი380" უნდა ქცეულიყო. "ბოინგი" კი რატომღაც საპასუხოდ სუპერჯამბოს აგებას არ აპირებდა და უფრო საშუალო ზომის ლაინერებზე გადაიტანა აქცენტი.*

B3

# "ინფლაციის გაკონტროლება შეიძლება"

ინტერვიუ პარლამენტის საფინანსო-საბიუგეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძესთან

**- არჩევნები შედგა. ყველა პრობლემაზე ღიად შეიძლება საუბარი, მათ შორის, ინფლაციაზე. რა ვითარებაა სადღეისოდ, 14.5 % -ის დაფიქსირების შემდეგ სტატისტიკის დეპარტამენტს ოფიციალური მონაცემები არ გამოუქვეყნებია, როგორია რეალური ვითარება, რამდენია პროცენტი და რამდენად გამართლდება ერთგვარი ინფლაციური მოლოდინი, რომელიც წინასაარჩევნოდ დახარჯულ ფულთანაა დაკავშირებული?**

- უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ სტატისტიკის დეპარტამენტმა სათანადო ინფორმაცია გამოაქვეყნა, რომელიც მეც მაქვს და საერთაშორისო-საფინანსო ორგანიზაციებსაც. ივლისში წლიური ინფლაცია 14,5%-ის ფარგლებში გვქონდა, აგვისტოში - 13.4 %, ხოლო სექტემბერში- 11%-ის ფარგლებშია, ანუ რეალურად მცირდება. რაც შეეხება წლის განმავლობაში ინფლაციის მაჩვენებელს, იგი 6%-ის ფარგლებშია.

ტრანსფორმაციის ეტაპზე მყოფი ქვეყნებისთვის, რომელთაც საქართველოც მიეკუთვნება, ინფლაციის 6%-ზე მეტი მაჩვენებელი მაღალია და იგი ხელს უშლის ქვეყნის სწრაფ და დინამიურ ეკონომიკურ განვითარებას, ეკონომიკურ სტაბილურობას და ა.შ. ხოლო ის ციფრები, რომლებიც მე ჩამოვთვალე, ვგულისხმობ (14,5%-ს, 13,4%-ს, 11%-ს), ბევრად მაღალია საპროგნოზოსთან შედარებით. აქედან გამომდინარე, ამოცანას წარმოადგენს ის, რომ ეს ციფრები, რომლებზეც ვსაუბრობთ, წლის ბოლომდე გახდეს ერთნიშნა, ანუ იყოს ზომიერი ინფლაცია და არა დასაშვებ ნორმებს ზევით.

B4

# საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ გლეხებისგან 21 ტონა ყურძენი შეისყიდა

სალომე ძაძამია

*პრეზიდენტის განცხადებას, რომ კახეთის დასახმარებლად ყველა კომპანიას 10-10 ტონა ყურძენი უნდა შეეძინა, საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია გადამეტებული შენაძენით გამოეხმაურა. კომპანია "ბორჯომმა" გლეხებისაგან 21 ტონა ყურძენი შეისყიდა.*

*საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ წინანდალში კორპორატიული რთველი გამართა. რთველში მონაწილეობა კომპანიის 75-მა თანამშრომელმა მიიღო. კახეთში რთველზე, კომპანია "ბორჯომის" თბილისის ოფისის თანამშრომლებთან ერთად, რუსეთის და უკრაინის ოფისების თანამშრომლებიც ჩავიდნენ. ჩამოსულ სტუმართა შორის იყო საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის ჰოლდინგის აღმასრულებელი დირექტორი ჟაკ ფლერი.*

B2

# ბაქოში გამართული სამმხრივი შეხვედრების შედეგები

## დიდი სარკინიგზო კორიდორის მშენებლობის ახალი დეტალები

მარიამ ჯაჭვაძე

*ორი დღის წინ ბაქოში დასრულდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის შეხვედრები თურქეთისა და აზერბაიჯანის ტრანსპორტის მინისტრებთან. ჩინოვნიკთა საუბრის ძირითადი თემა ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა იყო. ამ შეხვედრაზე საბოლოოდ გადაწყდა, რომ მშენებლობა, რომელიც, სავარაუდოდ, 420 მილიონი აშშ დოლარი დაჯდება, მომავალი წლის მეორე ნახევარში დაიწყება.*

დიდი სარკინიგზო კორიდორის მშენებლობასთან დაკავშირებით, სამივე სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების პირველი პირები კიდევ ერთხელ ზუსტად ერთ თვეში შეიკრიბებიან და ყველა საჭირო დოკუმენტს საბოლოოდ შეათანხმებენ. ჯერჯერობით უცნობია შეხვედრის ადგილი, თუმცა გადაწყვეტილია, რომ საქართველო, თურქეთი და აზერბაიჯანი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებულ დოკუმენტს ხელს წლის ბოლომდე აუცილებლად მოაწერენ.

13-14 ოქტომბერს ბაქოში სამმხრივი შეხვედრის ერთ-ერთი საგანი იყო ის ჩარჩო-ხელშეკრულება, რომელიც ქართული მხარის მიერ რკინიგზის მშენებლობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების გამოყოფას ითვალისწინებდა. სხვათა შორის, ეს ვალდებულება საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ იმ დროს აიღო, როცა მაგისტრალის მშენებლობის თაობაზე მოლაპარაკებები იწყებოდა. მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული ჩარჩო ხელშეკრულება სამივე მხარის მიერ, ძირითადად, დადებითად შეფასდა, რასაც ხელი გარკვეული დეტალების დაზუსტების შემდეგ, ნოემბრის ბოლომდე მოეწერება.

ჯერ კიდევ ღიად რჩება საკრედიტო შეთანხმების საკითხი, რომელიც პროექტის რეალიზების მიზნით საქართველოსთვის ფინანსური რესურსების გამოყოფას ითვალისწინებს. ბაქოში გამართულ შეხვედრაზე თურქეთმა და აზერბაიჯანმა გამოთქვეს მზადყოფნა, ქართული მხარისთვის კრედიტის გამოყოფის თაობაზე. საუბარია დაახლოებით 200 მილიონ აშშ დოლარზე, თუმცა პროექტის ყველა მონაწილე მხარეს კრედიტის პირობებთან დაკავშირებით თავისი წინადადებები გააჩნია. საქართველოს მთავრობას სურს, რომ სესხი უპროცენტო და უვადო ან ხანგრძლივვადიანი იყოს, რაც პროექტის მონაწილე დანარჩენი მსარეებისთვის არცთუ მიმზიდველად ჟღერს. **"ქართულ მხარეს კრედიტის დაფარვა რკინიგზის ექსპლუატაციიდან მიღებული შემოსავლებიდან შეუძლია, რაც, წინასწარი ვარაუდით, 10-12 წელიწადში იქნება შესაძლებელი,"** - განუცხადა მუსა პანახოვმა, აზერბაიჯანის ტრანსპორტის მინისტრის მოადგილემ ერთ-ერთ აზერბაიჯანულ საინფორმაციო სააგენტოს abc.az-ს.

ხსენებულ შეხვედრაზე თურქულმა მხრემ აღნიშნა, რომ საკუთარ ტერიტორიაზე პრაქტიკული სამუშაოების დასაწყებად მზად არის და სამშენებლო სამუშაოების დაწყება მას ახალი წლიდან უკვე შეუძლია, თუმცა მხოლოდ ერთი პირობით, თუკი პარალელურად სამუშაოებს ქართული მხარეც დაიწყებს. დიდი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა 2007 წლიდან დაიწყება და, წინასწარი გათვლებით, 2 წლის შემდეგ, ანუ 2009 წელს დასრულდება.

ცნობილი ხდება, რომ ამ სატრანსპორტო დერეფნის ექსპლუატაციის პირველ წელს მოსალოდნელია დაახლოებით 5 მილიონი ტონა ტვირთის გადაზიდვა, თუმცა მხარეები დარწმუნებულები არიან, რომ ტვირთების მოცულობა მომდევნო წლებში მნიშვნელოვნად გაიზრდება.

რაც შეეხება ახალ სატრანსპორტო დერეფანზე ტვირთების გადაზიდვის ტარიფებს, ეს საკითხი ჯერ კიდევ შესათანხმებელია. **"სარკინიგზო ხაზზე გადაზიდვის ტარიფები პროექტის მონაწილე ქვეყნების შეთანხმების საფუძველზე დადგინდება,"** - უთხრა პანახოვმა აზერბაიჯანულ სააგენტოს. სავარაუდოდ, ტარიფი სამივე სახელმწიფოში საერთაშორისო გადაზიდვებზე დაწესებული ტარიფების შესაბამისი იქნება.

ამავე შეხვედრაზე მხარეები ყარსი-ახალქალაქი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის დაფინანსების საბოლოო მოცულობაზეც შეთანხმდნენ. როგორც აზერბაიჯანის სახელმწიფო რკინიგზის ხელმძღვანელმა არიფ ასკეროვმა განაცხადა, მშენებლობა 420 მილიონი აშშ დოლარი დაჯდება. სხვათა შორის, დღემდე მშენებლობის ორი ბიზნესპროექტი არსებობდა. პროექტის ღირებულება, ერთი ვარიანტით, 365 მილიონით, ხოლო მეორეს მიხედვით - 420 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრებოდა.

შეგახსენებთ, რომ თურქეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის დამაკავშირებელი სარკინიგზო პროექტის მშენებლობა ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო ხაზის მშენებლობას და თბილისი-ახალქალაქის რკინიგზის რეკონსტრუქციას მოითხოვს. უკვე დათვლილია: თურქეთის ტერიტორიაზე სამუშაოების ღირებულება 220 მილიონ აშშ დოლარადაა შეფასებული, ხოლო საქართველოს მონაკვეთის აღდგენას დაახლოებით 200 მილიონი აშშ დოლარი დასჭირდება.

## საქართველო მონაწილეობას მიიღებს ჩინეთში გამართულ ეკონომიკურ ფორუმში

ოქტომბრის ბოლოს ჩინეთში ეკონომიკური ფორუმი გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას საქართველოც მიიღებს. როგორც "ჯი-ეიჩ-ენს" ეროვნული საინვესტიციო სააგენტოდან აცნობეს, ამ ეტაპზე ჩინელებთან ინტენსიური მოლაპარაკება მიმდინარეობს, თუ კონკრეტულად როდის გაიმართება ფორუმი. თუმცა უკვე ცნობილია, რომ ფორუმზე საქართველო საკმაოდ მასშტაბური დელეგაციით წარდგება, რომელიც უმთავრესად ქართველი ბიზნესმენებისაგან დაკომპლექტდება. ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოში აცხადებენ, რომ ეკონომიკურ ფორუმზე საქართველო შეეცდება ჩინელები დაარწმუნოს, რომ ჩვენს ქვეყანაში რაც შეიძლება მეტი ინვესტიცია განახორციელონ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სს "თიბისი ბანკი" მეანაბრეებს დაასაჩუქრებს

რთველის დასრულებასთან დაკავშირებით "თიბისი ბანკი" საზეიმო კვირეულს აწყობს. "16 -22 ოქტომბერს "თიბისი ბანკში" ანაბარზე თანხის განმთავსებელი საჩუქრად ქართულ ღვინოს, ჩურჩხელებსა და ყურძენს მიიღებს. საქართველოს ყველა კუთხეში საშემოდგომო მოსავლის აღების შემდეგ ყოველთვის ტარდებოდა საზეიმო რიტუალი," - აცნობეს GBC-ის "თიბისი ბანკიდან". კვირეული ტარდება საშემოდგომო აქციის ფარგლებში. 30 ნოემბრამდე ბანკში ანაბრის გახსნის შემთხვევაში მეანაბრე ღებულობს დამატებით 2%-ს ლარში დენომინირებულ, ხოლო დამატებით 1%-ს - აშშ დოლარში და ევროში განთავსებულ ანაბრებზე. "თიბისი ბანკი" საშემოდგომო აქციის ფარგლებში 4 ათას აშშ დოლარზე მეტი ვადიანი და ვადიანი+ ანაბრების მფლობელებს საჩუქრის სახით "ჯიპიაი ჰოლდინგის" 1-წლიანი ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი გადაეცემათ. აღნიშნული საჩუქრები მხოლოდ ფიზიკურ პირებზე გავრცელდება. 16 ოქტომბრიდან 22 ოქტომბრამდე "თიბისი ბანკის" ყველა ოფისი და სერვისცენტრი საშემოდგომო ნობათით მოირთვება. GBC

# საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ გლეხებისგან 21 ტონა ყურძენი შეისყიდა

პირველი გვერდიდან

დაკრეფილი ყურძენი კორპორაცია "ქართული ღვინის" ქარხანამ ჩაიბარა. ყურძენი იმავე დღეს დაიწურა და ჭაჭაც გამოიხადა. "ბორჯომის" წყლების მენეჯმენტის წარმომადგენლებმა კახეთში ჩურჩხელებიც ამოავლეს. დღის ბოლოს კი, რუსეთიდან და უკრაინიდან ჩამოსულ სტუმრებს ალავერდის სამონასტრო კომპლექსი დაათვალიერებინეს.

საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის ჰოლდინგის აღმასრულებელმა დირექტორმა ჟაკ ფლერმა განაცხადა, რომ მოხარულია ქართული ღვინის გადარჩენაში მონაწილეობის მიღებით.

ჟაკ ფლერი: "პირველად ვარ რთველში და ძალიან მიხარია, რომ მომეცა საშუალება, ქართულ რთველში მიმეღო მონაწილეობა. მიხარია, აქ რომ ვარ. როგორც კი მოწვევა მომივიდა, მაშინვე ჩამოვედი საქართველოში მოხარული ვარ, რომ ქართული ღვინის გადარჩენაში ვმონაწილეობ, ჩვენმა კომპანიამ ამ საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანა. ჩვენ 21 ტონა ყურძენი შევიძინეთ."

საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის ვიცე-პრეზიდენტის ლევან ბაღდავაძის განცხადებით, ქართული ღვინის გადარჩენის აქციაში მთელი კორპორაცია მონაწილეობს.

"ჩვენ ავიტაცეთ იდეა, რომელიც ბიზნესმენებს პრეზიდენტმა მიაწოდა - ყველას შეესყიდა გარკვეული რაოდენობის ყურძენი და ამ ჟესტით დახმარებოდა მეღვინეობას. შევისყიდეთ 21 ტონა ყურძენი. ეს, ცხადია, ღვინის სექტორის გადარჩენას და მის გვერდში დგომას ემსახურება. მთელი კორპორაცია ერთად ვდგავართ ქართული ღვინის გადასარჩენად," - განაცხადა საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის ვიცე-პრეზიდენტმა ლევან ბაღდავაძემ.

"პირველად ვმონაწილეობ ყურძნის კრეფაში, ძალიან მომწონს ქართული ღვინო და ყურძნის კრეფის ეს ტრადიცია. დიდი ხანია, არ ვყოფილვარ საქართველოში. მეუბნებოდნენ, რომ აქ ჩამოსვლა საშიში იყო, თუმცა მე მაინც ჩამოვედი საქართველოში. ძალიან მიყვარს თქვენი ქვეყანა," - განაცხადა "აი-დი-ესის" კომერციულმა დირექტორმა მარკო ტკაჩუკმა.

# საქართველოში "ეარბალტიკა" სკანდინავიურ კაპიტალთან ერთად შემოვიდა

თინა შავაძე

*თბილისი-რიგა-თბილისი*

ეკონომიკა და ფინანსები ვერ იტანს ძალადობას: წყალივით არის, გასასვლელს ყოველთვის პოულობს და ამიტომაც ვერ დაიჭერ. ამ ანბანური ჭეშმარიტების გათვალისწინების გარეშე, რუსეთის პოლიტიკურ წრეებში მიღებული გადაწყვეტილებით, საქართველოს მიმართ ეკონომიკური სანქციები განხორციელდა, რომელმაც ერთ-ერთ ბიზნესსექტორში შედეგი ვერ გამოიღო. საჰაერო სივრცეში ბიზნესჯგუფებმა კრიტიკული სიტუაციიდან გამოსავალი იპოვეს. "24 საათთან" საუბარში "ეარბალტიკას" გაყიდვების მენეჯერი რაივის ვიტნისი ამბობს: "ლატვიის ნაციონალური ავიაკომპანია "ეარბალტიკა" რიგა-თბილისის პირდაპირი რეისის გამოყენებით უკვე ასრულებს მთავარი გადამზიდის ფუნქციას ევროპისა და რუსეთის მიმართულებით. გაზრდილი მოთხოვნის გამო, მიმდინარე წლის ნოემბრიდან ავიაკომპანია თბილისის მიმართულებით, კვირაში ორის ნაცვლად, სამი რეისის შესრულებას გეგმავს. თბილისი-რიგის მიმართულებით ბილეთის მინიმალური ფასი 129 დოლარია, რომელსაც აეროპორტის მოსაკრებელი ემატება."

ცნობილია, რომ კრიზისების დროს ერთი მხარე თუ ზარალდება, მეორე მხარე იგებს. რუსეთის საჰაერო სივრცის გადაკეტვამ და მოსკოვი-თბილისის მიმართულებით რეისის დროებითმა შეჩერებამ ქართული ავიაკომპანიები დააზარალა, მაგრამ, სამაგიეროდ, გადაადგილების ალტერნატივა რიგისა და კიევის მიმართულებით გამოიძებნა და, შესაბამისად, ავიაკომპანიების მოგებაც გაიზარდა. მიმდინარე წლის მაისში რიგა-თბილისის მიმართულებით პირდაპირი რეისის დანიშვნა ორი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრისას გადაწყდა. მაშინ "ეარბალტიკას" ხელმძღვანელობამ, ვიზებთან დაკავშირებული პრობლემის მოხსნის გამო, ლატვიის ხელისუფლებისგან საქართველოში საკუთარი ქვეყნის საელჩოს გახსნა მოითხოვა. მიღებული გადაწყვეტილებით, საქართველოში ლატვიის საელჩომ მუშაობა დაიწყო. ამ ეტაპზე ლატვიელებს ვიზის გარეშე შეუძლიათ საქართველოში შემოსვლა, ხოლო საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი მოქმედებს. ამიერკავკასიის ქვეყნებიდან რიგაში მხოლოდ აზერბაიჯანის საელჩოა გახსნილი.

თავდაპირველად ლატვიის ნაციონალურ ავიაკომპანიაში მართლაც არსებობდა შიში, რომ პოლიტიკურ დონეზე მიღებული გადაწყვეტილების გამო თბილისის მიმართულებით დანიშნული რეისი წამგებიანი იქნებოდა. რაივის ვიტნისი ამბობს: "გვითხრეს, რომ აზერბაიჯანში უფრო ადვილი იყო საქმის აწყობა, ვიდრე საქართველოში. ამიტომაც ამიერკავკასიის ქვეყნებიდან რეისი პირველად ბაქოს მიმართულებით დავნიშნეთ, და როცა იქ ვიკითხეთ, საქართველოში ვინ შეიძლებოდა გამხდარიყო ჩვენი სანდო პარტნიორი, მათ ტურისტული კომპანია "ბერიკა" დაგვისახელეს. მიღებული გადაწყვეტილებით, "ბერიკა" საქართველოში ჩვენი წარმომადგენელი გახდა და ისე კარგად ჩაერთო საქმეში, რომ მგზავრთა ნაკადი 5 თვეში თანდათან გაიზარდა. რეისის დატვირთვამ 70 პროცენტს მიაღწია. ასე რომ, საქართველოში საქმის აწყობა უფრო ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე თქვენს მეზობელ ქვეყანაში. რუსეთთან გამწვავებული ურთიერთობის შემდეგ კი მოთხოვნა ისე გაიზარდა, რომ მიმდინარე წლის ნოემბრიდან კომპანია თბილისის მიმართულებით, კვირაში ორის ნაცვლად, სამი რეისის შესრულებას გეგმავს. თბილისი-რიგის მიმართულებით ბილეთის მინიმალური ფასი 129 დოლარია, რომელსაც აეროპორტის მოსაკრებელი ემატება."

სანკტ-პეტერბურგი-ერევანი-თბილისი-რიგა-სანკტ-პეტერბურგი - ეს არის მარშრუტი, რომელიც ცნობილმა ქართველმა ბიზნესმენმა ბადრი კაკაბაძემ, რუსეთთან გამწვავებული ურთიერთობის გამო, სანკტ-პეტერბურგიდან თბილისში და უკან დასაბრუნებლად გამოიყენა. ის პეტერბურგში საქართველოს სათვისტომოს ხელმძღვანელია. 11 ოქტომბერს "ეარბალტიკას" თვითმფრინავით ბადრი კაკაბაძემ იმ ქართველი ჟურნალისტების ჯგუფთან ერთად იმგზავრა, რომლებიც ლატვიის ნაციონალური ავიაკომპანიის მიწვევით რიგაში მივემგზავრებოდით. "24 საათთან" საუბარში კაკაბაძე ამბობს, რომ "აღნიშნული მარშრუტით მგზავრობის დამატებითი ხარჯი დაახლოებით 200 დოლარია. სანკტ-პეტერბურგში 40 ათასი ქართველი ცხოვრობს. ახლა მდგომარეობა გამწვავებულია და გარკვეული საშიშროება ჩვენთვის მართლაც არსებობს, მაგრამ რუსეთთან მიმართებაში საქართველოს ხელისუფლების პრინციპული პოზიცია მაინც მომწონს. ვფიქრობ, ქვეყანა დათმობაზე აღარ უნდა წავიდეს. რაც შეეხება გაზის და დენის მოწოდების საკთხს, ამ საქმეში ჩახედული ვარ. გარკვეული ოდენობის კაპიტალი საქართველოში გაზოტურბინების მშენებლობაში ჩავდე და ვიცი, რომ დენის პრობლემა საქართველოში აღარ უნდა იყოს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს გაზით მომარაგების პრობლემა არ ექნება."

ლატვიის ნაციონალური ავიაკომპანია "ეარბალტიკას" საქართველოში შემოსვლა კიდევ ერთი თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. როგორც ირკვევა, ს.ს "ეარბალტიკა SAS" -ს 52,6 პროცენტი სახლმწიფო საკუთრებაშია, ხოლო 47,2 პროცენტი სკანდინავიურ კომპანია SAS-ს ეკუთვნის. კომპანია 1995 წლიდან მოქმედებს. დაარსების დღიდან ის რეისებს ევროკავშირის ტექნიკური ნორმებისა და სატანდარტების დაცვით ასრულებს და მოგებას ძირითადად ევროპის რეისებიდან იღებს. ბალტიისპირეთის ქვეყნების ავიაბაზარზე ეს არის ლიდერი რეგიონული კომპანია, რომელიც რეისებს რიგიდან - 33 მიმართულებით, ხოლო ვილნიუსიდან 14 მიმართულებით ასრულებს. კომპანიაში 700 სპეციალისტია დასაქმებული და მას 7 ბოინგი 737-500 (120 ადგილი) და 9 ფოკკერი 50 (46-50 ადგილი) ჰყავს. ავიაკომპანია, ძირითადად, პირდაპირ რეისებზე მუშაობს, მაგრამ ახლა ის ცდილობს, ევროპასა და დსთ-ს ქვეყნებს შორის ტრანზიტის ფუნქცია შეასრულოს. ყოველწლიურად იზრდება მგზავრთა ნაკადი, გასულ წელს მათი რაოდენობა 76 პროცენტით გაიზარდა და 1 037 925 მგზავრი შეადგინა. "ეარბალტიკას" ასრულებს პირდაპირ რეისებს: ბაქო, ბარსელონა, ბერგენი, ბერნი, ბერგენი, ბერლინი, ბრიუსელი, კოპენჰაგენი, დუბლინი, დიუსელდორფი, ჰამბურგი, ციურიხი, ჰელსინკი, ჰურგადუ, სტამბული, კალინინგრადი, კიევი, ლონდონი, მანჩესტერი, მილანი, მინსკი, მოსკოვი, მიუნხენი, ოდესა, ოსლო, პარიზი, სანკტ-პეტერბურგი, სტოკჰოლმი, ტალინი, ტაშკენტი, თბილისი, თელ-ავივი, შარმ-ელ-შეიხი, ვენა და ვილნიუსი.

სკანდინავიურ კორპორაცია SAS-ს, წარმატებული ავიაბიზნესის გარდა, კიდევ ერთ მომგებიან დარგში, ტურიზმში აქვს კაპიტალი ჩადებული. RADISSON SAS DAUGAVA HOTEL-ი - რიგაში ერთადერთი საერთაშორისო დონის ხუთვარსკვლავიანი სასტუმროა. ლატვიის პოლიტიკური წრეები ცდილობენ, რიგა საერთაშორისო კონფერენციების ცენტრად იქცეს, და ამ კონფერენციებისთვის ეს სასტუმრო გამოიყენონ. სასტუმრო მდინარე დაუგავას სანაპიროსთან არის აშენებული და ის პირდაპირ ძველ რიგას გადაჰყურებს, საიდანაც შესანიშნავი ხედი იშლება. სასტუმრო Radisson Daugava-ს საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, შეხვედრების, ბანკეტების, მეჯლისების გასამართად 13 საკონფერენციო დარბაზი აქვს უმაღლესი დონის ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც 1000-მდე სტუმარს იტევს.

უცხოელი ინვესტორები ფიქრობენ, რომ დიდი ხანია ევროპის პოლიტიკურ და საქმიან წრეებს მობეზრდათ ერთსა და იმავე ქალაქებში კონფერენციებზე დასწრება. ამიტომაც რიგაში კონფერენციების გამართვა კარგი სიახლე იქნება. კომპანიის ამ სტრატეგიის გათვალისწინებით ძალიან დიდ მნიშვნელობას იძენს ის, რომ ეს ჯგუფი თბილისში 2008 წელს სასტუმროს მშენებლობის დასრულებას აპირებს. საერთაშორისო დონის სასტუმროების ქსელში ჩართვის შემდეგ ისეთი ეგზოტიკური ქალაქი, როგორიც თბილისია, შეიძლება მომავალში რიგის შემდეგ მეორე ქალაქი გახდეს, სადაც საერთაშორისო დონის კონფერენციები გაიმართება.

რიგა, საკუთარი იუნგერ სტილის არქიტექტურით, განუმეორებელი ქალაქია. ევროპის საქმიანი წრეები ქალაქის ცენტრში ოთხსართულიან სახლებს ყიდულობენ და რესტავრაციას თავად უკეთებენ. თუ 1995 წელს რიგის ცენტრში ერთი კვადრატული მეტრი 1000 დოლარი ღირდა, ახლა მისი ფასი 10-ჯერ მეტია. ქალაქი მთლიანად ისეა რეკონსტრუირებული, მხოლოდ ოკუპაციის მუზეუმი ახსენებს მნახველს იმ დროს, როცა ეს ქვეყანა ათეული წლები საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო. ქალაქში საბჭოური მოდელის მანქანებიც კი აღარ დადის. სამაგიეროდ, ევროკავშირის წევრ ქვეყანას სამომხმარებლო ფასებიც ევროპული აქვს და, საქართველოსთან შედარებით, ძალიან მაღალია. იქაურები მიგრაციის მაღალ მასშტაბებზეც საუბრობენ და, როგორც ირკვევა, ლატვიელების მთავარი თავშესაფარი ირლანდია ყოფილა.

საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ ლატვიელები დიდ ინტერესს იჩენენ. ლატვიის რადიოს პირველმა არხმა საქართველოს 30-წუთიანი გადაცემა მიუძღვნა. პირველი არხის პოლიტიკური მიმომხილველი აიტას ტომსონი ქართველ ჟურნალისტებს, ინგა მამულაშვილსა და ვასო კაპანაძეს, რუსეთ-საქართველოს შორის გამწვავებულ ურთიერთობასა და ჩვენი ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივაზე ესაუბრა. ჟურნალისტებმა განაცხადეს, რომ საქართველოს მოსახლეობა მხარს უჭერს ქვეყნის ხელისუფლების პრინციპულ პოზიციას რუსეთთან მიმართებაში და დადებითად უყურებს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივას. ლატვიელების კეთილგანწყობა ქართველების მიმართ ძალიან დიდია. მოხდა ისე, რომ აგრობაზრის დათვალიერებისას ქართველ ჟურნალისტებს სპეციალური დაცვა დაგვყვებოდა. როცა ეს ლატვიელმა ქალბატონმა შენიშნა, ძალიან გაუკვირდა და იკითხა: зачем Грузинам охрана?

## ფოთიდან რუსეთში საზღვაო გადაზიდვები შეწყდა

რუსეთსა და საქართველოს შორის გართულებულმა ურთიერთობამ საზღვაო ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკიც მკვეთრად შეზღუდა. შეწყდა ფოთიდან სოჭისა და ნოვოროსიისკის მიმართულებით მგზავრთა გადაყვანა და სატვირთო გადაზიდვები. 108 ადგილიანი წყალქვეშაფრთიანი ხომალდი "კომეტა" კვირაში სამჯერ, 125 ლარად მსურველებს ფოთიდან სოჭში 4 საათში ჩასვლის საშუალებას აძლევდა. **"ბოლო რეისი 2 ოქტომბერს განხორციელდა. საქართველოს მოქალაქეები 8 საათის განმავლობაში სოჭის საზღვაო ვაგზლის შენობაში გააჩერეს და უკან დააბრუნეს. გამონაკლისი მხოლოდ ქალებზე დაუშვეს. რუსეთის მხარე რეისების შეწყვეტის მიზეზად საზღვაო ტრანსპორტის ტექნიკურ გაუმართაობას ასახელებს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ოფიციალური დირექტივა არ მიგვიღია,"** - ამბობს "24 საათთან" საუბრისას ფოთის საზღვაო ნავსადგურის სამხრეთ საწარმოო რაიონის უფროსის მოადგილე გოჩა ცომაია.

ფოთის საზღვაო ვაგზალს ქართველებთან ერთად რუსეთის მოქალაქეებიც აკითხავენ. სადისპეტჩეროში არ წყდება სატელეფონო ზარები, თუმცა, რადგან რეისების აღდგენის თაობაზე ინფორმაციას არ ფლობენ, მგზავრები იძულებულნი ხდებიან გადაადგილების ალტერნატიული გზა ეძებონ. რუსეთმა საქართველოს მოქალაქეების საზღვაო ტრანსპორტით დეპორტაციაზეც უარი განაცხადა.

პრობლემები შეიქმნა სატვირთო გადაზიდვებშიც. ფოთიდან ნოვოროსიისკში ჩასული საზღვაო ბორანი ტვირთიანად უკან დაბრუნდა. ტვირთის ტრანსპორტირება გართულდა ფოთი -ნოვოროსიისკის მიმართულებით მოძრავი ბორანითაც. **"ტვირთის მეპატრონეები ძირითადად საქართველოსა და სომხეთის მოქალაქეები არიან. ბულგარეთიდან ნოვოროსიისკში ჩასული სომხური ტვირთის განბაჟება შეუფერხებლად ხდება, ქართველებს კი ტვირთიანად უკან აბრუნებენ,"**-განმარტავს გოჩა ცომაია.

რუსეთის მიმართულებით საზღვაო გადაზიდვების შეწყვეტით მიყენებულ ზარალს მომსახურე სააგენტო შპს "ევრაზიაში" არ აკონკრეტებენ და მიზეზად კომერციულ საიდუმლოებას ასახელებენ. ფაქტია, დისკომფორტს არა მარტო მგზავრები და ტვირთის მეპატრონეები, არამედ იმ კერძო ფირმების თანამშრომლებიც განიცდიან, რომელთა შემოსავლის სოლიდურ წყაროს სწორედ გადაზიდვების მომსახურებიდან მიღებული თანხები წარმოადგენს.

## მალტის დროშის ქვეშ მცურავი გემი 65 ათასი ლარით დაჯარიმდა

ფოთის საქალაქო სასამართლომ სამართლიანად ცნო შავი ზღვის კონვენციური დაცვის ინსპექციისა და სასაზღვრო პოლიციის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე ერთობლივად შედგენილი ოქმი, რომლის თანახმად მალტის დროშის ქვეშ მცურავი გემი "ტურლოტი" 65 ათასი ლარით დაჯარიმდა. როგორც შავი ზღვის კონვენციური დაცვის ინსპექციის ფოთის განყოფილების უფროსმა გოჩა კორტავამ "24 საათს" განუცხადა, "ტურლოტის" ინსპექტირებისას საყოფაცხოვრებო წყლების გამწმენდი ნაგებობა დაზიანებული აღმოჩნდა, არ მიმდინარეობდა ბიოლოგიური და ქიმიური წმენდა და ფეკალი ნავსადგურის აკვატორიაში იღვრებოდა. ფიქსირებული ჯარიმის გარდა, ზარალის კომპენსაციის სახით გემის ეკიპაჟს 1200 ლარის გადახდა დაეკისრა.

"ტურლოტის" მომსახურე საზღვაო სააგენტოს, "პს"-ის აგენტს ვასილ შაპალოვს სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუპროტესტებია. 66 200 ლარი უკვე ჩაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში, რის შემდეგაც მალტის დროშის ქვეშ მცურავმა გემმა საქართველოს ტერიტორიული წყლები დატოვა.

საერთაშორისო სტანდარტების დარღვევისთვის, საჯარიმო სანქციების სახით უცხოური ხომალდების მეპატრონეებს ბიუჯეტის სასარგებლოდ მიმდინარე წელს 195 ათასი ლარი აქვთ გადახდილი.

*ქეთინო ჯაკობია*

### აზერბაიჯანული ბიზნესი საქართველოთი ინტერესდება

აზერბაიჯანული ბიზნესი საქართველოთი ინტერესდება და მომავალში სერიოზული ინვესტიციის განხორციელებასაც გეგმავს. აზერბაიჯანის ეკონომიკის მინისტრი გეიდარ ბაბაევი და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე ერთმანეთს ბაქოში შეხვდნენ და სამომავლო ერთობლივ პროექტებზე დეტალურად ისაუბრეს. აზერბაიჯანის ეკონომიკის მინისტრის ჰეიდარ ბაბაევის ინფორმაციით, საქართველო მზადაა, აზერბაიჯანულ ბიზნესს ფართოდ გაუღოს კარები. "აზერბაიჯანული კომპანიები სახელმწიფო შესყიდვებშიც აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას. ჩვენთვის ყველაზე მიმზიდველი საქართველოში არსებული საპრივატიზაციო პროექტებია," - განაცხადა აზერბაიჯანის ეკონომიკის მინისტრმა ჰეიდარ ბაბაევმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ბათუმის ფარმაცევტული ქარხნის პრეპარატების 70 პროცენტი რუსეთში გადიოდა

სს "ბათუმის ქიმიურ ფარმაცევტული ქარხნის" მიერ წარმოებული პრეპარატების 70 პროცენტი რუსეთის ბაზარზე გადიოდა. თუმცა რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობების ფონზე ფარმაცევტული ქარხანა პროდუქციის რეალიზაციისათვის სხვა ქვეყნების ბაზრების ათვისებას იწყებს. როგორც სს "ბათუმის ქიმიურ ფამაცევტული ქარხნის" დირექტორი ჯუმბერ მოწყობილი აცხადებს, ქარხანას გარკვეული ხელშეკრულებები უკვე გაფორმებული აქვს და ბათუმში დამზადებული პრეპარატები სხვა ქვეყნებშიც გაიყიდება. "პრეპარატები, ძირითადად, რუსეთსა და უკრაინაში გაგვქონდა, თუმცა რუსეთის მხრიდან გზის ჩაკეტვის შემდეგ ვეცდებით, რომ უკრაინაში ექსპორტი გავზარდოთ. იმავდროულად დაგეგმილი გვაქვს, რომ სხვა ქვეყნების ბაზრებიც ავითვისოთ. უკვე ცნობილია, რომ ჩვენი პრეპარატები შუა აზიის ქვეყნებში ინტენსიურად გავა," - განუცხადა სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" სს "ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის" დირექტორმა ჯუმბერ მოწყობილმა. როგორც მოწყობილი განმარტავს, საწარმო ისეთ პრეპარატებს ამზადებს, რომელიც იშვიათობაა და, შესაბამისად, სხვა ქვეყნებშიც გამოინახება შესაბამისი მომხმარებლები. **ჯი-ეიჩ-ენი**

### "სამსუნი-ჯეიჰანი" სათადარიგო ნავთობსადენის ფუნქციას შეასრულებს

ახალი ნავთობსადენი "სამსუნი-ჯეიჰანი", ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ავარიის შემთხვევაში, სათადარიგო ვარიანტის ფუნქციას შეასრულებს. ამ შემთხვევაში აზერბაიჯანული ნავთობი ჯერ საქართველოში ჩავა და იქიდან ტანკერებით გადაიზიდება სამსუნში. აღნიშნული ნავთობსადენის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილება თურქეთის მთავრობამ რამდენიმე თვის წინ მიიღო. პროექტის განხორციელება მას შემდეგ დაიწყება, რაც მთავრობის ამ გადაწყვეტილებას თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი დაამტკიცებს. სპეციალისტთა შეფასებით, 2010 წლისთვის, როდესაც ჯეიჰანის პორტში ნავთობის გადასაზიდი ნავთობსადენები მთელი სიმძლავრით ამუშავდება, ამ პორტში მსოფლიო ბაზარზე არსებული ნავთობის 7 პროცენტი გაივლის. ამასთან, უფრო მძლავრი იქნება, ვიდრე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, რომლის სიმძლავრე წელიწადში 50 მილიარდ ტონა ნავთობს შეადგენს. ნავთობსადენის საპროექტო სიმძლავრე წელიწადში 50-70 მილიარდ ტონა ნავთობს შეადგენს. იგი, სავარაუდოდ, 0,7-დან 1 მილიონ დოლარამდე დაჯდება, მისი სიგრძე კი 551,2 კილომეტრი იქნება. თურქეთის მთავრობამ პროექტის განხორციელება თურქულ სამრეწველო-ენერგეტიკულ ჯგუფ "ჩალიკს" მიანდო. "ჩალიკის" ხელმძღვანელობა, თავის მხრივ, აცხადებს, რომ ამ ფართომასშტაბიანი პროექტის განხორციელებაში "ენიც" მიიღებს მონაწილეობას. "სამსუნი-ჯეიჰანი" შავი და ხმელთაშუა ზღვების სანაპიროებზე განლაგებულ ნავთობის პორტებს შეაერთებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# რაშლილი ენერგოშეთქმულება

ᲕᲘᲠᲩᲔᲚᲘ ᲒᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მაგრამ როგორც ცნობილია, "ეი380"-ის გამოშვება ერთობ გაჭიანურდა. საამისოდ უამრავ მიზეზს ასახელებდნენ - მაგალითად, რომ პრობლემები იყო სადენებთან დაკავშირებით, რომელიც ძალიან გრძელი უნდა ყოფილიყო; ამგვარი მიზეზები არა და არ ილეოდა და საბოლოოდ კონსორციუმის გენერალური დირექტორი თანამდებობიდან გადააყენეს და მის ნაცვლად შტრაიფი დანიშნეს. ეს უკანასკნელი სასწრაფოდ შეუდგა პროექტის შესწავლას და აღმოაჩინა, რომ საქმე წვრილმან პრობლემებში არ იყო, მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ ლაინერი ერთდროულად ორ ქალაქში იწყობოდა - ტულუზასა და ჰამბურგში (გარდა ამისა, ფრთები ბრიტანეთში მზადდება). შტრაიფმა მაშინვე განაცხადა, რომ აწყობა ერთ ადგილას უნდა მომხდარიყო. ყველასათვის გასაგებია რა მოჰყვებოდა ამგვარ ნაბიჯს - ან საფრანგეთში, ან გერმანიაში დიდი რაოდენობით სამუშაო ადგილები უნდა შეემცირებინათ. მაგრამ საქმე ისაა, რომ "ეი380"-ის პროექტისათვის სუბსიდიებს ორივე სახელმწიფო იძლევა და მათგან რომელიმეს გაწყენება (ანუ, ან ტულუზაში, ან ჰამბურგში ქარხნის დახურვა) სუბსიდიის დაკარგვას ნიშნავს. ასე რომ, შტრაიფმა თავისი პოსტი დატოვა.

ახლა "ეარბასი" გალუამ უნდა მართოს. ის სამუშაო ადგილებს ალბათ ჰარმონიულად შეამცირებს, ანუ, ფრანგებსაც და გერმანელებს ერთნაირად შეავიწროებს, რათა განაწყენებული არც პარიზი დარჩეს და არც ბერლინი. ჰარმონიული შემცირების საჭიროებაზე, გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან შეხვედრის შემდეგ, საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა უკვე გააკეთა განცხადება.

"ეი380"-ის კურიოზი კარგი მაგალითია იმისა თუ ზოგჯერ რა უარყოფითად მოქმედებს წარმოების ეფექტურობაზე სახელმწიფო სუბსიდიები. ამ დროს კი "ბოინგი" წარმატებულად მოქმედებს. მისი ეკონომიური და შორ მანძილზე მფრენი "დრიმლაინერი 787" 2008 წელს გამოჩნდება ბაზარზე. "ეარბასს" კი, რომელიც "ეი380"-ის პროექტზეა კონცენტრირებული, ჯერ საერთოდ არ დაუწყია "ეი350"-ის განახლებული ვარიანტის შექმნა, რომელმაც "დრიმლაინერს" უნდა გაუწიოს კონკურენცია.

შირაკის განცხადებით, "ეარბასის" წარმატება ხარჯების თანაბარ განაწილებაზეა დამოკიდებული. საფრანგეთის მთავრობა "ეარბასის" 15%-ს აკონტროლებს. ასე რომ, ყველაფერი ალბათ ისე იქნება, როგორც ამ ქვეყნის პრეზიდენტი იტყვის. "ეი380"-ის აწყობა კვლავაც ორ ქალაქში გაგრძელდება...

"ეარბასის" 22.5%-ს "დაიმლერ-კრაისლერი" აკონტროლებს. ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობას კი ჩანს, "ეი380"-ის საგა მობეზრდა (მითუმეტეს, რომ კომპანიას ავტობაზარზე იაპონური ფირმების მხრიდან გამძაფრებული კონკურენციის გამო, საკუთარი პრობლემებიც ჰყოფნის) და განაცხადა, რომ საკუთარი წილის ნაწილის გაყიდვას აპირებს. მყიდველი ალბათ გერმანიის მთავრობა იქნება. ამის შესახებ მერკელმა უკვე გააკეთა განცხადება. ძნელი სათქმელია რამდენად უფრო ეფექტურს გახდის "ეარბასის" მუშაობას მის ხელმძღვანელობაში კიდევ ერთი მთავრობის პოზიციების გაძლიერება.

### ᲙᲕᲔᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ ᲙᲕᲔᲚ ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲖᲔ

მოკლედ, გერმანია და საფრანგეთი "ეარბასის" ხარჯებს თანაბრად გაინაწილებენ. შეიძლება ეს ეკონომიკურად არაა გამართლებული, მაგრამ სამაგიეროდ პოლიტიკურად მიზანშეწონილი ნაბიჯია. თანამედროვე ევროკავშირის ფენომენი ხომ საერთოდ არ იარსებებდა, რომ არა გერმანიისა და საფრანგეთის მიერ საერთო ინტერესებისა და საერთო ენის გამონახვა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ ორმა მტრულმა სახელმწიფომ, საფრანგეთის მაშინდელი საგარეო მინისტრის, რობერ შუმანის წყალობით, ქვეყნებს შორის არსებული მთავარი სადავო საკითხის - რურის საბადოების პრობლემის გადაჭრა მოახერხა. 1950 წელს შუმანის გეგმის მიხედვით შეიქმნა ევროპის ნახშირისა და ფოლადის კავშირი, რომელმაც ნახშირისა და ფოლადის (უპირველესად კი რურში მოპოვებული ნახშირისა და ფოლადის) წარმოება ზენაციონალურ ორგანოს გადააბარა. ეს იყო თანამედროვე ევროკავშირისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი.

ევროპული თანამეგობრობისა და თანამშრომლობის ფენომენი პარიზსა და ბერლინს შორის კავშირს ემყარებოდა და ემყარება. მოსკოვის პოლიტიკა ევროპასთან მიმართებაში კი შემდეგ ძირითადად მიმართულებებს ემყარებოდა და ემყარება:

- აშშ-ს როლის შემცირება ევროპაში, ევროპისა და აშშ-ს პარტნიორობაში ბზარის გაჩენა და ამგვარად აშშ-ს განდევნა ევროპიდან;

- ევროპაში ფეხის მოსაკიდებლად გერმანიის გამოყენება, რომელიც მისი მასშტაბებიდან გამომდინარე საუკეთესო პლაცდარმია ძველ კონტინენტზე გავლენის გავრცელებისათვის.

გერმანიის პლაცდარმად გამოყენების პროექტი არახალია. ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მოსკოვი ოცნებობდა გერმანიაში მოეწყო კომუნისტური რევოლუცია, რომელიც იქიდან მთელ ევროპას უნდა მოსდებოდა. კომუნისტური რევოლუცია არ შედგა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანია ორად გაიხლიჩა და სტალინმა თავისი სიკვდილის წინ დასავლეთთან ვაჭრობა წამოიწყო - გერმანია გაერთიანებულიყო, მაგრამ იმ პირობით, რომ არ შეივიდოდა ნატოში (ეს ორგანიზაცია ხომ აშშ-სა და ევროპის სტრატეგიული პარტნორობის უმთავრესი მექანიზმი იყო). გერმანიასა და დასავლეთში ყველაფერი აწონ-დაწონეს და საბოლოოდ გერმანიის საჭჭვო გაერთიანებას მისი დასავლეთ ნაწილის ნატოში შეყვანა არჩიეს. რამდენიმე ათწლეულის შემდეგ გერმანია მაინც გაერთიანდა და ნატოშიც დარჩა.

გასულ კვირას კვლავ შედგა გერმანიის კარტის გათამაშების მცდელობა. პრეზიდენტი პუტინი მერკელს ეწვია. ორ ლიდერს შორის შეხვედრა დრეზდენში შედგა, სადაც პუტინი თავის დროზე მსახურობდა (რა საქმეს და რა ორგანიზაციას ემსახურებოდა, ეს ცნობილია). თავისი ვიზიტისას პუტინმა ანა პოლიტკოვსკაიას "არც ისე ცნობილი ჟურნალისტი" უწოდა (ეს გარკვეულწილად მართალია, რადგან რუსეთში მედიაზე მკაცრი სახელმწიფო ცენზურის პირობებში პოლიტკოვსკაიას სიტყვა არც ისე ბევრ მოქალაქემდე აღწევდა). საერთოდ, პოლიტკოვსკაიას სახელი რუსეთის პრეზიდენტს გერმანიაში ყველგან თან სდევდა, მაგრამ ამას ალბათ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, რადგან ერთობ მაცდუნებელი წინადადებით იყო ჩასული. ვიზიტამდე სულ რამდენიმე დღის წინ გადაწყდა, რომ ბარენცის ზღვაში მდებარე შტოკმანის ბუნებრივი გაზის საბადოს ასათვისებლად უცხოელი ინვესტორები დაშვებულები არ იქნებიან. კრემლმა ამით ცივი წყალი გადაასხა "კონოკო ფილიპსს," "შევრონს" და ფრანგულ "ტოტალსაც" კი (რომელსაც პუტინი ხელშეუხებლობას ჰპირდებოდა). შტოკმანის საბადოს მხოლოდ "გაზპრომი" აითვისებს საკუთარი ძალებით. თვით რუსი ექსპერტებიც კი შეშფოთებულნი ალაპარაკდნენ იმაზე, რომ შტოკმანზე მარტოდ მუშაობა "გაზპრომს" ძალიან გაუჭირდება და რომ ეს ან ძალიან გააჭიანურებს საბადოდან გაზის ექსპორტს, ან "გაზპრომისგან" არნახული რესურსების დახარჯვას (შტოკმანის ათვისება 50 მილიარდ დოლარზე მეტი დაჯდება) მოითხოვს. მაგრამ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. და ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი - თუკი ადრე იგულისხმებოდა, რომ შტოკმანზე მოპოვებული გაზი თხევადი სახით აშშ-ში იქნებოდა ექსპორტირებული, ახლა კრემლმა გეგმები შეცვალა - შტოკმანის გაზი ევროპაში წავა.

ევროპაში, მაგრამ კონკრეტულად სად? ამაზე პასუხი სწორედ დრეზდენში გაისმა. პუტინმა მერკელს მთელი შტოკმანური გაზი შესთავაზა. გერმანია რუსეთისგან უკვე ისედაც იღებს გაზს (წელიწადში 55 მილიარდ კუბურ მეტრს) და დამატებით დაახლოებით კიდევ ერთი ამდენი გაზი (შტოკმანიდან წელიწადში 45 მილიარდი კუბური მეტრი უნდა წავიდეს) თავისთვის არ სჭირდება. კრემლის ჩანაფიქრიც სწორედ ამაში მდგომარეობდა - შტოკმანის გაზს უკვე გერმანია გადაანაწილებდა ევროპაში. ანუ, ბერლინი და მოსკოვი ენერგოშეთქმულებაში ებმებიან. თუკი ეს განხორციელდა, ევროპაში აღარ ილაპარაკებენ "რუსულ ენერგორესურსებზე ზედმეტად დამოკიდებულებაზე." ამ ხათაბალაში უკვე გერმანიაც იქნება გახვეული. თანაც, გაზი აშშ-ის ნაცვლად გერმანიაში წავა, რაც ვაშინგტონსა და ბერლინს შორის ურთიერთობას ნამდვილად არ წაადგება...

"ეს გერმანიის ენერგეტიკულ სახეს შეცვლის," - ასეთი მიმზიდველი კვალიფიკაცია მისცა პუტინმა თავის იდეას. მისი თქმით, რუსეთთან ამგვარი დაახლოება ევროპის ეკონომიკას ისეთ დინამიზმს შესძენს, როგორიც ჩინეთისა და ინდოეთის ეკონომიკას ახასიათებს. საამისოდ კი შტოკმანური გაზი გერმანიაში ბალტიის ზღვის ფსკერის გავლით უნდა წავიდეს, სადაც "გაზპრომი" გერმანული კომპანიების - "ეონისა" და "ბასფის" - დახმარებით მილსადენს ააგებს. ამ მილსადენის აგება ყოფილი კანცლერის, გერჰარდ შრიოდერის დროს გადაწყდა, რომელსაც მერკელთან არჩევნების წაგების შემდეგ "გაზპრომში" ერთობ მაღალანაზღაურებადი სამუშაო შესთავაზეს. ასეთი პროექტი რუსეთისათვის იმით იყო მომხიბვლელი, რომ მილსადენი პოლონეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს გვერდს უვლის.

"აჰყვება მერკელი ცდუნებას? მიიღებს ის წინადადებას?" ასეთმა სათაურებმა ააჭრელა დასავლური პრესა. ევროპა თითქოსდა წყალგამყოფთან დადგა - ამ გარიგების განხორციელება-არგანხორციელება ბევრ კითხვას გასცემდა პასუხს.

მერკელმა ამ შეკითხვებს შირაკთან შეხვედრისას გასცა პასუხი: გერმანია ენერგოალიანსს საფრანგეთთან შექმნის (ანუ, გამოირიცხა ენერგოალიანსი რუსეთთან). ეს ნიშნავს, რომ ბერლინისათვის ერთიანი ევროპის (ანუ, საფრანგეთ-გერმანიის ერთად დგომის) იდეა გაცილებით უფრო ძვირფასია, ვიდრე "გაზპრომის" გამანაწილებლად ქცევა. გასაგებია, რომ თავად ამ უკანასკნელს არ უშვებენ ევროპულ გამანაწილებელ სისტემაში და ამ მხრივ გერმანიის გამოყენება იდეალური ვარიანტი იქნებოდა. შრიოდერის მმართველობისას ეს ვარიანტი იქნებ გათამაშებულიყო კიდეც, მაგრამ აღმოსავლეთ გერმანიაში გაზრდილი მერკელი ამ მაცდურ წინადადებას, ალბათ, არ აჰყვა.

სანაცვლოდ რუსეთს ენერგეტიკული ქარტიის შესრულება შესთავაზეს, რომელიც კონკურენციის გაზრდასა და გამჭვირვალეობას გულისხმობს. პუტინის აზრით ეს დოკუმენტი "რუსეთის ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება." სხვა თუ არაფერი, ამ ქარტიის მიხედვით კრემლს "იუკოსის" აქციონერებისათვის დაახლოებით 50 მილიარდი დოლარის კომპენსაციის გაცემა მოუწევს. გარდა ამისა, ქარტიის მიხედვით რუსეთს მოუწევს თავისუფლად გაატაროს შუა აზიის გაზი ევროპული ბაზრისაკენ. ეს "იუკოსის" საკითხზე გაცილებით უფრო მტკივნეულია, რადგან "გაზპრომის" ჰეგემონია მნიშვნელოვანწილად სწორედ შუა აზიის გაზზე მონოპოლიას ემყარება. ამიტომაცაა, რომ რუსეთმა დღემდე არ მოახდინა ქარტიის რატიფიკაცია, რომელსაც 1994 წელს მიუერთდა.

ევროპელთა მხრიდან პრინციპული პოზიციის დაფიქსირებას კრემლის მხრიდან ალბათ კვლავ მოჰყვება უკვე მოძველებული მუქარა იმის თაობაზე, რომ რუსეთი თავის გაზს აზიისკენ გადაუშვებს. მაგრამ ევროპაში კარგად იციან, რომ ეს მუქარა ტექნიკურად არც ისე იოლი განსახორციელებელია. ამიტომ ძველი კონტინენტი ალბათ მოთმინებით დაელოდება რუსი პარტნიორის მხრიდან ევროპული თამაშის წესების მიღებას. ამ წესებს, ჯერჯერობით, კარგის მეტი არაფერი მოაქვს.

### ზრდა აშშ-ს ბირჟაზე

გასული კვირის ბოლოს ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა მოახდინა სხვადასხვა კომპანიის კვარტალურმა ანგარიშმა და იმის ნიშნებმა, რომ ამერიკის ეკონომიკის ზრდის შეფერხება ინფლაციას ხელს არ უწყობს. ამასთან, ნავთობის გაძვირებამ ხელი შეუწყო ნავთობკომპანიათა აქციების ზრდას.




საბოლოოდ, Dow Jones Index 0,11 პროცენტით, 11.960,51 პუნქტამდე გაიზარდა. 0,47 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.357,29 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,2 პროცენტით, 1.365,62 პუნქტამდე მოიმატა. სულ, გასული კვირის განმავლობაში Dow Jones Index 0,9 პროცენტით, Nasdaq Index 2,5 პროცენტით, S&P 500 Index კი 1,2 პროცენტით გაიზარდა.

### ნავთობის ფასმა მოიმატა

პარასკევს, ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 59,52 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 58,57 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა. აღსანიშნავია, რომ სულ, გასული კვირის განმავლობაში Brent-ის მარკის ნავთობი 0,5 პროცენტით, Light-ის მარკის ნავთობი კი 2 პროცენტით გაიაფდა.

ბუნებრივი აირის ფასმა კვლავ მოიკლო და მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის - BTU-ს (ენერგიის ერთეული, რომელიც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გამოიყენება. მილიონი თერმული ერთეული 27 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის წვისას გამოყოფილ ენერგიას შეესაბამება) ღირებულებამ 5,659 დოლარი შეადგინა, რასაც ხელი კვლავინდებურად, აშშ-ში ამ ტიპის საწვავის ძალზე დიდი მარაგის არსებობის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ შეუწყო. აღსანიშნავია, რომ კვირის განმავლობაში გაზი თითქმის 12 პროცენტით გაიაფდა.

კვირის ბოლოს "შავი ოქროს" გაძვირება ნორვეგიაში მდებარე ორ ჭაბურღილზე უსაფრთხოების მიზნით ნავთობის მოპოვების შეჩერებისა და აშშ-ში საწვავზე მოთხოვნილების ზრდის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ განაპირობა. ამასთან, ცნობილი გახდა, რომ ოპეკის მიერ ნავთობის მოპოვების შემცირების ღონისძიების განხორციელება 1 დეკემბრისათვის გადაიდო.

### ძვირფასი ლითონები გაძვირდა

პარასკევს, ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების მცირე ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქროს ღირებულებამ 2,1 პროცენტით მოიმატა და 592,7 დოლარი შეადგინა. ვერცხლი 2,6 პროცენტით, 11,68 დოლარი/უნციამდე, პლატინა 0,8 პროცენტით, 1083,3 დოლარი/უნციამდე, პალადიუმი კი 2,6 პროცენტით, 315,95

დოლარი/უნციამდე გაძვირდა. სულ, გასული კვირის განმავლობაში ოქროს ფასმა 2,8 პროცენტით, ვერცხლისამ 4,5 პროცენტით, პლატინის ფასმა 0,2 პროცენტით, პალადიუმისამ კი 5,2 პროცენტით მოიმატა.

ექსპერტთა აზრით, ძვირფასი ლითონების გაძვირება ნავთობის ფასის მატებამ და ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით გეოპოლიტიკური სიტუაციის გაუარესების საშიშროებამ განაპირობა, რამაც შესყიდვებისადმი ინტერესი გაზარდა. გარდა ამისა, ძვირფას ლითონებზე მოთხოვნილება ინდოეთში ქორწინებების სეზონის დადგომამაც გამოიწვია.

### Airbus-ს ერთი ჰატრონი ჰყავს

ევროპული ავიამშენებელი გიგანტის Airbus-ის ერთადერთი აქციონერი ავიაკონცერნი EADS გახდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც EADS-მა ბრიტანული საიარაღო კომპანია BAE Systems-ისაგან Airbus-ის აქციების 20 პროცენტი 2,75 მილიარდ ევროდ შეიძინა. როგორც ცნობილი გახდა, ანგარიშსწორება ფულადი ფორმით განხორციელდა.

ამავდროულად, თავად EADS-ში თავისი წილი 7 პროცენტამდე გაზარდა რუსულმა "ვნეშტორგბანკმა". გარდა ამისა, ავტოგიგანტ DaimlerChrysler-გან EADS-ის აქციების 20 პროცენტის შეძენის სურვილი გამოთქვა გერმანიის მთავრობამ.

### Pepsi-მ 1,48 მილიარდი მოიგო

უალკოჰოლო სასმელების მსოფლიოს მეორე უმსხვილესი მწარმოებლის Pepesi Co-ს მოგება მიმდინარე წლის მესამე კვარტალში, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 73 პროცენტით გაიზარდა და 1,48 მილიარდი დოლარი შეადგინა. ეს კი ერთ აქციაზე 88 ცენტს შეადგენს.

კორპორაცია Pepsi Co-ს ინფორმაციით, მოგების მატება უგაზო სასმელების, კერძოდ, Gatorade-ს და Lipton Iced Tea-ს გაყიდვების ზრდამ განაპირობა. გარდა ამისა, კორპორაციამ გაიმყარა პოზიციები რუსულ და ჩინურ ბაზარზე.

## ქალი და ჯანმრთელობა

"ვიცოდეთ, დავძლიოთ დაავადება და ვიცხოვროთ" - ამ ეგიდით ხორციელდება "ძუძუს კიბოს დაძლევის საინფორმაციაო პროგრამა", რომლის ინიციატორია შვეიცარული კომპანია "ჰოფმან - ლა როშის" წამომადგენლობა საქართველოში.

შესაძლებელია ახლხანს გაიგეთ, რომ ძუძუს კიბო გაქვთ, შესაძლოა უკვე დაიწყეთ მკურნალობა, ან შეიძლება შეიტყვეთ, რომ თქვენთვის ძვირფასი ადამიანია ამ სენით დაავადებული. რასაკვირველია, თქვენ უამრავი შეკითხვა გაგიჩნდებათ, გაინტერესებთ, თუ რა არჩევანი არსებობს, რათა თქვენ ან თქვენმა ახლობელმა საუკეთესო მკურნალობა მიიღოს. "ჰოფმან - ლა როში" ამის უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა და თქვენი ინტერესის დაკმაყოფილებას ყოვალ ორშაბათს სპეციალურ რუბრიკით - "ქალი და ჯანმრთელობა" შეეცდება.

რომელია კიბოს ყველაზე გავრცელებული ფორმა, ამ დაავადების რისკ-ფაქტორები ნიშნები და სიმპტომები, კლასიფიკაცია, როგორ ხდება მისი დიაგნოსტიკა, მკურნალობა და ასე შემდეგ, ამ საკითხთან დაკავშირებით გვესაუბრება ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის დირექტორი პროგრამების მართვის დარგში პროფესორი **ზაზა ზარქუა:**

**ძუძუს სიმსივნეებს განსაკუთრებული ადგილი უკავია ონკოლოგიაში თავისი სიხშირით, ქალის რეპროდუქციულ ფუნქციასთან დამოკიდებულებით, მკურნალობის მეთოდების მრავალფეროვნებით და არაერთგვაროვანი პროგნოზით. ძუძუს კიბო, რომელიც კიბოს ყველაზე გავრცელებული ფორმაა ქალებში, კიბოს შემთხვევათა 24 პროცენტს შეადგენს. დასავლეთის ქვეყნებში ყოველი მეათე ქალი ამ დაავადების მსხვერპლია. ძუძუს კიბოს, ავთვისებიან სიმსივნეებით ავადობის სტრუქტურაში, საქართველოშიც პირველი ადგილი უკავია, ყოველ 100 000 ქალზე ავად ხდება 28-30 ადამიანი და ყოველწლიურად ძუძუს კიბოს დაახლოებით 2 ათას შემთხვევას აქვს ადგილი, აღინიშნება ამ დაავადების მატება 8 პროცენტით და 10-12 წლის შემდეგ მოსალოდნელია ამ მაჩვენებლის გაორმაგება. სულ საქართველოში 8 ათასზე მეტი ძუძუს კიბოთი დაავადებულია. ყოველ წელს კი ამ დაავადებით 650 ადამიანი იღუპება.**

როგორ ხდება ამ დაავადების დიაგნოსტიკა? რა სამედიცინო პროცედურები უნდა გაიაროს ქალმა ასაკის შესაბამისად?

**დაავადების გამოვლენის მიზნობრივი საერთაშორისო პროგრამებით შესაძლებელი გახდა 0,5 სანტიმეტრიანი და უფრო მცირე ზომის სიმსივნეების დიაგნოსტირება. ამ პროგრამების ზოგადი სქემა ასეთია: 20 წლის ასაკიდან ყოველთვიური თვითგასინჯვა და საექიმო გასინჯვა 3 წელიწადში ერთხელ. 35-40 წლის ასაკიდან საექიმო გასინჯვა წელიწადში ერთხელ, 35 წლის ასაკიდან პირველი მამოგრაფია, როგროც ეტალონი შემდგომი შედარებისთვის, დამძიმებული ოჯახური ანამნეზის პირობებში პირველი მამოგრაფია შეიძლება ჩატარდეს 30 წლის ასაკში, 40 წლის ასაკიდან მამოგრაფია ტარდება კომბინაციაში ულტრასონოგრაფიასთან ერთად 2 წელიწადში ერთელ. 50 წლის ასაკიდან მამოგრაფია სონოგრაფიით ყოველწლიურად. 75 წლის ზემოთ კი თუ წინამორბედი გამოკვლევებით რაიმე პათოლოგია არ იყო დაფიქსირებული, მამოგრაფია აღარ ტარდება. ეს არის ძუძუს კიბოს დიაგნოსტიკის "ოქროს სტანდარტი". საერთოდ კი, ძუძუს კიბოს პათოლოგიის დროს ზუსტი დიაგნოზის დადგენა მოითხოვს ყოველი მკვრივი წარმონაქმნის ამოკვეთას ძუძუდან.**

რომელია ძუძუს კიბოს ყველაზე გამორჩეული ფორმა?

**ძუძუს HER2 დადებითი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადრებას საჭიროებს, რადგან ამ სიმსივნეს სწრაფი ზრდა ახასიათებს. მის გამო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეს სტატუსი განისაზღვროს ძუძუს კიბოს დადგენისთანავე და არ უნდა გადაიდოს დაავადების რეციდივამდე ან პროგრესამდე.**

როგორია ძუძუს კიბოს მკურნალობა?

**დაავადების ადრეული სტადიაში მკურნალობა ქირურგიულია; გავრცელებული სიმსივნეების დროს კი კომბინირებული და კომპლექსურ ხასიათს ატარებს - ქირურგიულ მეთოდთან ერთად გამოიყენება რადიოთერაპია და მედიკამენტური მკურნალობა (ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია, იმუნოთერაპია).**

რამდენად ეფექტურია ქიმიოთერაპია?

**ფარმაცევტულ ბაზაზე თანამედროვე ქიმიოპრეპარატების გამოჩენამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ძუძუს კიბოს მკურნალობის შორეული შედეგები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ავადმყოფთა გარკვეულ ნაწილს ისეთი სიმსივნე უდგინდება, რომელიც ქიმიოპრეპარატებისადმი მგრძნობიარე არ არის. დადგინდა, რომ ქიმიომედიკამენტებისადმი რეზისტენტობა გამოწვეულია ნორმალური უჯრედების ზრდისა და გაყოფის მარეგულირებელი გენის გაძლიერებით. შედეგად, ჭარბად გამოშუშავდება უჯრედის ზედაპირული რეცეპტორული ცილა. ე.წ. "ადამიანის ეპიდერმული ზრდის ფაქტორის რეცეპტორი" (HER-მა), რომელიც განაპირობებს სიმსივნური უჯრედების უკონტროლო ზრდასა და კიბოს პროგრესირებას.**

თუ არსებობს ასეთი რეზისტენტობის დაძლევის გზები?

**უკანასკნელ წლებში იმუნოლოგიის და ბიოტექნოლოგიის სწრაფი ტემპებით განვითარებამ, კერძოდ, მონოკლონური ანტისხეულების აღმოჩენამ და მისმა სინთეზმა გარდატეხა შეიტანა ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში. სპეციალურად სინთეზირებული მონოკლონური ანტისხეულებით შესაძლებელი გახდა ზემოაღნიშნული გენის დათრგუნვა და ორგანიზმში უჯრედის ზედაპირული რეცეპტორული ცილის პროდუქციის შემცირება, რაც ამორჩევით იწვევს სიმსივნური უჯრედების ზრდის დათრგუნვასა და სიკვდილს ისე, რომ არ აზიანებს ჯანმრთელ უჯრედებს და ამ პრეპარატს პერცეპტინი (ტრასტუზუმაბი) ეწოდება.**

ყველა ემთხვევაში შესაძლებელია ჰრეცეპტინით ძუძუს კიბოს მკურნალობა?



**მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ პაციენტს ლაბორატორიულად უდგინდება HER-2 რეცეპტორის გაძლიერება, ხოლო სიმსივნე სწრაფად განიცდის გენერალიზაციას ან ხშირ რეციდივებს იძლევა. ამიტომ HER-2-ის ჰიპერსეკრეცია უნდა შეფასდეს სიმსივნურ ქსოვილში იმ პაციენტების გამოსავლენად, რომელთა ჰერცეპტინით მკურნალობაც ეფექტური იქნება.**

# "ინფლაციის გაკონტროლება შეიძლება"

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

აქ ერთი მომენტია ძალიან მნიშვნელოვანი - საზოგადოება არსებულ ვითარებას მძაფრად აღიქვამს. ფასები განსაკუთრებით საგრძნობლადაა გაზრდილი იმ პროდუქციაზე, რომელზეც მათი ხარჯვითი ნაწილი ყველაზე მეტადაა ორიენტირებული. მოგეხსენებათ, სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ინფლაცია 311 დასახელების პროდუქტიდან იანგარიშება, სურსათის წილი კი (რომლის ფასებიც განსაკუთრებით გაიზარდა ამ ბოლო დროს) ინფლაციის გაანგარიშებაში საგრძნობლად - 58%-დან 43%-მდე იქნა დაწეული. აქედან გამომდინარეა, რომ საზოგადოების შეგრძნება უფრო მძაფრია, ვიდრე ციფრებიდან ჩანს. ეს ყველამ უნდა გავითვალისწინოთ, როგორც ექსპერტებმა, ისე ჟურნალისტებმა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

რაც შეეხება წინასაარჩევნო ხარჯებს, არ მგონია, რაიმე კოლოსალური მოცულობის სახსრებზე იყოს საუბარი. ჩვენ ამ ციფრებს ვაკონტროლებთ, თვალყურს ვადევნებთ, რათა დახარჯული და მიმოქცევაში გაშვებული ფულის მასის ზრდამ პრობლემები არ შექმნას. ვფიქრობ, რომ იმ კომპლექსურ ღონისძიებებს, რომელსაც დღესდღეობით მთავრობა და ეროვნული ბანკი ერთობლივად ატარებენ, შედეგად მოყვება წლის ბოლოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისათვის ადეკვატური ინფლაციის ერთნიშნა მაჩვენებელი.

**- როგორია თქვენი პროგნოზი ინფლაციის ტემპებთან დაკავშირებით, როდის დაფიქსირდება ერთნიშნა მაჩვენებელი და რამდენი იქნება ინფლაცია წლის ბოლოს და მომდევნო წლის დასაწყისში?**

- მე მიმაჩნია, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ყველა ბერკეტია ამოქმედებული. უპირველეს ყოვლისა, ეს არის სადეპოზიტო აუქციონები, საიდანაც ეროვნული ბანკის ინფორმაციით, მხოლოდ აგვისტოში 25 მილიონ ლარზე მეტია ამოღებული. ასევე საკრედიტო აუქციონები, რეპო ოპერაციები და სხვა. პრაქტიკულად, ყველა ბერკეტი გამოყენებულია იმისათვის, რომ ჭარბი ფულადი მასა მიმოქცევიდან იქნას ამოღებული. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის მიერ სახაზინო ვალდებულებებით ვაჭრობა შეწყვეტილია და მომავალ წლამდე არ განახლდება, მე არ გამოვრიცხავ, თუ საჭირო იქნება, მათ გამოყენებასაც, რაც ხელს შეუწყობს მიმოქცევაში ფულადი მასის ზრდის შემცირებას და, შესაბამისად, ინფლაციის მოთოკვას. გარდა აღნიშნულისა, მნიშვნელოვანი ბერკეტია ხარჯების შეკვეცა და ვალუტის კურსის ცვალებადობა. მიუხედავად იმისა, რომ სტაბილურად ვინარჩუნებთ ამ კურსს, მე არ გამოვრიცხავ ლარის კურსის გამყარებასაც, რომელსაც პირადად არ მივესალმები, იქედან გამომდინარე, რომ იგი ხელს შეუშლის ექსპორტის ზრდას, მაგრამ ეროვნული ბანკი ინფლაციის ტემპის შესანელებლად, საჭიროების შემთხვევაში, ამ მეთოდსაც მიმართავს. ამდენად, თუ ეს ღონისძიებები, რომლებიც ახლა ჩამოვთვალე, გატარდება, იქნება მაქსიმალური სინქრონიზაცია ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროსი, ასეთ შემთხვევაში ჩვენ ამჟამინდელი მაღალი ინფლაცია შეგვეძლება მოვთოკოთ და დავიყვანოთ ერთნიშნა მაჩვენებელზე.

**- ინფლაცია მაღალია, ლარი კი მყარდება. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამით უწინარეს ყოვლისა, ღარიბი და დაბალშემოსავლიანი ფენები ზარალდებიან. როგორ უნდა დავიცვათ ჩვენი სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ადამიანები შემდგომი გაღატაკებისაგან?**

- უნდა შეიქმნას დამატებითი სამუშაო ადგილები, რათა ეს ადამიანები, რომლებიც სიღატაკის ზღვარს ქვემოთ იმყოფებიან, ამ მდგომარეობიდან გამოვიდნენ. ამავე დროს, პარალელურ რეჟიმში უნდა გავატაროთ ჭარბი ფულის ამოღების ღონისძიებები, რომელსაც ჩვენ სტერილიზაციის ღონისძიებებს ვეძახით. შესაძლებელია საპროცენტო განაკვეთების გარკვეული აწევაც კი გახდეს საჭირო. უნდა ვიცოდეთ, რომ ეს მოვლენა ინფლაციას ყოველთვის ახლავს თან და ამის საერთაშორისო გამოცდილებაც არსებობს.

**-რას ნიშნავს საფინანსო მეცნიერების თვალსაზრისით - ინფლაციის მაღალი დონე და პარალელურად, ლარის გამყარება. ცხდია, ეს აწყობს იმპორტიორებს და ხელს არ აძლევს ექსპორტიორებს. ექსპორტ-იმპორტის ისედაც უარყოფითი სალდოს გათვალისწინებით, რუსეთის მიერ გამოცხადებული ემბარგოსა და ახლა კიდევ სავაჭრო-ეკონომიკური ბლოკადის პირობებში, ხომ არ არის გასატარებელი საგანგებო ღონისძიებები ვითარების არასახარბიელო მიმართულებით შეცვლის თავიდან ასაცილებლად?**

- ამასთან დაკავშირებით, ისტორიულ ფრაზას შეგახსენებთ. "ინფლაცია საზოგადოების ნომერ პირველი მტერია", ეს ამერიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯერალდ ფორდმა გასული საუკუნის 70-იან წლებში თქვა. ეს ის ფენომენია, რომელიც თითოეულ ჩვენგანს ეხება.

ჩვენს ქვეყანაში ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროცესები მიმდინარეობს, ვგულისხმობ იმას, რომ პარალელურ რეჟიმში, ერთის მხრივ, ინფლაციის ციფრები მაღალია და მეორეს მხრივ, ადგილი აქვს სავალუტო კურსის გამყარებას, ანუ ლარის რევალვაციას. თუ დავუკვირდებით, ბოლო ორი წლის განმავლობაში ლარის კურსი 2,1-დან 1,75-მდე ჩამოვიდა. დოლარიზაციის კოეფიციენტი დეპოზიტებში დღესდღეობით 90%-ია, ანუ ფიზიკური პირების ყოველი ათი დანაზოგიდან ცხრა არის დოლარში. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ იმ ადამიანის მდგომარეობა, რომელიც ბანკში დანაზოგების შენახვას ახდენს და დივიდენდის განაკვეთი არის 9-10%, ხოლო წლიური ინფლაცია 11%, 13,5% ან 14%. ამ დროს ჩვენთან ლარის კურსი გამყარდა. ამიტომ ის 100 დოლარი, რომელიც გახლდათ 210 ლარი, დღეს არის 175 ლარი, პარალელურად არის ინფლაცია. ამიტომაა, რომ ასეთი ტიპის ადამიანები ამ პროცესებს ბევრად უფრო მწვავედ განიცდიან, რადგან ჯიბი ორივე ბოლოთი ხვდება მათ; ერთის მხრივ, კურსი მყარდება, ხოლო მეორის მხრივ - მაღალი ინფლაციაა. სწორედ ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ლარის კურსი სტაბილურად შევინარჩუნოთ და ამავე დროს ინფლაციაც მოვთოკოთ. ოლო რაც შეეხება ჰიპერინფლაციას, მისი მაგალითი ადრეც გვქონია და ვიცით რა მოსდევს მას. მაგალითისთვის მინდა გითხრათ, რომ დღესაც კი, როდესაც საერთაშორისო საფინანსო სემინარებზე მაღალ ინფლაციაზეა საუბარი და მსოფლიო მაგალითები მოჰყავთ, პირველ ადგილზე სახელდება დემოკრატიული რესპუბლიკა კონგო, მეორეზე - საქართველო. ჩვენ ჰიპერინფლაციის ერთ-ერთი მწარე მაგალითი კუპონთან დაკავშირებით გვქონდა.

**- თქვენი აზრით, რა ღონისძიებები უნდა გატარდეს ლარის გონივრული და რეალისტური გაცვლითი კურსის დასადგენად, ეს როგორც თავად მოგეხსენებათ საქართველოში სავალუტო რეზერვების მეშვეობით ხდება. რას შესთავაზებდით მთავრობას და ეროვნულ ბანკს როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე პირველ რიგში გასატარებელ ღონისძიებებად?**

- ჩვენ ადრეც გვქონდა იმის ნიშნები, რომ ინფლაცია მაღალი იქნებოდა და შესაბამისად მოსახლეობისათვის მტკივნეული. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში ასეთი მაღალი ინფლაცია პირველად დაფიქსირდა. რა უნდა გავაკეთოთ? უნდა გავაკეთოთ ის, რაც მე ჩამოვთვალე. ლარის კურსის სტაბილურობის შენარჩუნება, რისთვისაც ყველა საშუალება გვაქვს. პირველ რიგში, ეს არის სავალუტო რეზერვები, რომელმაც 600 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. უნდა მოხდეს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ყველა ბერკეტის ამოქმედება, გარკვეულ შემთხვევაში - საპროცენტო განაკვეთების აწევაც. ეს უნდა გაკეთდეს ზომიერად, რათა არ გამოიწვიოს გარკვეული ლიკვიდობის კრიზისი და საბანკო სისტემა იყოს დაცული. სავალუტო კურსის ზომიერზე მეტად გამყარება პრობლემას შეუქმნიდა არა მარტო ექსპორტიორებს, არამედ საფინანსო ინსტიტუტებსაც. ეს ღონისძიებები სინქრონულადაა განსახორციელებელი, რაც ინფლაციის მართვის შესაძლებლობას მოგვცემს;

**- ინფლაცია სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებს ეყრდნობა. რამდენად სანდოა გამოქვეყნებული მაჩვენებლები იმის გათვალისწინებით, რომ რეალურად სტატისტიკის დეპარტამენტის დამოუკიდებლობის ხარისხი არათუ დაბალია, შეიძლება ითქვას, რომ პირობითია?**

- რაც შეეხება ამ საკითხს, მე ადრეც ვამბობდი და კიდევ გავიმეორებ - გადასაწყვეტია სტატისტიკის დეპარტამენტის ინსტიტუციონალური მოწყობის საკითხი. ჩვენ ვფიქრობთ და საერთაშორისო ორგანიზაციებიც ადასტურებენ, რომ აუცილებელია სტატისტიკის დეპარტამენტის დამოუკიდებლობის ხარისხის მაქსიმალური აწევა. ასევე ვფიქრობ, საჭიროა ახალი კანონი სტატისტიკის შესახებ.

**- თქვენ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემოღების აქტიური მხარდამჭერი ბრძანდებით, თუმცა მთავრობის მხრიდან გამოიკვეთა გარკვეული კრიტიკული დამოკიდებულება ამ იდეის მიმართ. შემდგომ, თითქოს, კონსენსუსიც მიღწეულ იქნა, რა სტადიაშია დღეს ამ საკითხის გადაწყვეტა?**

- ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი პოზიცია მკაფიოდ მაქვს ჩამოყალიბებული. მიმაჩნია, რომ ეს არის ის ინსტრუმენტი, რომელიც ჩვენს ქვეყანას სჭირდება. ფინანსური სისტემის მდგრადობას და განვითარებას უზრუნველყოფს პირველი - მოქნილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, მეორე - ადეკვატური ზედამხედველობა და მესამე - დეპოზიტების დაზღვევის სისტემა. დეპოზიტების დაზღვევა საბანკო და საფინანსო სისტემის მდგრადობისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში მუშაობს დეპოზიტების დაზღვევის სისტემა. ყოფილი საბჭოთა სივრცის დიდ ნაწილში დეპოზიტების დაზღვევის პროცესში სახელმწიფო მონაწილეობს, რუსეთმა როდესაც სადეპოზიტო დაზღვევის სისტემა ჩამოაყალიბა, პირველი შენატანი 190 მლნ აშშ დოლარის მოცულობით ჩარიცხა ამ ფონდში. სომხეთმა ეს სისტემა 2005 წლის დასაწყისში აამუშავა. იქაც მოხდა ფონდის ფორმირება და სახელმწიფომ დაახლოებით 4 მლნ ევრო შეიტანა. ჩვენი ქვეყანა ამ თვალსაზრისით აგვიანებს. ამ კუთხით აზრთა სხვადასხვაობა დღესაც არსებობს. თუმცა მიმაჩნია, რომ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე, სახელმწიფო აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს. გარკვეული ორგანიზაციები ამ საკითხზე მუშაობდნენ. გერმანულ საკრედიტო ორგანიზაცია KFW-ს, ფონდში შესატანად თანხებიც კი ჰქონდა გამოყოფილი. ეს იყო გრძელვადიანი, 40 წლიანი, ძალიან დაბალპროცენტიანი სესხი, მაგრამ მთავრობამ სხვა სახის გადაწყვეტილება მიიღო. იმ ეტაპზე, გასულ წელს, საკითხის გადაწყვეტა შეფერხდა. შარშან ჩვენ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დამტკიცების დროს გარკვეულ კონსენსუსს მივაღწიეთ ეროვნულ ბანკსა და ფინანსთა სამინისტროს შორის და 2006 წლის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტში გვიწერია, რომ წლის ბოლომდე უნდა შეიქმნას სამართლებრივი ბაზა, ჩამოყალიბდეს საკანონმდებლო ბაზა დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოების შესაქმნელად. ამ გზით შესაძლებელია წასვლა, მისთვის კანონის სახის მიცემა, ხოლო შემდეგ უნდა ვიფიქროთ ფონდებთან დაკავშირებით და მის ფორმირებაზე. კანონპროექტი ფაქტიურად მზად არის. კანონიც რომ მივიღოთ, სისტემის ჩამოყალიბებას პრაქტიკულად ერთ წელინადზე მეტი სჭირდება მის რეალურ ამოქმედებას კი - გარკვეული დრო.

**- დღემდე მუსირებს აზრი, რომ ეროვნული ბანკიდან ცალკე უნდა იქნას გამოტანილი საზედამხედველო ფუნქცია და უნდა შეიქმნას ცალკე სტრუქტურა, რაც ბუნებრივია ნიშნავს ეროვნული ბანკის დასუსტებას. რამდენადაა მოსალოდნელი ასეთი ცვლილება უახლოეს მომავალში?**

- მე ვფიქრობ, რომ ყველა დეტალის და ნიუანსის გათვალისწინებითაც კი, ჩვენი ეროვნული ბანკი უნდა გავაძლიეროთ, უნდა გავაძლიეროთ მისი საზედამხედველო ფუნქციაც. მიმაჩნია, რომ ამ მიდგომას ალტერნატივა არ გააჩნია. რაც შეეხება სხვა კონფიგურაციაზე ფიქრს და მუშაობას, შეიძლება, მაგრამ არა ხელაღებით. მხოლოდ სხვათა გამოცდილების შეფასების, გააზრების შემდეგ და ჩვენი სპეციფიკის ზედმიწევნით კარგად გათვალისწინებით. ჩვენი საბანკო სისტემა საკმაოდ განვითარებულია. ახლა იქ ძალიან საინტერესო პროცესები მიმდინარეობს. ასეთ დროს რევოლუციური ნაბიჯების გადადგმა სახიფათოა.

იყო აზრი, რომ გაერთიანებულიყო დაზღვევის საზედამხედველო სამსახური, ფინანსური მონიტორინგის სამსახური და ეროვნული ბანკის ზედამხედველობა. ეს იყო შარშანდელი ვარიანტი. ჯერ-ჯერობით ამ მხრივ არსებითი სიახლე არაფერია.

**- ბატონო ირაკლი, რამდენად მდგრადია ჩვენი საბანკო სისტემა.**

- ერთი რამ შემიძლია გითხრათ. ჩვენი საბანკო სისტემა მდგრადია, თუმცა აქვე ხაზს გავუსვამ, რომ ამისათვის საჭიროა სამი ძირითადი კომპონენტის არსებობა: ადეკვატური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, საზედამხედველო სამსახური და დეპოზიტების დაზღვევის სისტემა. საქართველოს საბანკო სისტემაში უცხოური ინვესტიციების შემოსვლა ახალი რამ არ არის. იგი 90-იანი წლების შუა პერიოდიდან დაიწყო. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიური იყო "ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი", რომელიც ინვესტიციებს სხვადასხვა წამყვან ქართულ ბანკში ახორციელებდა, როგორც აქციონერი. სხვა შემთხვევაში საქართველოს საბანკო სისტემის განვითარება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა. რადგან კაპიტალთან ერთად ეს არის მენტალობა, ფილოსოფია, ახალი კადრები, კადრების ზრდა, ახალი მენეჯმენტი, ახალი საბანკო-საფინანსო ინსტრუმენტების დანერგვა, ახალი პროდუქციების შეთავაზება მოსახლეობისათვის, ასე, რომ სხვადასხვა სიკეთეები მოსდევს ახალ ინვესტიციებს და არა მარტო ფულადი ნაკადი. ასეთმა შემოსვლამ გამოიწვია ის, რომ საბანკო სისტემებში პრაქტიკულად მაღალი დონის ეკონომისტები და ფინანსისტები არიან, რასაც მე მივესალმები. რაც შეეხება პატარა ბანკების გაყიდვას: ვფიქრობ, რომ უნდა მოხდეს მათი გაერთიანება-გამსხვილება, რადგან კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნა გაიზარდა 12 მილიონამდე, ამიტომ ეს უბიძგებს მათ გამსხვილებისკენ. თუ რა თქმა უნდა, მათ სურთ საბანკო ბაზარზე დარჩენა, უნდა მოხდეს უცხოური ინვესტიციების ჩადება, სხვა შემთხვევაში ისინი გადაკეთდებიან არასაბანკო ტიპის დაწესებულებებად და ისე გააგრძელებენ მუშაობას.

**- მომავალი წლის ბიუჯეტი - რამდენად მოხერხდება მისი განხილვა და მიღება კანონით დადგენილ ვადებში, რა სიახლეები იქნება იქ და როგორ შეაფასებდით საბიუჯეტო პროცესს მთლიანობაში.**

- ბიუჯეტი თავის დროზე შემოვიდა, იგი ოქტომბრის დასაწყისამდე, პრაქტიკულად პირველ რიცხვამდე მივიღეთ. ბიუჯეტს თან ახლავს მთავრობის ანგარიში მიმდინარე წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით. 20 ოქტომბრამდე კომიტეტებში და ფრაქციებში პირველ ეტაპზე დამთავრდება ახალი ბიუჯეტის პროექტის განხილვა, რის შემდეგადაც ჩვენ შეიშვნებს და წინადადებებს უკვე მთავრობას გადავუგზავნით, რომელიც ამ პროექტში უნდა იქნას გათვალისწინებული. ისევე როგორც შარშან, ალბათ წელსაც დეკემბრის შუა რიცხვებისათვის ჩვენ ახალ ბიუჯეტს მივიღებთ. უნდა ითქვას, რომ საბიუჯეტო პროცესი ადეკვატური იქნება საბიუჯეტო პროცესისა, რომელიც "საბიუჯეტო სისტემის შესახებ" კანონის მიხედვითაა განსაზღვრული.

**- ბატონო ირაკლი, თქვენი აზრით, რუსეთის მიერ დაწესებული სავაჭრო-ეკონომიკური ბლოკადა რა ზიანს მიაყენებს ჩვენს ეკონომიკას და საბანკო-საფინანსო სფეროს?**

- უნდა ვთქვა, რომ ჩვენი ქვეყანა ამ სიტუაციიდან გრძელვადიან პერსპექტივაში ბევრად უფრო ძლიერი გამოვა, ვიდრე დღეს არის. ჯერ ერთი, ის ფაქტი, რომ რუსეთში აიკრძალა ქართული პროდუქციის შეტანა, ქართულ კომპანიებს აიძულებს ორიენტაცია ევროპულ და აზიურ ბაზრებზე აიღონ, რის შედეგადაც მათი კონკურენტუნარიანობა გაიზრდება და პროდუქციაც, რომელსაც ისინი აწარმოებენ, ბევრად უფრო ხარისხიანი იქნება, ვიდრე არის დღეს.

მეორე: რაც შეეხება საფინანსო შეზღუდვებს, წლის ბოლომდე რუსეთისაგან საბანკო გზავნილების საშუალებით, ჩვენი გამოანგარიშებით, დაახლოებით 100 მლნ. დოლარამდე გვაქვს მისაღები. რუსეთიდან ლეგალური არხებით საქართველოში ყოველდღიურად შემოდიოდა 1 მლნ. დოლარამდე. დღევანდლამდე წლის დასაწყისიდან დაახლოებით 220 მლნ. დოლარამდეა შემოსული. თუ მოხდება შეფერხებები, ამ თვალსაზრისით მე მინდა გითხრათ, რომ ჯერ ერთი, საქართველოს საბანკო და საფინანსო სივრცისათვის პრობლემები არ შეიქმნება, ლარის კურსი იქნება სტაბილური და პრობლემა ამ თვალსაზრისით არ არის. მინდა საქართველოს მოქალაქეები დავამშვიდო და ვუთხრა, რომ ეს თანხები ადრესატამდე მაინც მივა. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ისინი, არა რუსეთის, არამედ სხვა ქვეყნის გავლით მოხვდება. რაც შეეხება სწრაფ ფულად გზავნილებს, ისინი არ არის კონტროლირებადი რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან, თუმცა შესაძლებელია გარკვეული შეზღუდვები მათი მხრიდან დაწესდეს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს სისტემები მაინც იმუშავებენ. რაც შეეხება თვითონ სწრაფი გზავნილების სისტემების და სხვადასხვა საფინანსო დაწესებულებების მიდგომას რუსეთის შიგნით, არის შემდეგი: რამდენიმე ორგანიზაცია, მაგალითად, სწრაფი გზავნილების სისტემა "ლიდერი", რომელიც საქართველოს ბაზართან მუშაობდა, აღიარებს რომ 25% გზავნილებისა მოდის საქართველოზე. ამიტომ საფინანსო დანაკარგებს პირველ რიგში ისინიც ნახავენ. გარდა ამისა, არის ერთი თემა - რუსეთს არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით არ შეუძლია შეაჩეროს მიმდინარე გადარიცხვები. ამიტომაც არის, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეფერხდა იმ კანონპროექტის მიღება დუმაში, რომელსაც შეეძლო შეეჩერებინა და შეეზღუდა გადარიცხვები. ასე რომ, საერთაშორისო ხელშეკრულებებით არ შეიქმნება, ვინაიდან დღეს საბანკო სისტემა მკვეთრად არის ინტეგრირებული მსოფლიო ბაზარზე ფართო საკორესპოდენტო ქსელით, რის შედეგადაც ყველა თანხა უშუალოდ ბენეფიციართან სხვა ცენტრების საშუალებით მივა. ეს მოხდება მესამე ქვეყნების მეშვეობით.

## ერევნიდან რუსეთის მიმართულებით საჰაერო რეისების რაოდენობა გაიზარდა

რუსეთის მიერ საქართველოსთვის საჰაერო მიმოსვლაში დაწესებული შეზღუდვის შედეგად, საგრძნობლადაა მომატებული ერევნიდან რუსეთის მიმართულებით შესრულებული რეისების რაოდენობა. სომხეთს ავიაკომპანია "არმავიას" მიერ გავრცელებული ოფიციალური სტატისტიკით, მხოლოდ ბოლო სამი დღის განმავლობაში, "არმავიას" სამგზავრო გადაზიდვების მოცულობა 30 პროცენტითაა გაზრდილი. რეისების მატება, ძირითადად, მოსკოვის მიმართულებაზე, კერძოდ, კი, "დომოდედოვოსა" და ვნუკოვოს აეროპორტებზე მოდის. ანალოგიური მდგომარეობაა მოსკოვიდან ერევნის მიმართულებით რეისების შესრულების მხრივაც. გადაზიდვების მოცულობა ამ მიმართულებითაცაა მომატებული. **ჯი-ეიჩ-ენი**

## 2007 წლის ბიუჯეტის პროექტს დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი განიხილავს

საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს დღეს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის და რეგიონული პოლიტიკის კომიტეტი განიხილავს. სახელმწიფო ბიუჯეტის 2007 წლის პროექტს საპარლამენტო კომიტეტები გასულ წელთან შედარებით გაზრდილი პარამეტრის გამო დადებითად აფასებენ, თუმცა ძალოვანი და ადამიანის უფლებების პროფილის სტრუქტურებისთვის დაფინანსების გაზრდას მოითხოვენ. საკუთარი დაფინანსების გაზრდას მოითხოვს საქართველოს პარლამენტიც. ყველა კომიტეტის დასკვნაში აღნიშნულია, რომ პარლამენტის საბიუჯეტო პარამეტრის 29 მილიონიდან 27 მილიონ ლარამდე შემცირებით, ფინანსთა სამინიტრომ "საბიუჯეტო სისტემების შესახებ კანონი" და "პარლამენტის რეგლამენტი" დაარღვია. ორივე კანონის მიხედვით, პარლამენტის ბიუჯეტის გასული წლის პარამეტრთან შედარებით შემცირება აკრძალულია. ასევე, სავალდებულოა, პარლამენტის საბიუჯეტო პარამეტრის ნებისმიერი ცვლილება პარლამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმდეს. თავის მხრივ, კანონის დარღვევას ფინანსთა სამინისტროო უარყოფს. როგორც სამინისტროში აცხადებენ, პარლამენტიდან საბიუჯეტო პარამეტრები დაგვიანებით მიიღეს და განხილვა ვერ მოასწრეს. პარლამენტის საბიუჯეტო პარამეტრის გაზრდის საკითხზე მთავრობასა და პარლამენტს შორის კონსულტაციები უკვე დაიწყო. საპარლამენტო კომიტეტებში 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველი მოსმენით განხილვა 19 ოქტომბერს დასრულდება. შემაჯამებელ დასკვნას პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი მომდევნო კვირის ბოლოს დაწერს. ამის შემდეგ, შენიშვნებიანად ბიუჯეტი მთავრობას დაუბრუნდება. **ინტერპრესნიუსი**

## საქართველომ რუსეთის ვმო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დააფიქსირა

საქართველო დღეისათვის შეუძლებლად მიიჩნევს, რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების მიზნით, მრავალმხრივი მოლაპარაკებების მორიგი რაუნდის ჩატარების თარიღის შესახებ დისკუსიის გაგრძელებას.

აღნიშნული პოზიცია საქართველოს დელეგაციამ გუშინ, ჟენევაში ვაჭრობის მს